

ბაჩანა ჯიშკარიანი (რედ.)  
Bachana Jishkariani (Hrsg.)

მარტინ პაულ ვაჰმერი (რედ.)  
Martin Paul Waßmer (Hrsg.)

გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი  
DEUTSCH-GEORGISCHER RECHTSDIALOG

სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები  
STRAFRECHT UND MENSCHENRECHTE

კონფერენციის მასალები  
TAGUNGSBAND



საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა  
The University of Georgia Press

თბილისი  
TBILISI  
2019

კრებული მომზადებულია ქართულ-გერმანული სამართლებრივი დიალოგის ფარგლებში, 2018 წლის 23-24 მარტს გამართული კონფერენციის მასალების საფუძველზე, რომელიც სისხლის სამართალსა და ადამიანის უფლებებს ეხებოდა. კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს უნივერსიტეტის ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტისა (ხელმძღვ. ასოც. პროფ. ბაჩანა ჭიშკარიანი) და კიოლნის უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტის მიერ (პროფ. მარტინ პაულ ვასმერი). პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით.

Diese Band wurde aufgrund der Materialien vorbereitet, die im Rahmen der am 23-24. März 2018 durchgeführten Tagung über das Strafrecht und Menschenrechte bearbeitet wurden. Die Tagung fand in Zusammenarbeit zwischen dem Institut für georgisches, deutsches und internationales Strafrecht (Leiter: Assoz. Prof. Dr. Bachana Jishkariani) der University of Georgia und dem Institut für Strafrecht und Strafprozessrecht der Universität zu Köln (Prof. Dr. Martin Paul Waßmer) statt.

Das Projekt, deutsch-georgischer Rechtsdialog, wurde mit finanzieller Unterstützung der Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit, Büro Südkaukasus, verwirklicht.

**დამკავალონებელი:** მარი ვერულაშვილი

**მთარგმნელი:** თამარ ასათიანი, პასაუს უნივერსიტეტის დოქტორანტი

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ბაჩანა ჭიშკარიანი, მარტინ პაულ ვასმერი, 2019



საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISBN 978-9941-9644-5-9

## კრებულის ავტორები

**ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München)**, კრებულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტი

**მარტინ პაულ ვასშერი**, კრებულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრა, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტი, კიოლნის უნივერსიტეტი

**ირაკლი დვალიძე**, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ლიკა ჯალაღანია**, ადამიანის უფლებათა იურისტი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

**შტეფან ასტი**, სამართლის დოქტორი, დოცენტი, კიოლნის უნივერსიტეტი

**ბეტინა ნოლტენიუსი**, სამართლის დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, კრიმინოლოგიისა და სამართლის ფილოსოფიის კათედრა, პასაუს უნივერსიტეტი

**პეტერ კასისკე**, სამართლის დოქტორი, დოცენტი, მიუნხენის უნივერსიტეტი

**არმინ ენგლენდერი**, სამართლის დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიის კათედრა, მიუნხენის უნივერსიტეტი

**ჰელმუტ ბატცგერი**, სამართლის დოქტორი, პროფესორი, გერმანული, ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და ეკონომიკური სისხლის სამართლის კათედრა, მიუნხენის უნივერსიტეტი.

## AUTORENVERZEICHNIS

**Assoz. Prof. Dr. Bachana Jishkariani, LL.M.(München)**, Herausgeber, Leiter des Instituts für georgisches, deutsches und internationales Strafrecht, University of Georgia

**Prof. Dr. iur. utr. Martin Paul Waßmer**, Herausgeber, Lehrstuhl für Strafrecht und Strafprozessrecht, Institut für Strafrecht und Strafprozessrecht, Universität zu Köln

**Assoz. Prof. Dr. Irakli Dvalidze**, Staatliche Universität Tbilissi

**Lika Jalagania**, Menschenrechtsanwältin, Human Rights Education and Monitoring Center (EMC)

**PD Dr. Stephan Ast**, Universität zu Köln

**Prof. Dr. Bettina Noltenius**, Lehrstuhl für Strafrecht, Strafprozessrecht, Kriminologie und Rechtsphilosophie, Universität Passau

**PD Dr. Peter Kasiske**, Universität München

**Prof. Dr. Armin Engländer**, Lehrstuhl für Strafrecht, Strafprozessrecht, Rechtsphilosophie und Rechtssoziologie, Universität München

**Prof. Dr. jur. Helmut Satzger**, Lehrstuhl für Deutsches, Europäisches und Internationales Strafrecht und Strafprozessrecht sowie Wirtschaftsstrafrecht, Universität München

## წინასიტყვაობა

სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის უფლებები მნიშვნელოვანი თემებია ფრიდრიხ ნაუმანის ფონდისთვის. სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები კი სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის კლასიკური ნიმუშია. სამართლებრივი სახელმწიფოს შეფასებისთვის ეს მიმართულება ყველაზე სადავო საკითხებს შეიცავს. სახელმწიფო, ერთი მხრივ, ვალდებულია მკაცრი ხელით დაიცვას მართლწესრიგი და უსაფრთხოება, მაგრამ ამავდროულად ის უნდა იცავდეს ბრალდებულსა და თვით დამნაშავედ ცნობილი პირის უფლებებს. საქართველო ამ მიმართულებით პოზიტიურ გზას ადგას და გასულ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, თუმცა, რეფორმების აუცილებლობა ისევ არსებობს.

სწორედ ადამიანის უფლებებისა და სისხლის სამართლის ურთიერთმიმართებას დაეთმო 2018 წლის მარტში, საქართველოს უნივერსიტეტში გამართული ორდღიანი ღონისძიება, რომელიც მოიცავდა შედარებით-სამართლებრივ ანალიზს ქართულ და გერმანულ სისტემებს შორის და რომლის მიზანიც იყო ახალი რეკომენდაციების შემუშავება, თუმცა იგივე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ჭრილში. საბოლოოდ, ყოველივე ამას მიეცა წერილობით დოკუმენტის სახე ამ კრებულის ფორმით.

ქართული სამართლებრივი სისტემა ახლოს დგას გერმანულთან და შესაბამისად, კონტაქტებიც მჭიდროა სამართლის სფეროში. ამას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ქართველ და გერმანულ იურისტებს შორის კონტაქტები დამყარდა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, არამედ მანამდეც. პირველი ქართულ-გერმანული კოლოკვიუმი სისხლის სამართალში 1982 წელს ჩატარდა თბილისში. მას შემდეგ ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა.

ღონისძიების თანაორგანიზატორმა და თანაწამყვანმა, კიოლნის უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა მარტინ ვასმერა ღონისძიების დასრულების შემდეგ აღნიშნა: „დისკუსიებმა და ღონისძიებისადმი გამოხატულმა დიდმა ინტერესმა დაგვანახა, რომ სისხლის სამართლისა

და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხი საქართველოში ძალიან აქტუალურია. მაგალითად, სოციალურ ქსელებში არასწორი ინფორმაციების გავრცელების შედეგად ხდება ადამიანის უფლებების მასიური დარღვევა და თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნა. ამიტომ, ადამიანის უფლებების დაცვა ყველა სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია.“

აღნიშნული პუბლიკაციით გვინდა წარმოგიდგინოთ ის საკითხები, რომლებზეც ღონისძიების ფარგლებში მიმდინარეობდა მსჯელობა და დისკუსია. ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის მომავალშიც დაუჭერს მხარს ქართველ და გერმანელ ექსპერტებსა და სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს შორის ურთიერთგაცვლას.

### **პეტერ-ანდრეას ბოხმანი**

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის  
სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლობის ხელმძღვანელი  
სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო

## VORWORT

Rechtsstaat und Menschenrechte sind wichtige Schwerpunktthemen der Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit.

Das Thema „Strafrecht und Menschenrechte“ ist wohl der Klassiker bei der Betrachtung der Beziehung zwischen Staat und Bürger. Kaum eine andere Materie birgt derart Zündstoff für die Frage, wann ein Staat ein Rechtsstaat ist. Gilt es einerseits durch staatliche Gewalt die rechtliche Ordnung und Sicherheit aufrechtzuerhalten, so gebieten die Menschenrechte auch einen schützenden Rahmen für einen Verdächtigen und selbst den überführten Täter zu wahren. Georgien ist in diesem Bereich auf einem guten Weg und hat in den vergangenen Jahren große Fortschritte gemacht. Dennoch gilt es weitere Reformen durchzuführen.

Daher hatte die zweitägige Veranstaltung „Strafrecht und Menschenrechte“, die im März 2018 an der University of Georgia stattfand, zum Ziel, in vergleichenden Analysen des Strafrechts in Georgien und in Deutschland Vorschläge für die Entwicklung des Strafrechts mit Fokus Menschenrechte unter dem Gesichtspunkt der weiteren Entwicklung des Rechtsstaates in Georgien hinsichtlich des Assoziierungsabkommens zwischen Georgien und der EU zu entwickeln und abschließend in einer Dokumentation zu publizieren.

Stark ist das georgische Justizsystem an deutsches Recht angelehnt und stark sind die Beziehungen und der Austausch zwischen georgischen und deutschen Institutionen im Rechtsbereich. Die Zusammenarbeit im rechtlichen Bereich zwischen Deutschland und Georgien hat eine lange Tradition. Nicht erst seit der Unabhängigkeit Georgiens von der Sowjetunion, sondern bereits vorher gab es enge Beziehungen zwischen Juristen der Bundesrepublik Deutschland und Georgiens. So fand bereits im Jahre 1982 in Tiflis ein erstes deutsch-georgisches Strafrechtskolloquium statt. Seitdem sind die Beziehungen und die Zusammenarbeit im Rechtsbereich stetig ausgebaut und intensiviert worden.

Mitorganisator und Moderator Prof. Dr. Martin Paul Waßmer, Direktor des Instituts für Strafrecht und Strafprozessrecht an der Universität zu Köln, merkte nach der Veranstaltung an: „Der große Andrang und die lebhaften Diskussionen

haben deutlich gezeigt, dass das Thema, „Strafrecht und Menschenrechte“ eine Thematik ist, welche die Menschen in Georgien sehr bewegt. So werden etwa durch den Missbrauch sozialer Netzwerke sowie die Verbreitung von Fake News die Menschenrechte ausgehöhlt und damit die Grundpfeiler einer freiheitlichen demokratischen Gesellschaft untergraben. Als Garant der Freiheit sind die Menschenrechte in allen gesellschaftlichen Bereichen effektiv zu verteidigen und durchzusetzen.“

Mit der vorliegenden Publikation wollen wir einen Überblick über die verschiedensten Themen geben, die auf der Konferenz erörtert und diskutiert wurden. Die Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit wird auch in Zukunft den Austausch zwischen georgischen und deutschen Rechtsexperten und Rechtspolitikern unterstützen.

**Peter-Andreas Bochmann**

Head of South Caucasus Office

Armenia, Azerbaijan, Georgia

Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit

## სარჩევი

კრებულის ავტორები .....	3
AUTORENVERZEICHNIS .....	4
წინასიტყვაობა .....	5
VORWORT.....	7
ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი: საპროცესო უფლების დარღვევის ან მისი შელახვის შიდაპროცესუალური კომპენსაცია .....	11
სტაბილური კონვენცია და მისი გავლენები გერმანულ სისხლის სამართალზე .....	27
სტაბილური კონვენცია და მისი გავლენები ქართულ სისხლის სამართალზე .....	44
სახელმწიფო მოხელის ცნება გერმანულ ეკონომიკურ სისხლის სამართალში .....	56
მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის ცნება ქართულ სისხლის სამართალში .....	66
„სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები“ გერმანულ სისხლის სამართალში .....	78
სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონცეფცია და მისი რეგულირების მექანიზმები.....	98
საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართალში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და გერმანულ კონსტიტუციურსამართლებრივ წრეში .....	114
ევროპული პროკურატურა .....	131
MENSCHENRECHTE UND STRAFPROZESS: DIE INNERPROZESSUALE KOMPENSATION DER VERLETZUNG ODER BEEINTRÄCHTIGUNG EINES	

VERFAHRENSRECHTS.....	147
DIE ISTANBUL-KONVENTION UND DEREN EINFLÜSSE AUF DAS DEUTSCHE STRAFRECHT.....	159
DIE ISTANBUL-KONVENTION UND DEREN EINFLÜSSE AUF DAS GEORGISCHE STRAFRECHT.....	172
DER BEGRIFF DES AMTSTRÄGERS IM DEUTSCHEN WIRTSCHAFTSSTRAFRECHT .....	182
DER BEGRIFF DES BEAMTEN UND EINER IHM GLEICHGESTELLTEN PERSON IM GEORGISCHEN STRAFRECHT .....	190
„HATE CRIMES“ IM DEUTSCHEN STRAFRECHT .....	200
KONZEPT UND REGULIERUNGSMECHANISMEN DER HASSDELIKTE.....	215
DIE VERSTÄNDIGUNG IM STRAFVERFAHREN IM LICHT DES DEUTSCHEN VERFASSUNGSRECHTS UND DER MENSCHENRECHTE .....	227
DIE EUROPÄISCHE STAATSANWALTSCHAFT.....	240

**ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი:  
საკროცესო უფლების დარღვევის ან მისი შელახვის  
შიდაპროცესუალური კომპენსაცია**

დოქტ. **შტეფან ასტი**, კიოლნის უნივერსიტეტი

**I. განსასჯელის უფლებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით და კომპენსაციის იდეა**

ადამიანის უფლებები, ერთი მხრივ, გავლენას ახდენენ მატერიალურ სისხლის სამართალზე. სწორედ ადამიანის უფლებებს ეფუძნება ბრალეულობის, კანონიერების, თანაზომიერების პრინციპები და ასევე ჰუმანურობის პრინციპიც სასჯელის განსაზღვრისას<sup>1</sup>. მეორე მხრივ, ადამიანის უფლებებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის პროცესისთვისაც. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სათანადო მნიშვნელობის მქონე ნორმებს წარმოადგენს წამების აკრძალვა (კონვენციის მე-3 მუხლი), თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება (კონვენციის მე-5 მუხლი), უდანაშაულობის პრეზუმფცია (კონვენციის მე-6 მუხლის მეორე აბზაცი), სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის პირველი აბზაცი) და კონვენციის მე-6 მუხლის მესამე აბზაცით მოცემული მისი ცალკეული გამოვლინებები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით აძლიერებს ბრალდებულის უფლებებს ყველა ევროპულ ქვეყანაში. წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნება სასამართლოს მიერ გერმანიის წინააღმდეგ გამოტანილი რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

კვლევის მთავარი კითხვა შემდეგნაირად ჟღერს: როგორ უნდა კომპენსირდეს სისხლისსამართლებრივ პროცესთან დაკავშირებით ბრალდებულის უფლების დარღვევა ან მისი დაცვის პროცესზე სხვაგვარი ნეგატიური ზემოქმედება? საუბარია მხოლოდ შიდაპროცესუალურ კომპენსაციაზე.

---

<sup>1</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით, იხ. Heger, ZIS 2016, 478 ([www.zis-online.com](http://www.zis-online.com)).

გარეპროცესუალური კომპენსაცია მნიშვნელოვანია მხოლოდ კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებულ დამარალებულის სტატუსთან და ასევე კონვენციის 41-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლიან კომპენსაციასთან მიმართებით. აღნიშნულისაგან განსხვავებით, შიდაპროცესუალური კომპენსაცია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი აბზაცით დადგენილი მასშტაბის საფუძველზე უნდა იქნას განხილული. როდესაც კომპენსაციის არსებობა დასტურდება, უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის მე-6 მუხლის პირველი აბზაცით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა<sup>2</sup>.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი შემთხვევა. სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის არსებობა შესაძლოა უარყოფილ იქნას, კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის – მაშასადამე, სახელმწიფოს უკანონო ქმედების – მიუხედავად ან კონვენციით დაცული ინტერესისათვის, სახელმწიფოს ბრალის გარეშე, ზიანის მიდგომის მიუხედავად.

შიდაპროცესუალური კომპენსაციის მინიმუმ ექვსი შესაძლებლობა არსებობს:

1. შესაძლოა გამოყენებულ იქნას საპროცესო დაბრკოლება. აღნიშნულის საჭიროება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც საქმის წარმოების გაგრძელება შეუძლებელია, რადგან აღარ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მისი გაგრძელება სამართლიანი იქნებოდა. საპროცესო დაბრკოლება განსაკუთრებით დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო პროვოკაციისას მიიღება მხედველობაში<sup>3</sup>.
2. შესაძლებელია მცირე სასჯელის გამოყენება ან სასჯელის აღსრულებაზე უარის თქმა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმის წარმოების ხანგრძლივად გაგრძელების შემთხვევაში<sup>4</sup>. ამ შემთხვევაში ზიანის სარგებლით კომპენსირებასთან გვაქვს საქმე. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს რისგან არის გამომწვეული საქმის

---

<sup>2</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. Gaede, Fairness als Teilhabe – Das Recht auf konkrete und wirksame Teilhabe durch Verteidigung gemäß Art. 6 EMRK, 2007, S. 451 ff., 727 ff.

<sup>3</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ნაშრომის II თავი.

<sup>4</sup> BGHSt 52, 124, Rn. 23 ff., 35 sieht dies als prozessexterne Kompensation nach Art. 13, 34 EMRK.

წარმოების გახანგრძლივება – პროცესის მონაწილეების ბრალით თუ მართლმსაჯულებაში არსებული სტრუქტურული პრობლემით.

3. შესაძლებელია აკრძალულ იქნას არსებული მტკიცებულებების გათვალისწინება ან მისი გამოყენება. მაშასადამე, ე.წ. მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა დაიშვება<sup>5</sup>.
4. გარდა ამისა, დასაშვებია მტკიცებულებებისათვის ნაკლები მნიშვნელობის მინიჭება, რის გამოც მათი შეფასება ფრთხილად უნდა განხორციელდეს – მაგ. მაშინ, როდესაც შეუძლებელია ე.წ. კონფრონტაციული მოწმეების დაკითხვა<sup>6</sup>.
5. შესაძლებელია განსასჯელს მიენიჭოს მაკომპენსირებელი საპროცესო უფლებები. ამით შესაძლოა ანაზღაურდეს უფლებისათვის მიყენებული არა ის ზიანი, რომელიც სამართალდარღვევას ახლავს თან, არამედ ის, რომელიც ფაქტობრივად წარმოიქმნება. პირს უნდა ჰქონდეს სამართალწარმოების პროცესში დამცველის მეშვეობით ჩართვის უფლება. უფლების დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს სახეზე, როდესაც კომპენსირების შესაძლებლობის გარანტია არ არსებობს.
6. შეცდომა შესაძლოა გამოსწორებულ იქნას გასაჩივრების ზემდგომ ინსტანციაში. ამ შემთხვევაში საქმე უნდა ეხებოდეს შიდა პროცესუალურ შეცდომას, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია პროცესის განმეორებით.

წინამდებარე ნაშრომში მაგალითების საფუძველზე სამი შემთხვევა იქნება განხილული. პირველი შემთხვევა ეხება დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო პროვოკაციას და მის შედეგებს პროცესისათვის. მეორე მაგალითის სახით განიხილება საქმე, რომელმაც გერმანიაში დიდი ყურადღება მიიპყრო. აღნიშნული შემთხვევის საფუძველზე ისმევა კითხვა, თუ რა პროცესუალური შედეგები უნდა მოჰყვეს თან წამების მუქარას. და ბოლოს, განხილულ იქნება შემთხვევა, რომლის დროსაც გადაწყვეტილე-

---

<sup>5</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ნაშრომის III თავი.

<sup>6</sup> EGMR, Ur. v. 15.12.2015 – 9154/10 – Schatschaschwili vs. Deutschland, Rn. 116 ff.: „counterbalancing factors“ ([www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)).

ბის გასაჩივრება შეწყდა იმ მოტივით, რომ ეჭვმიტანილი არ გამოცხადდა სააპელაციო განხილვაზე.

## **II. საპროცესო დაბრკოლება: დანაშაულის მართლსაწინააღმდეგო პროვოკაცია**

დანაშაულის პროვოკაცია წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის საპოლიციო ინსტრუმენტს. მისი მიზანია ე.წ. ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურებისა და სხვაგვარად რთულად დასადგენი დანაშაულებისათვის დამნაშავეების გამოვლენა. საკითხავია, რა წინაპირობების არსებობისას არის დასაშვები დანაშაულის პროვოკაცია.

### **1. მაგალითი**

სამაგალითოა შემთხვევა, რომელიც განსახილველად ჰქონდა გერმანიის უზენაეს ფედერალურ სასამართლოს<sup>7</sup>: ორი პირის მიმართ არსებობდა ბუნდოვანი ეჭვი, რომ ისინი მონაწილეობდნენ ფულის გათეთრებასა და ნარკოტიკულ დანაშაულებში. ხანგრძლივ და ყოვლისმომცველ ფარულ თვალთვალს არ შეეძლო აღნიშნული ეჭვის დადასტურება. აქედან გამომდინარე, პოლიციამ დაიწყო რამდენიმე ფარული გამომძიებლის გამოყენება გერმანიიდან და ნიდერლანდებიდან. ფარული გამომძიებლები თვეების განმავლობაში ცდილობდნენ ბრალდებულების დაყოლიებას ნიდერლანდებიდან დიდი ოდენობით ექსტაზის გერმანიაში შემოტანაზე. დიდი ხნის განმავლობაში მათი მცდელობა უშედეგოდ რჩებოდა.

საბოლოოდ, ერთ-ერთმა ფარულმა გამომძიებელმა ბრალდებულის მიმართ განახორციელა მუქარა. სხვა ფარულმა გამომძიებელმა კი ისინი დაარწმუნა იმაში, რომ მას და მის ოჯახს სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე ემუქრებოდა, თუკი იგი მის შემკვეთს არ მიანვდიდა ნარკოტიკულ ნივთიერებას. აღნიშნულის საფუძველზე ბრალდებულები ორივე შემთხვევაში უსასყიდლოდ დაეხმარნენ ფარულ გამომძიებლებს ნიდერლანდებში ექსტაზის მოპოვებასა და მის ქვეყანაში შემოტანაში. საბოლოოდ მათ შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შემოტა-

---

<sup>7</sup> BGHSt 60, 276 = HRRS 2015 Nr. 1104 ([www.hrr-strafrecht.de](http://www.hrr-strafrecht.de)).

ნაში დახმარებისათვის.

დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც მან ნათლად დაადგინა გადაწყვეტილებაში „ფურხტი გერმანიის წინააღმდეგ“. მოქმედებს ე.წ. „საპოლიციო პროვოკაციის აკრძალვა“. პირველ რიგში უნდა განიმარტოს აღნიშნულის შინაარსი და საფუძველი, რათა შემდგომში ნაჩვენებ იქნას აღნიშნული აკრძალვის დარღვევის შედეგები<sup>8</sup>.

## 2. აკრძალვის შინაარსი

აკრძალული საპოლიციო პროვოკაციაა სახეზე, როდესაც გამომძიებელი შემოიფარგლება არა დანაშაულის ყოვლისმომცველი პასიური გამოძიებით, არამედ იგი დამნაშავეზე ახდენს იმგვარ ზემოქმედებას, რომ მას უჩნდება იმ დანაშაულის ჩადენის მოტივაცია, რომელსაც იგი სხვა შემთხვევაში არ ჩაიდენდა. პროვოკაციის მიზანს უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის დადგენა – მტკიცებულებების მოპოვებით და სისხლისსამართლებრივი დევნის ინიცირებით<sup>9</sup>. შესაბამისად, ობიექტურად საქმე უნდა ეხებოდეს კვალიფიცირებულ წამქეზებლობას. სუბიექტურად კი წინაპირობად – სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზანი - უნდა იყოს სახეზე.

განხილულ შემთხვევაში ნათელია, რომ პროვოკაციის აკრძალვა არ არის დაცული. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, პროვოკაცია არ არის სახეზე, თუკი დამნაშავემ აშკარად დაგვემა შესაბამისი დანაშაულების ჩადენა და ფარული გამომძიებელი აღნიშნულს მხოლოდ სათავისოდ იყენებს<sup>10</sup>. შესაბამისად, გადამწყვეტი არ არის დამნაშავის წაქეზება ხდება თუ არა კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის. არამედ, საკითხავია, არსებობდა თუ არა მის მიერ ამგვარი

---

<sup>8</sup> EGMR, Ur t. v. 23.10.2014 – 54648/09 – F. vs. Deutschland, Rn. 48.

<sup>9</sup> EGMR, იქვე იხ. სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, EMRK, Ur t. v. 4.11.2010 – 18757/06 – Bannikova vs. Russland, Rn. 32 ff.

<sup>10</sup> EMRK, Ur t. v. 04.11.2010 – 18757/06, Rn. 64 ff.

სახის დანაშაულის გავლენის მოხდენის გარეშე ჩადენის ალბათობა<sup>11</sup>.

### 3. აკრძალვის საფუძველი

სასამართლო პროვოკაციის აკრძალვას პირველ რიგში ობიექტურ სამართლებრივი არგუმენტით ასაბუთებს. „პოლიციის ამოცანას წარმოადგენს (...), დანაშაულების აღკვეთა და გამოძიება და არა მათი პროვოცირება.“<sup>12</sup> აღნიშნული იდეა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს - სახელმწიფოს კანონით შებოჭვიდან.

სუბიექტურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ორი ასპექტი არსებობს: ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული ზოგადი პიროვნული უფლება - პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება მოქმედებს. მეორე მხრივ, აღნიშნულ ქმედებას მნიშვნელობა აქვს ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებაში. შესაბამისად, სასამართლო აკრძალვას ასაბუთებს იმით, რომ „ბრალდებულის (...) მიმართ თავიდანვე არსებობს საფრთხე იმისა, რომ მას ნამდვილად არ ექნება სამართლიანი სამართალწარმოების შესაძლებლობა“.<sup>13</sup> დანაშაულის ჩადენა სახელმწიფოს თვალწინ ხდება. შესაბამისად, ეჭვმიტანილის წინააღმდეგ თავიდანვე კარგი მტკიცებულებები არსებობს.

### 4. აკრძალვის დარღვევის შედეგები

სასამართლო მიიჩნევს, რომ პროვოკაციის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების შეფასება არ უნდა მოხდეს და შესაბამისად, აღნიშნულით ადგენს მტკიცებულების გამოყენების აკრძალვას<sup>14</sup>. გერმანული სასამართლო პრაქტიკა, ამისგან განსხვავებით, მიიჩნევდა, რომ სასჯელის მნიშვნელოვანი შემცირება საკმარისი იყო. შესაბამისად, იგი ამით

---

<sup>11</sup> კრიტ. Greco, StraFo 2010, 53 ff.

<sup>12</sup> EGMR, იქვე.

<sup>13</sup> EGMR, Urt. v. 23.10.2014 – 54648/09, Rn. 47.

<sup>14</sup> EGMR, Urt. v. 23.10.2014 – 54648/09, Rn. 64, 68.

აკომპენსირებდა პროვოკაციის ფაქტს<sup>15</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ, გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა, როგორც ე.წ. სასჯელის დადგენის მეთოდის, ასევე მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის საწინააღმდეგოდ. მან მიმართა საპროცესო დაბრკოლების მეთოდს. მაშასადამე, მის მიერ არა ცალკეული პროცესუალური შესაძლებლობების ბლოკირება განხორციელდა, არამედ მთლიანად პროცესის.

მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის წინააღმდეგ იგი განმარტავს შემდეგს<sup>16</sup>: უნდა განხორციელებულიყო პროვოკაციის საფუძველზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოპოვებული ყველა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა. თუმცა, არაპირდაპირ მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება გერმანულ სამართალში პრინციპულად დაშვებულია. აქედან გამომდინარე, მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის გამოსავალი გერმანულ სამართალს არ შეესაბამება. გარდა ამისა, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მართლსაწინააღმდეგო პროვოკაციის შედეგად მოჰყვა არა დანაშაულის მტკიცებულებების მოპოვება, არამედ თვითონ დანაშაულის ჩადენა განხორციელდა მხოლოდ ამ პროვოკაციის გამო.

მაშასადამე, პროვოკაციის აკრძალვის დარღვევის გამო ე.წ. „პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება სახეზე, თუკი მსჯავრის დადება საერთოდ არ განხორციელდება. ამგვარ შორსმიმავალ მოთხოვნას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვის სფეროში არ იზიარებს. აქედან გამომდინარე, იგი გამოსავლის სახით საპროცესო დაბრკოლების მეთოდს ირჩევს.

მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის საწინააღმდეგო მომდევნო არგუმენტად სასამართლო განმარტავს: მტკიცებულებების დაშვება და გამოყენება თუნდაც იმიტომაცა აუცილებელი, რომ შესაძლებელი იყოს

---

<sup>15</sup> BGHSt 32, 345; BGHSt 45, 321; BVerfG NJW 2015, 1083

<sup>16</sup> BGHSt 60, 276, Rn. 50 ff.

პროვოკაციის ფაზულის გაგება<sup>17</sup>. თუმცა, მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ ეჭვმიტანილის სასარგებლოდ და არა მის საზიანოდ.

## **5. დანაშაულის პროვოკაციის ცნება და დასაშვებობა გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში**

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო დანაშაულის პროვოკაციის ცნებას და დასაშვებობის წინაპირობებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავსად ადგენს. დანაშაულის პროვოკაცია სახეზეა, თუკი „ფარული გამოძიებელი“ ან „სანდო პირი“ დამნაშავეზე ზემოქმედებას ახდენს და ახორციელებს დანაშაულის ჩადენისათვის მის მნიშვნელოვან წახალისებას, იმ მიზნით, რომ მასში გააღვიძოს ან ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენისადმი მზაობას<sup>18</sup>.

დაუშვებელია არაეჭვმიტანილი და პირველ რიგში დანაშაულის ჩადენისადმი არამიღრევილი პირის პროვოკაცია. ზოგადად, პროვოკაცია დასაშვებია, როდესაც მისი გამოყენება ხდება იმ პირის მიმართ, რომელიც ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში ან მზად არის დანაშაული ჩადინოს<sup>19</sup>. ამგვარად, გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ მისაღებად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ფარულმა გამოძიებელმა გამოთქვა მზაობა ნარკოტიკული საშუალების მიღებაზე და აღნიშნულით დანაშაულებრივი განზრახვა წარმოქმნა<sup>20</sup>. აღნიშნულის საპირისპიროდ დაუშვებელი ე.წ. „სამართლებრივი სახელმწიფოსთან შეუსაბამო დანაშაულის პროვოკაცია“ სახეზე, „როდესაც სამიზნე პირზე ზემოქმედება თავდაპირველ ეჭვთან მიმართებით გაუმართლებლად გადაჭარბებულია. (...) საჭირო შედარების ფარგლებში მხედველობაშია მისაღები ადრესატის წი-

---

<sup>17</sup> BGHSt 60, 276, Rn. 51.

<sup>18</sup> BGHSt 60, 276, Rn. 24.

<sup>19</sup> BGHSt 60, 276, Rn. 24

<sup>20</sup> BGH NStZ 2018, 355 = HRRS 2018 Nr. 176.

ნააღმდეგ არსებული ეჭვის საფუძველი, ზემოქმედების მოცულობა, მისი სახეობა, ინტენსივობა და ამასთან, გავლენის მოხდენის მიზანი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ადრესატის მიერ საკუთარი ინიციატივით, გარე ზემოქმედების გარეშე განხორციელებული აქტივობები<sup>21</sup>.

### **III. მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის წინმსწრები დარღვევა**

საპროცესო დაბრკოლების მოთხოვნა წარმოადგენს საპროცესო უფლების დარღვევის შიდაპროცესუალური კომპენსაციის ყველაზე შორსმიმავალ შესაძლებლობას. თუმცა, კომპენსაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია მტკიცებულებების გამოუყენებლობა, მაშასადამე მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის დაშვება. ამგვარი აკრძალვის შინაარსი და მოცულობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში განმარტებულია საქმეში „გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ“. აღნიშნულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა კონვენციის მე-3 მუხლით მოცემული უფლების დარღვევის შიდაპროცესუალურ კომპენსაციას. შეფასების მასშტაბს კვლავ კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენდა.

#### **1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გეფგენის საქმეზე**

გეფგენმა, იურიდიული ფაქულტეტის სტუდენტმა მაინის ფრანკფურტიდან, გაიტაცა ბანკირის შვილი, მშობლებისაგან გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით. მან ბიჭი მაშინვე მოკლა. პოლიციამ გეფგენს მიაკვლია. გეფგენმა პოლიციას არ მიაწოდა ინფორმაცია, მისი განცხადებით, ჯერ კიდევ ცოცხალი ბავშვის ადგილმდებარეობის მონაცემების შესახებ. ბავშვის გადარჩენის მიზნით, პოლიცია დამნაშავეს წამებით დაემუქრა. აღნიშნულის შედეგად გეფგენმა აღიარა მკვლელობა და პოლიციელები მიიყვანა ბიჭის ცხედართან. აღიარებითი ჩვენება სასამართლო პროცესში არ იქნა დაშვებული. დაცვის მხარემ მოითხოვა იმ მტკიცებულებების გამოორიციხვაც, რომლებიც აღიარებითი ჩვენების შემდეგ დანაშაულის ჩადენის

---

<sup>21</sup> BGHSt 60, 276, Rn. 24

ადგილას იქნა მოპოვებული. სასამართლომ აღნიშნული უარყო. აღნიშნულის შედეგად გეფგენმა კვლავ მისცა სასამართლოს წინაშე ხელახალი აღიარებითი ჩვენება. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას არსებითად აღნიშნულ ჩვენებას დაეყრდნო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში დარღვეულ იქნა კონვენციით მე-3 მუხლით გათვალისწინებული არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა<sup>22</sup>. კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული საკმარისი გარეპროცესუალური კომპენსაციის არსებობა უარყოფილ იქნა, რადგან სათანადო მოხელეებს მხოლოდ მსუბუქი სასჯელი დაეკისრათ<sup>23</sup>. იქიდან გამომდინარე, რომ ამ შემთხვევაში არასათანადო მოპყრობა უკავშირდებოდა სისხლის სამართალწარმოებას, კონვენციის მე-6 მუხლის დაცვისათვის აუცილებელი იყო შიდაპროცესუალური კომპენსაცია.

ამ მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს მტკიცებულების გამოყენების ყოვლისმომცველ აკრძალვას. იმ მტკიცებულებების გამოყენება, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფუძველზე იქნა მოპოვებული, გამორიცხულია<sup>24</sup>. შესაბამისად, მინიმუმ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ფართო ზემოქმედების მოხდენა შეუძლია პროცესზე. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა

---

<sup>22</sup> EGMR, Ur. v. 1.6.2010 – 22978/05 – Gäfgen vs. Deutschland, Rn. 87 ff.

<sup>23</sup> EGMR, Ur. v. 1.6.2010 – 22978/05, Rn. 115 ff.

<sup>24</sup> EGMR, Ur. v. 1.6.2010 – 22978/05, Rn. 173 ff.; აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. Ast, GLJ 11 (2010), 1393, 1402 ff. ([www.germanlawjournal.com](http://www.germanlawjournal.com)). გერმანული სასამართლო პრაქტიკა დასაშვებად არ მიიჩნევს გამოყენების აკრძალვის ამგვარ „შორსმიმავალ მოქმედებას“ (შეად. ზემოთ II. 4.; vgl. etwa BGHSt 34, 362). პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნიდან გამომდინარე ამგვარი ფართო მოქმედების შესაძლო დოგმატური დასაბუთებისათვის იხ. Amelung, Informationsbeherrschungsrechte im Strafprozess, 1990, S. 49 ff. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის შემთხვევაში ასევე კიდევ ერთი პრინციპია მნიშვნელოვანი, რომელსაც ეფუძნება მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა: სასჯელის ლეგიტიმაციის გარანტირება. აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე იხ. Amelung, a.a.O., S. 20 ff. სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების დისციპლინირების იდეასთან დაკავშირებით იხ. იქვე .a.O., S. 17 ff. აღნიშნულ საფუძვლებთან დაკავშირებით იხ. ასევე EGMR, a.a.O., Rn. 175 ff.

ევროპულმა სასამართლომ გეფგენის საქმეზე უარყო კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა<sup>25</sup>. აღნიშნულის უკეთ გასაგებად აუცილებელია განხილულ იქნას მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის დარღვევის შინაარსი და შედეგები.

## 2. მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის შინაარსი

მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის შედეგებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ხაზგასასმელია შემდეგი: გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა ბრალდებულის იმ უფლებას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს უფლების წინასწარი დარღვევის კომპენსირებას, აუცილებელია აღნიშნული უფლების მინიჭება, რათა სამართლიანობის გარანტირება მოხდეს. თუკი ამ უფლების მინიჭება არ განხორციელდება, უფლების თავდაპირველი დარღვევა შიდაპროცესუალური თვალსაზრისით, საკმარისად არ დაკომპენსირდება და შესაბამისად სამართალწარმოება არ იქნება სამართლიანი კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის გაგებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გეფგენის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის დარღვევა იმპლიციტურად უარყო. აკრძალვის შინაარსი შემდეგნაირად უნდა დაზუსტდეს: მტკიცებულებების „გამოყენება“ შესაძლოა მოხდეს როგორც მათი პროცესში ჩართვით, ასევე გადაწყვეტილების მათზე დაფუძნებით. გეფგენის შემთხვევაში საქმის მწარმოებელმა სასამართლომ, მართალია, პროცესში ჩართო გამოსარიცხი მტკიცებულებები, თუმცა, გადაწყვეტილებისთვის მათ მნიშვნელობა არ ჰქონდათ<sup>26</sup>.

მაშასადამე, მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა ორივე ასპექტს ეხება: მის მიზანთან ყველაზე კარგად შესაბამისობაში მოდის, როდესაც მტკიცებულებების ჩართვა პროცესში საერთოდ არ ხორციელდება. იმავე დოზით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებაში მოხდა თუ არა მტკიცებულებების გათვალისწინება<sup>27</sup>, რადგან, პროცესში მტკიცებულებების გამო-

<sup>25</sup> EGMR, Ur. v. 1.6.2010 – 22978/05, Rn. 187.

<sup>26</sup> EGMR, Ur. v. 1.6.2010 – 22978/05, Rn. 180.

<sup>27</sup> იმაგენიარად: Popp, Verfahrenstheoretische Grundlagen der Fehlerkorrektur im

ყენების აკრძალვა მიზნად ისახავს კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი მტკიცებულებების გადანყვეტილებაში ჩართვის თავიდანვე გამორიცხავს. რადგან სასამართლომ თავად უნდა მიიღოს გადანყვეტილება მტკიცებულებების გამოყენების თაობაზე, სრულიად არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ იგი სადავო მტკიცებულებების არსებობის საფუძველზე გარკვეულ ინფორმაციას იღებს. აღნიშნულის თავიდან აცილება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუკი სხვა სასამართლო მიიღებდა გადანყვეტილებას.

შესაბამისად, მტკიცებულების გამოყენების აკრძალვით, მართალია, იკრძალება პროცესში სადავო მტკიცებულებების როგორც ჩართვა, ასევე მათი სასამართლოს გადანყვეტილებაში გამოყენება, თუმცა, მხედველობის მიღმაა დარჩენილი შემთხვევა, როცა ორივე მემოაღნიშნული ხორციელდება, მაშასადამე, როცა მტკიცებულებების დაშვება ხდება და სასამართლოს გადანყვეტილებაც მათ ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შეფასდეს სასამართლო გადანყვეტილებისათვის რა მნიშვნელობა აქვს გამოუსადეგარი მტკიცებულებების მხედველობაში მიღებას. რადგან საქმის წარმოების განმახორციელებელი სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად დაეყრდნო აღიარებით ჩვენებას, გამოუსადეგარ მტკიცებულებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდათ.

### 3. მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის ფარგლები

შესაბამისად, აღიარების გამოყენება დასაშვებია იყო<sup>28</sup>. თუმცა, აღნიშნული მაინც საეჭვოა: პროცესის მიმდინარეობისას გეფგენმა აღიარებითი ჩვენება მხოლოდ მას შემდეგ მისცა, რაც სასამართლომ მიიღო დანაშაულის ადგილზე მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების დასაშვებობის გადანყვეტილება. განმცხადებლის მოსაზრებით, სასამართლოს აღნიშნული გადანყვეტილება მართლსაწინააღმდეგო იყო და აღიარება მინიმუმ აღნიშნულით იყო გამოწვეული<sup>29</sup>. ეს მეტყველებს შემდეგზე: ჩვენება თავისუფალი არ არის, როდესაც მისი მიცემა ხორციელდება წამების,

---

Strafverfahren, 2005, S. 473 f.

<sup>28</sup> EGMR, Ur. v. 1.6.2010 – 22978/05, Rn. 180 ff.

<sup>29</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ სადავოა EGMR, Ur. v. 1.6.2010 – 22978/05, Rn. 183 f. ასევე იხ. მოსამართლე როცაკისისა და სხვების განსხვავებული მოსაზრება, Rn. 6. საქმე ეხება ე.წ. „ფსიქიკური კაუზალობის“ შემთხვევას, შუად. BGHSt 13, 13.

მოტყუების ან რაიმე მსგავსი ქმედების საფუძველზე, თუმცა, არა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო კონვენციასთან შეუსაბამო სხვაგვარ ქმედებას ახორციელებას - ამ შემთხვევაში დაუშვებელ მტკიცებულებებს დასაშვებად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, განსასჯელი აღიარებაზე თავადაა პასუხისმგებელი. თუკი განსასჯელს სურს სამართალწარმოების პროცესში უფლების დარღვევისადმი დაპირისპირება, იგი ვალდებულია დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას<sup>30</sup>.

ამასობაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მტკიცებულების დასაშვებობის აკრძალვა ძალიან ფართოდ განმარტა. იმ ფაქტით, რომ გამოძიებლების მხრიდან განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება დაუშვებელია, კომპენსირდება ეჭვმიტანილის დარღვეული უფლება და იმავდროულად უფლების დარღვევასთან მიმართებით შიდაპროცესუალური თვალსაზრისით საკმარისი სანქცია გვაქვს სახეზე. აღნიშნულზე მეტის საჭიროება არ არსებობს. შეუძლებელია იმ ნაკვალების კონტროლი, რომელიც დამნაშავემ ქვეყანაზე დატოვა.

#### **IV. კომპენსირებადი უფლების გარანტირება: დამცველის მეშვეობით წარმოდგენის პირობითი უფლება**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლოს განსახილველ გადაწყვეტილებაში გარკვეულწილად ბუნდოვანია ზიანისა და კომპენსაციის სტრუქტურა. საქმე „ნეზირაჯი გერმანიის წინააღმდეგ“ ეხება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმას<sup>31</sup>.

კიოლნის პირველი ინსტანციის სასამართლომ ნეზირაჯს სხეულის დაზიანების გამო 1500 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა. გასაჩივრების ვადების დაცვით განხორციელებულ სასამართლო მოსმენაზე წარდგა მხოლოდ მისი დამცველი, რადგან ნეზირაჯის მიმართ სხვა ბრალდების გამო დაპატიმრების ბრძანება იყო გაცემული. დამცველმა გამოთქვა მზაობა მის წარმომადგენლობაზე. მიწის სასამართლომ (საოლქო სასამართლო) საქმე არ განიხილა და გერმანიის სსსკ-ის §329-ზე დაყრდნო-

<sup>30</sup> Ast, GLJ 11 (2010), 1393, 1405.

<sup>31</sup> EGMR, Ur. v. 8.11.2012 – 30804/07 – Neziraj vs. Deutschland.

ბით, ნემირაჯის გამოუცხადებლობის მოტივით, უარი თქვა აპელაციამზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ შემთხვევაში დაინახა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და 3c აბზაცებით დადგენილი დამცველის ყოლის უფლების დარღვევა<sup>32</sup>. აღნიშნული გადაწყვეტილების ინტერპრეტირება შემდეგნაირად უნდა მოხდეს: „საკუთარი თავის დაცვის ან დამცველის მეშვეობით დაცვის უფლებიდან (კონვენციის მე-6 მუხლის 3c აბზაცი)“, ზოგადად, გამომდინარეობს დამცველის მეშვეობით წარმოდგენის უფლებაც. გერმანელმა კანონმდებელმა გადაწყვეტილების საფუძველზე შეცვალა გერმანიის სსსკ-ის §329 და წარმომადგენლობის შესაძლებლობა მინიმუმ იმ შემთხვევაში მიიჩნია დასაშვებად, როცა არ არსებობს ბრალდებულის დასწრების აუცილებლობა. თუმცა, როგორც წესი, მისი დასწრება აუცილებელია, რადგან აპელაცია დამოუკიდებელ ფაქტობრივ ინსტანციას წარმოადგენს<sup>33</sup>.

საყოველთაო უფლება წარმომადგენლობაზე არ არის დასაშვები<sup>34</sup>. ნემირაჯის შემთხვევაში დარღვეული იყო არა დამცველის მეშვეობით დაცვის უფლება, არამედ საკუთარი თავის დაცვის უფლება. ნემირაჯის მიმართ დაპატიმრების ბრძანება იყო გაცემული, შესაბამისად, მას გამოცხადება მხოლოდ დაპატიმრების რისკზე წასვლით შეეძლო. აღნიშნული ზიანის კომპენსირება უნდა მომხდარიყო. მოსამართლეს სასამართლო მოსმენა ან უნდა გადაედო ან მინიმუმ გამოჩაკლისის სახით უნდა დაეშვა ნემირაჯის დამცველის წარმომადგენლობა.

წარმომადგენლობის უფლების არსებობა მხოლოდ პირობითია, თუკი გართულებულია საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობა. წარმომადგენლობაზე პირობითი უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს დაცვის უფლების განხორციელების ზიანის კომპენსირების ფუნქცია, თუკი სასამართლო განხილვა დაპატიმრების საფრთხის მიუხედავად უნდა ჩატარდეს. აღნიშნული მოსაზრება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მსგავსი ფაბულის მქონე საქმეზე გამოთქვა: „იმისათვის, რომ ბრალდებულს გარანტირებული ჰქონდეს სამართლიანი სამართალწარმოების უფლება, აუცილებელია ყველა სირთულე, რომელიც წარმოიქმნება მათი უფლე-

<sup>32</sup> EGMR, Ur. v. 8.11.2012 – 30804/07, Rn. 52 ff., 67.

<sup>33</sup> შუად. OLG Hamburg, StV 2018, 145 mit Anm. Hüls.

<sup>34</sup> დაწვრილებით ob. Ast, JZ 2013, 780 ff

ბების შეზღუდვის თუ დაცვის საფუძველზე, თანმდევნი საქმის წარმოებისას საკმარისად კომპენსირდეს.“<sup>35</sup>

შესაბამისად, ამ შემთხვევაში უნდა კომპენსირდეს არა უფლების დარღვევა, არამედ დაცვის უფლების განხორციელებისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზიანი. დაცვის უფლების დარღვევა, პირველ რიგში, სასამართლო მოსმენაზე უარის თქმაში იკვეთება. აღნიშნული შეუძლებელს ხდის საკუთარი თავის დაცვას და შესაბამისად, ზიანს აყენებს დაცვის უფლებას. აღნიშნული ზიანის მიყენება სამართალდარღვევას წარმოადგენს, რადგან შესაძლებელი იყო მსჯავრდებულის გამოუცხადებლობაზე იმგვარი რეაგირება, რომ მისი დაცვის ინტერესი შენარჩუნებულიყო.

## V. დასკვნა

შიდაპროცესუალური კომპენსაციის მეთოდი ბევრჯერ იქნა გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით. აღნიშნული გერმანიის წინააღმდეგ მიღებულ რამდენიმე გადაწყვეტილებაშიც ჩანს.

დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში სადავო იყო თუ რომელ საფეხურზე უნდა მოხდეს კომპენსაციის გარანტირება: სასჯელის დადგენის, მტკიცებულებების გამოყენების თუ საპროცესო დაბრკოლების ეტაპზე. გეფგენის საქმით დაისვა კითხვა თუ რამდენად ფართოდ შეიძლება მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვების დაშვება. ნაზირაჯის საქმით ნაჩვენები იქნა, თუ როგორი სახის უნდა იყოს კომპენსაცია, რომლის აუცილებლობაც არა სამართალდარღვევის, არამედ დაცვის უფლებისათვის ფაქტობრივი ზიანის მიყენების საფუძველზე დგება დღის წესრიგში.

იმის შესაძლებლობას, რომ საქმისწარმოების შეცდომა ავტომატურად არ ნიშნავს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას და შიდაპროცესუალურად მისი კომპენსირება შესაძლებელია, იძლევა ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი აბზაცით დადგენილი უფლება პროცესს, როგორც ასეთს, მთლიანობაში ეხება. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევრო-

---

<sup>35</sup> EGMR, Urt. v. 26.3.1996 – 20524/92 – Doorson vs. Niederlande, Rn. 72.

პული სასამართლო პროცესის ერთიან შეფასებას ახორციელებს. კონვენციის მე-6 მუხლის მესამე აბზაციდან გამომდინარე ცალკეულ უფლებებს იგი სამართლიანი სასამართლოს უფლების გამოვლინებებად მიიჩნევს, რის გამოც ისინიც საერთო შეფასების ლოგიკას ექვემდებარებიან<sup>36</sup>. ნებრაჯის საქმეზე აღნიშნული ნათლად გამოჩნდა: რადგან არ იქნა გამოყენებული კომპენსაციის შესაძლებლობა, საქმის სააპელაციო განხილვაზე უარით შეილახა ეჭვმიტანილის უფლება საკუთარი თავის დაცვაზე.

ერთიანი შეფასება არსებითად კომპენსაციის იდეით განისაზღვრება. კომპენსაციის გარანტირების არარსებობის შემთხვევაში, საქმე ეხება საქმის წარმოების შეცდომას, რომლის კომპენსაციაც, თავის მხრივ, შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ეს წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და ზოგადად, კონვენციის მე-6 მუხლის მესამე აბზაცით დადგენილი ცალკეული უფლებების დარღვევას.

---

<sup>36</sup> იხ. EGMR, Ur. v. 8.11.2012 – 30804/07, Rn. 45.

# სტამბულის კონვენცია და მისი გავლენები გერმანულ სისხლის სამართალზე

პროფ. დოქტ. ბეტინა ნოლტენიუსი, პასაუს უნივერსიტეტი

## I. შესავალი

ევროსაბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (შემდეგში: კონვენცია) 2011 წლის მაისში თავდაპირველად მხოლოდ ევროსაბჭოს 13 წევრი სახელმწიფოს<sup>1</sup>, მათ შორის, გერმანიის მიერ ხელმოწერილ, საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს.

კონვენციის მთავარ მიზნებს წარმოადგენს სქესის მიხედვით ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენცია და აღკვეთა, ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ყოვლისმომცველი ზრუნვის გარანტირება და მთლიანობაში სქესთა შორის არსებითი თანასწორობის წახალისება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ძალადობის აღრესატების მიმართ ყოვლისმომცველი დაცვისა და დახმარების ღონისძიებების დადგენის ვალდებულებას იღებენ<sup>2</sup>. კონვენცია მაგ. მოითხოვს ფსიქოლოგიური, ფინანსური და სამართლებრივი ხასიათის დახმარებისა და ასევე ქალთა სახლებში განთავსების შესაძლებლობების არსებობას<sup>3</sup>.

გარდა ამისა, კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებების, მათ შორის სისხლისსამართლებრივის, გატარებას: დასჯადი უნდა იყოს ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა ფორმა, ასევე ადევნება (კონვენციის 33-35-ე მუხლები) და სექსუალური შევიწროება (კონვენციის მე-40

---

<sup>1</sup> გერმანია, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ლუქსემბურგი, მონტენეგრო, ავსტრია, პორტუგალია, შვედეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, ესპანეთი, თურქეთი.

<sup>2</sup> U.a. Art. 1 Abs. 1 lit. c. und e., Art. 5 Abs. 2, Art. 16 IK.

<sup>3</sup> Art. 19-26 IK, განსაკუთრებით Art. 20, 21, 23, 24 IK.

მუხლი, თუმცა მაინცდამაინც სისხლისსამართლებრივად არა). ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს იძულებითი ქორწინების (კონვენციის 37-ე მუხლი), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების (კონვენციის 38-ე მუხლი), იძულებითი აბორტისა და იძულებითი სტერილიზაციის (კონვენციის 39-ე მუხლი) მიმართ. ხელშეკრულების მხარეები, ვალდებული არიან უზრუნველყონ აღნიშნული სისხლისსამართლებრივი დანაშაულების ეფექტური, თანამომიერი და დამაშინებელი სასჯელებით დასჯა (შეად. კონვენციის 45-ე მუხლი).

კონკრეტული დანაშაულების დასჯადობის ვალდებულებასთან ერთად, კონვენცია ასევე ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა თავიანთი სისხლის სამართლის კანონის მოქმედებასთან დაკავშირებით, სათანადო ცვლილებებიც განახორციელონ. კერძოდ, ისინი ვალდებული არიან მიიღონ საკანონმდებლო ან სხვაგვარი ზომები, რათა დაადგინონ განსჯადობა ამ კონვენციით დადგენილ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით (კონვენციის 44-ე მუხლი). და ბოლოს, მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ ხანდამულობის ვადა საკმარისი იქნება იმისათვის, რათა შესაძლებელი იყოს მსხვერპლის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც დევნის დაწყება დამნაშავის მიმართ (კონვენციის 58-ე მუხლი).

სტამბულის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გერმანიაში შედარებით დროში გაიწელა. როგორც უკვე აღინიშნა, გერმანიამ კონვენციას 2011 წლის მაისში<sup>4</sup> მოაწერა ხელი. თუმცა, მან მისი რატიფიცირება მხოლოდ 2017 წლის ოქტომბერში მოახდინა, როგორც რიგით 24-ე ხელშემკვერელმა სახელწიფომ მთლიანობაში 45 მონაწილე სახელმწიფოს შორის<sup>5</sup>. შესაბამისად, 2011 წლის მაისში კონვენციის ხელმოწე-

---

<sup>4</sup> გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ კონვენციას 2011 წლის 11 მაისს მოაწერა ხელი: BT-Drucks. 17/12996, 2; კონვენცია ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც 10 ქვეყნის მიერ იქნა რატიფიცირებული (ალბანეთი, ანდორა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, დანია, იტალია, მონტენეგრო, ავსტრია, პორტუგალია, სერბეთი, ესპანეთი, თურქეთი), CETS No. 210.

<sup>5</sup> თუმცა, 78-ე მუხლის მეორე აბზაცით გათვალისწინებული დათქმით 59-ე მუხლთან მიმართებით. გერმანიამ 59-ე მუხლთან მიმართებით გაკეთებული დათქმით უარი განაცხადა დევნილი ან მიგრანტი ქალებისთვის, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი არიან ან რომლებიც სისხლის სამართლანარმოების პროცესში მოწმეების სახით იკითხებიან, დამოუკიდებელი ბინადრობის უფლების მიღების შესაძლებლობის გარანტირებაზე. აღნიშნულს 2018 წლის 1 თებერვლიდან ფედერა-

რასა და მის რატიფიცირებას შორის 6 წლიანი შუალედი იყო. კონვენცია გერმანიაში 2018 წლის პირველ თებერვალს შევიდა ძალაში.

კონვენციის გვიანი რატიფიცირების ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენდა პრინციპული დებატები, რომელიც ეხებოდა სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებულ გერმანულ სისხლის სამართალს. გერმანიაში ჯერ კიდევ წლების წინ, სტამბულის კონვენციის იმპლემენტაციისგან დამოუკიდებლად, მიმდინარეობდა დისკუსიები სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებულ რეფორმასთან მიმართებაში. 2011 წელს სტამბულის კონვენციაზე ხელმოწერით, აღნიშნული დებატები კიდევ უფრო გამწვავდა<sup>6</sup>.

სტამბულის კონვენციის გავლენით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები გერმანულ სისხლის სამართალში ეხება სისხლის სამართლის კანონის მოქმედებას (ნაშრომის II თავი), ხანდაზმულობის მარეგულირებელ ნორმებს (ნაშრომის III თავი) და ბოლოს - სექსუალური ხასიათის დანაშაულების შემადგენლობებს (ნაშრომის IV თავი).

## **II. სისხლის სამართლის კანონის მოქმედებასთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები**

სისხლის სამართლის კანონის მოქმედებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების ცვლილებები დიდი სამეცნიერო დისკუსიების თანხლების გარეშე განხორციელდა. ამიტომ, ამ შემთხვევაში, თითქოსდა, ერთი შეხედვით, მხოლოდ მარგინალურ ცვლილებებთან უნდა გვექნოდა საქმე. თუმცა, ეს ასე არ არის. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის კანონის მოქმედებასთან დაკავშირებული გერმანული საკანონმდებლო დანაწესები, სწორედ სტამბულის კონვენციის საფუძველზე, გარკვეულწილად მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამიტომ, გასაკვირია, რომ აღნიშნულმა ფაქტმა აქამდე მხოლოდ მცირე ყურადღება მიიპყრო. დროში არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, მე მხოლოდ ცალკეული მაგალითების

---

ლური კანონის ძალა აქვს., BGBl. II 2017 S. 1026.

<sup>6</sup> შეად. Isfen, ZIS 2015, 217, 218 ff.; Blume/Wegner, HRRS 2014, 357; BMJV, Referentenentwurf „Umsetzung europäischer Vorgaben zum Sexualstrafrecht; Stellungnahmen des Deutschen JuristInnenbundes e.V.“ v. 12.5. und 25.7.2014.

განხილვით შემოვიფარგლები.

გერმანიის სსკ-ის §5 მე-9, მე-9ა პუნქტ. „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საზღვარგარეთ ჩადენილი იძულებითი აბორტისა და იძულებითი სტერილიზაციის შემთხვევაში, გერმანული სისხლის სამართალი მოქმედებს დანაშაულის ჩადენის ადგილზე მოქმედი სამართლის მიუხედავად, თუკი დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს გერმანელი იყო. დანაშაულის მსხვერპლის ეროვნებას ამგვარი დანაშაულების შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭება.

თუმცა, გერმანული სისხლის სამართლის მოქმედება თავისთავად არ ვრცელდება იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც უცხო ქვეყანაში იქნა ჩადენილი, მაგრამ ჩადენის ადგილზე დასჯადად არ ითვლება, რადგან სისხლის სამართლის მოქმედების გაფართოებით (დანაშაულის ჩადენის ადგილზე მოქმედი სამართლისგან დამოუკიდებლად) წარმომშობი ქვეყნის სამართლის გადატანა ხდება უცხოურ სუვერენულ ტერიტორიაზე. აღნიშნული მოითხოვს დასაბუთების არსებობას მინიმუმ ე.წ. მატერიალური დაკავშირების მომენტის („genuine link“) სახით, რომელიც გაამართლებს სისხლის სამართლის კანონის მოქმედების გაფართოებას<sup>7</sup>. გერმანული სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლების სტამბულის კონვენციის საფუძველზე განხორციელებულ გაფართოებას უდევს თუ არა საფუძვლად მნიშვნელოვანი ე.წ. დაკავშირების მომენტი, რომელიც აღნიშნულ გაფართოებას გაამართლებდა, მიმდინარე ნაშრომში კრიტიკულად უნდა იქნას განხილული, იძულებითი აბორტის მაგალითის საფუძველზე.

მაგალითის სახით განვიხილოთ: დამნაშავე წარმოადგენს გერმანელ ექიმს და იგი უკვე 20 წელია ცხოვრობს სახელმწიფოში, რომელიც არ არის კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყანა. ექიმი ამ ქვეყანაში ქალებს უტარებს იძულებით აბორტებს. აღნიშნული ქმედებები სისხლისსამართლებრივად დასჯადია გერმანიაში, თუმცა, არა დანაშაულის ჩადენის ქვეყანაში, რომელიც არ არის სტამბულის კონვენციის მხარე. გერმანიის სსკ-ის §5-ის მიხედვით, ამ ქვეყნის მიმართ გავრცელდებოდა გერმანული სისხლის სამართლის მოქმედება. ისმის კითხვა: რითი უნდა დასაბუთდეს გერმანული

---

<sup>7</sup> შეად. IGH, ICJ-Rep. 1970, 1 ff. – Barcelona Traction; BVerfG NJW 2001, 1848, 1852; Satzger, in: Satzger/Schluckebier/Widmaier (Hrsg.), StGB, 3. Aufl. 2017, Vor §§ 3-7 Rn. 4; Holthausen, NJW 1992, 214.

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ამგვარი გაფართოება? გერმანელი კანონმდებელი მხოლოდ ფორმალურად უთითებს სტამბულის კონვენციის იმპლემენტაციიდან გამომდინარე ცვლილების განხორციელების აუცილებლობაზე<sup>8</sup>. აღნიშნულის საპირისპიროდ, მატერიალური დასაბუთება არ გვაქვს სახეზე.

გერმანული სისხლის სამართლის უცხო ქვეყანაში მოქმედების საფუძველი შესაძლოა სსკ-ის §5-ში დაგინახოთ, რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, წინაპირობად ითვალისწინებს, რომ დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს გერმანელს უნდა წარმოადგენდეს. გამომდინარე აქედან, ნორმა ეყრდნობა აბსოლუტური აქტიური პერსონალურობის პრინციპს<sup>9</sup>. ამგვარად, შესაძლოა ითქვას, რომ უცხო ქვეყანაში მცხოვრებ დამნაშავესაც კი აკისრია მისი წარმომშობი ქვეყნისა და მისი კანონებისადმი განსაკუთრებული ერთგულების ვალდებულება<sup>10</sup>. თუმცა, ამგვარი წარმოდგენა შეესაბამება სახელმწიფოს ავტორიტარულ გაგებას და ამით ე.წ. „ქვეშევრდომულ აზროვნებას“, რომელიც თავისუფალ დემოკრატიულ წყობილებასთან არ მოდის შესაბამისობაში<sup>11</sup>. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების გაფართოებით წარმოიქმნება დაპირისპირება წარმომშობი ქვეყნისა და ბინადრობის ქვეყნის მართლწესრიგებს შორის<sup>12</sup>. წარმომშობი ქვეყანა გვერდს უვლის ბინადრობის ქვეყნის გადაწყვეტილებას, სათანადო ქმედების სისხლისსამართლებრივად დასჯადად არ მიჩნევის შესახებ. გაზვიადებული ფორმულირება რომ მივცეთ: წარმომშობი ქვეყანა თავს ახვევს თავის ღირებულებებს ბინადრობის ქვეყანას და ამგვარად ერევა მის მართლწესრიგში<sup>13</sup>.

იძულებით აბორტებთან დაკავშირებული გერმანული სისხლის სამართლის ექსტერიტორიული გამოყენების საფუძველი შესაძლოა ასევე იმაში და-

---

<sup>8</sup> BT Drucks. 18/12037, 80 f.

<sup>9</sup> შეად. dazu Böse/Meyer, ZIS 2011, 336, 342.

<sup>10</sup> შეად. die Zwecksetzung des Kriegswaffenkontrollgesetzes (KWKG) v. 5.11.1990 (BGBl I 2428) und v. 22.11.1990 (BGBl. I 2506) und deren Darstellung in: Pottmeyer, NStZ 1992, 57.

<sup>11</sup> შეად. Böse/Meyer, ZIS 2011, 336, 342; Mayer, JZ 1952, 609, 611; Pollähne, NJW 1992, 57, 60 m.w.N.; Pottmeyer, NStZ 1992, 57, 60.

<sup>12</sup> Böse/Meyer, ZIS 2011, 336, 342.

<sup>13</sup> Ambos, in: Münchener Kommentar zum StGB, Bd. 1, 3. Aufl. 2017, § 5 Rn. 10 f.; Pottmeyer, NStZ 1992, 57, 58.

ვინახოთ, რომ მინიმუმ „ქვეყნის შიგნით ორსულების თვითგამორკვევის უფლებისათვის სათანადო ღირებულებითი ცნობიერება“<sup>14</sup> უნდა შეიქმნას და ისინი ამით მთლიანობაში დაცული უნდა იქნან იძულებითი აბორტებისაგან<sup>15</sup>. ცხადია, რომ ამგვარი დასაბუთება არასაკმარისია. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს, როდესაც მსხვერპლის მხარეს გერმანიის მოქალაქე წარმოადგენს. თუკი აღნიშნული არ არის სახეზე, მაშინ მხოლოდ დამნაშავის მოქალაქეობაზე ხდება დაყრდნობა.

მაშასადამე, გერმანია ვალდებული იყო სტამბულის კონვენციის საფუძველზე გაეფართოვებინა სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები. თუმცა, კონვენციის შემთხვევაში, საქმე, პირველ რიგში, ეხება რეგიონალურ შეთანხმებას, რომელიც მხოლოდ ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების მხრიდან იქნა ხელმოწერილი და რატიფიცირებული<sup>16</sup>. ამასთან, კონვენცია ხელშეკრულების მხარეებს ცალკეული ღონისძიებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით თავისუფალი მოქმედების ფარგლებს უტოვებს<sup>17</sup>.

ამგვარად, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს განსჯადობის გაფართოებასთან დაკავშირებით აქვთ დათქმის გაკეთების შესაძლებლობა<sup>18</sup>, მათთვის არ არის საგალდებულო განსჯადობის გაფართოება<sup>19</sup>. გერმანიამ აღნიშნული უფლებამოსილება არ გამოიყენა. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ გერმანიაში აბორტის იძულებითი ხასიათი მხოლოდ სასჯელის დადგენისას მიიღება მხედველობაში აბორტის ძირითადი შემადგენლობის არსებობის შემთხვევაში. დანაშაულის ძირითადი შემადგენლობისათვის კი აუცილებელია, რომ დამნაშავე არა მხოლოდ გერმანიის მოქალაქეს წარმოადგენდეს, არამედ მას თავისი საცხოვრებელი, ქვეყნის შიგნით, მაშასადამე, გერმანიაში ჰქონდეს. გამომდინარე

---

<sup>14</sup> Hoyer, in: Systematischer Kommentar zum StGB, Bd. I, 9. Aufl. 2017, § 5 Rn. 26.

<sup>15</sup> Hoyer, in: Systematischer Kommentar zum StGB, Bd. I, 9. Aufl. 2017, § 5 Rn. 26 f.

<sup>16</sup> შეად. BT Drucks. 18/12037 S. 45 f.

<sup>17</sup> შეად. ასევე Bezzak, KJ 2016, 557, 558; Isfen, ZIS 2015, 217, 231.

<sup>18</sup> შეად. განკარგ. 227 კონვენციის 44-ე მუხლთან მიმართებით: „დათქმებთან დაკავშირებით 78-ე მუხლის მეორე აბზაციტ ხელშეკრულების მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა არ დააფუძნონ აღნიშნული განსჯადობა ან მინიმუმ კონკრეტულად განსაზღვრულ შემთხვევებში ან განსაზღვრული გარემოებების არსებობისას დააფუძნონ.“

<sup>19</sup> შეად. კონვენციის 78-ე მუხლი.

აქედან, დოგმატურად შეუსაბამოა, როდესაც მხოლოდ სასჯელის განსაზღვრისათვის დადგენილი რეგულაციისთვის სისხლის სამართლის კანონის მოქმედების სხვა წესი უნდა მოქმედებდეს<sup>20</sup>. თუკი გერმანული სისხლის სამართლის კანონის მოქმედების გაფართოება საერთაშორისო სამართალთან წინააღმდეგობაში არ მოდის, სასურველი იქნებოდა, თუ გერმანული კანონმდებელი მისი გაფართოებისას მეტ თავშეკავებას მაინც გამოიჩინდა ან ყოველ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ ნორმას არ მიიღებდა.

მთლიანობაში, აღსანიშნავია, რომ მსგავს ეჭვებს აჩენს იძულებით სტერილიზაციასთან მიმართებით გერმანული სისხლის სამართლის კანონის მოქმედებასთან დაკავშირებული ცვლილებებიც.

### **III. ხანდაზმულობის მარეგულირებელ ნორმებთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები**

სტამბულის კონვენციის გავლენით ცვლილებები განიცადა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებულმა ნორმებმაც.

კონვენციით მხარეები იღებენ ვალდებულებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სექსუალურ ძალადობას, იძულებით ქორწინებას, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებასა და ასევე იძულებით აბორტსა და იძულებით სტერილიზაციასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი წარმოების დაწყებისათვის სასარჩელო ხანდაზმულობა საკმარისად გრძელი იყოს. იგი უნდა მოქმედებდეს იმ ვადის განმავლობაში, რაც საკმარისი და განსახილველი დანაშაულის სიმძიმის თანაბრობიერი იქნება, რათა შესაძლებელი იყოს საქმის წარმატებით აღძვრა მსხვერპლის სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ (კონვენციის 58-ე მუხლი).

გერმანიის სსკ-ის §78b პირველი აბზაცის თანახმად, დევნის ხანდაზმულობა მოქმედებს მსხვერპლის 30 წლის ასაკის მიღწევამდე არაერთი დანაშაულის შემთხვევაში, რომლებიც უკავშირდება სექსუალურ თვითგამორკვევას, მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისადმი არასათანადო მოპყრობას, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებას ან იძულებით

---

<sup>20</sup> Satzger, in: Satzger/Schluckebier/Widmaier (Hrsg.), StGB, 3. Aufl. 2017, § 5 Rn. 25.

ქორწინებას. ანუ, ხანდაზმულობა ამ ასაკიდან აითვლება, მანამდე ის „გა-  
ყინულია“.

აღნიშნულმა ნორმამ მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება განიცადა  
სტამბულის კონვენციის საფუძველზე. ხანდაზმულობის ვადა დასახელე-  
ბულ დანაშაულებთან მიმართებით 21 წლის ასაკიდან 30-მდე გაიზარდა.  
საქმის განუხილველად დატოვების შესახებ ნორმით დადგენილი ასაკის  
30 წლამდე გაფართოებით გერმანელმა კანონმდებელმა გაითვალისწი-  
ნა ის გარემოება, რომ აღნიშნული დანაშაულები ხშირად მათზე განაცხა-  
დის შეტანის შესაძლებლობის არსებობის მომენტისთვის, უკვე ხანდაზმუ-  
ლია. ხშირად საქმე ეხება ძალიან ახალგაზრდა მსხვერპლს, რომელსაც  
მხოლოდ დანაშაულიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ შეუძლია გაიაზროს  
მომხდარი. უფრო მეტიც, მსხვერპლნი ხშირად შესაძლოა დამნაშავეზე  
დამოკიდებულები იყვნენ. სრულწლოვანების მიღწევამდე ასეთ მსხვერ-  
პლებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება სა-  
მართალდამცავ ორგანოში განაცხადის შეტანის თაობაზე<sup>21</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლის სურვილი გამართლებულია,  
ამგვარი ზედმეტად დიდი გაფართოება არ არის თანაზომიერი და ასევე  
სტამბულის კონვენციის საფუძველზეც არ იდგა დღის წესრიგში აღნიშნუ-  
ლის საჭიროება. ამას ისიც ემატება, რომ მსხვერპლის დაცვის აუცილებ-  
ლობიდან გამომდინარე გარემოებების საფუძველზე, კითხვის ნიშნის  
ქვეშ დგას, თუ რამდენად გონივრულია ხანდაზმულობის ამგვარი დიდი  
ვადა, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადების გაგრძელებასთან ერთად,  
იმავედროულად იმატებს გაურკვევლობა და დასაბუთების სირთულე და  
აღნიშნულით შესაძლოა იმატებდეს ტვირთიც თავად მსხვერპლისთვის<sup>22</sup>.

---

<sup>21</sup> BT-Drucks. 18/2601 S. 22; Saliger, in: NK StGB, § 78b Rn. 6; Fischer, StGB, 66. Aufl. 2018, § 78b Rn. 3d; Rosenau, in: Satzger/Schluckebier/Widmaier (Hrsg.), StGB, 3. Aufl. 2017, § 78b Rn. 3

<sup>22</sup> მსხვერპლის ასაკის ფარგლების 30 წლამდე გაფართოებას მინიმუმ მძიმე სექსუ-  
ალური ხასიათის დანაშაულების შემთხვევაში იქამდე მივყავართ, რომ აღნიშნული  
დანაშაულების ხანდაზმულობა მინიმუმ მსხვერპლის მიერ 50 წლის ასაკის მიღწე-  
ვას გადის. თუკი აღნიშნულს დაემატება ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტებიც  
(გერმანიის სსკ-ის §78c), შესაძლოა ხანდაზმულობის ვადა მსხვერპლის მიერ 70  
წლის ასაკის მიღწევამდე გაგრძელდეს. აღნიშნულს აუცილებლად არ მივყავართ  
უფრო მეტ სამართლიანობამდე, რადგან მსხვერპლისათვის დანაშაულის მტკიცე-  
ბა დროის უფრო და უფრო მეტ გასვლასთან ერთად სულ უფრო რთული ხდება.

შეჯამების სახით, უპირველეს ყოვლისა, დადგინდა, რომ გერმანულმა ნორმებმა სისხლის სამართლის კანონის მოქმედებასა და სისხლის-სამართლებრივი ხანდამშულობის ვადებთან დაკავშირებით, სტამბულის კონვენციის გავლენით, ცვლილებები განიცადეს. თუმცა, ამასთან, კრიტიკულად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გერმანელმა კანონმდებელმა კონვენციით ნაკისრი მისი ვალდებულებები ნაწილობრივ გადაჭარბებით შეასრულა და მისთვის მინიჭებული იმპლემენტაციის ფარგლები საკმარისად არ გამოიყენა. უფრო მეტიც, მან თითქოსდა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საფუძველზე, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების მარეგულირებელი ნორმები სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედი სისხლის სამართლის საზიანოდ, სივრცისა და დროის თვალსაზრისით, გარკვეულწილად ზედმეტად გააფართოვა.

ის ფაქტი, რომ გერმანელი კანონმდებელი სტამბულის კონვენციით მისთვის მინიჭებულ მოქმედების ფარგლებს არ იყენებს და რომ იგი, თავის მხრივ, შესაძლებლობას იყენებს სისხლის სამართლის გასამკაცრებლად<sup>23</sup>, სექსუალური ხასიათის დანაშაულების რეფორმაშიც ნათლად შეიმჩნევა.

#### **IV. სექსუალური ხასიათის დანაშაულების რეფორმა გერმანულ სისხლის სამართალში**

როგორც უკვე დასაწყისში აღინიშნა, გერმანიის მხრიდან სტამბულის კონვენციის რატიფიცირების დაგვიანების მიზეზს სექსუალური ხასიათის დანაშაულებთან დაკავშირებული რეფორმა წარმოადგენდა. თავდაპირველად აღნიშნულმა გერმანიაში გამოიწვია დისკუსია იმის თაობაზე, კონვენციის საფუძველზე საერთოდ იდგა „თუ“ არა დღის წესრიგში სექსუალური ხასიათის დანაშაულების რეფორმის აუცილებლობა. აღნიშნული დისკუსიის უკეთ წარმოსაჩენად, პირველ რიგში, აუცილებელია სტამბუ-

---

საკითხავია, ნამდვილად ხდება თუ არა მსხვერპლის დახმარება იმით, რომ დანაშაულიდან 60 წლის გასვლის შემდეგ სასამართლოს მთავარი სხდომა ტარდება, რომელზეც სავარაუდო დამნაშავე in dubio pro reo-ს პრინციპის საფუძველზე მართლდება, Saliger, in: NK StGB, § 78b Rn. 6.

<sup>23</sup> შეად. Renzikowski, in: Münchener Kommentar zum StGB, Bd. 3, 3. Aufl. 2017, Vor § 174 Rn. 109.

ლის კონვენციით დადგენილი ვალდებულებების განხილვა.

კონვენციის 36-ე მუხლი სხვა დანაწესებთან ერთად, ითვალისწინებს, რომ სექსუალური ხასიათის ქმედებების ყველა ფორმა, რომელიც ადამიანის ნებაყოფლობით გაცემული თანხმობის გარეშე ხორციელდება, დასჯადი უნდა იყოს<sup>24</sup>.

ამასთანავე, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ 36-ე მუხლის იმპლემენტაციისას მხარეების უფლებამოსილებაში რჩება „კანონმდებლობაში ზუსტი ფორმულირების განსაზღვრისა და იმ ფაქტორების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, რომლებიც პიროვნების თავისუფალი ნების გამოხატვის არსებობას გამორიცხავენ“ (განკ. 193-ე მეორე წინადადება). აღნიშნულით ხელშემკვრელ მხარეებს იმპლემენტაციისას თავისუფალი მოქმედების ფარგლები ენიჭებათ.

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი 2016 წლამდე შეთანხმებულ სქესობრივ კონტაქტს *per se* დასჯადად კი არ მიიჩნევდა, არამედ კანონი ითვალისწინებდა მხოლოდ თანხმობის არარსებობის ან სამართლებრივი ძალის არმქონე თანხმობის არსებობის კონსტელაციებს<sup>25</sup>. ამით ქმედებები დაუსჯელი რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ქმედება მსხვერპლის ნების საწინააღმდეგოდ ხორციელდებოდა და აღნიშნულით მსხვერპლის სქესობრივი თვითგამორკვევა ირღვეოდა<sup>26</sup>. გერმანიის სსკ-ის §177-ის პირველი აბზაცის ძველი ვერსია შემდეგნაირად ჟღერდა:

---

<sup>24</sup> კონვენციის 36-ე მუხლი აღნიშნულით იხსენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მიღებულ გადაწყვეტილებას საქმეზე „მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ“. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები მოითხოვენ ყოველი თანხმობის გარეშე განხორციელებული სქესობრივი აქტის დასჯას. EGMR M.C. v. Bulgarien, Urteil v. 4.12.2003, Beschwerdenummer 39272/98. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად შეად. Sick/Renzikowski, FS Rössner, 2015, S. 928, 937 ff. საქმეში „მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ“ გაჟღერებული განხილული მოთხოვნა სასამართლომ სხვადასხვა გადაწყვეტილებებში კიდევ უფრო გაამყარა: შეად. მაგ. EGMR 15.5.2012 – 53519/07 (I.G. gegen Moldawien), § 45; EGMR v. 24.7.2012 – 42418/10 (D.J. gegen Kroatien), § 86; EGMR 24.9.2013 – 13424/06 (N.A. gegen Moldawien), § 71.

<sup>25</sup> დაწვრილებით იხ. Renzikowski, in: Münchener Kommentar zum StGB, Bd. 3, 3. Aufl. 2017, Vor § 174 Rn. 10, 115.

<sup>26</sup> Bezjak, KJ 2016, 557, 558.

„პირი, რომელიც ძალადობის გამოყენებით ან სხეულის ან სიცოცხლის წინააღმდეგ ძალადობის განხორციელების მუქარის გამოყენებით ან იმ მდგომარეობის გამოყენებით, რომელშიც მსხვერპლი დამნაშავის ქმედებისგან დაუცველია, ახორციელებს მსხვერპლისადმი დამნაშავის (...) მხრიდან განხორციელებული სექსუალური ქმედებების მოთმენის (...) იძულებას, უნდა დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე მეტი ხნის ვადით“.

§117-ის ძველი ვერსიის განმარტების მიხედვით, აუცილებელი იყო დამნაშავის ე.წ. ორი აქტისაგან შემდგარი მოქმედება. მაგ. დამნაშავე ვალდებული იყო განეხორციელებინა ძალადობა ან გამოეყენებინა უმწეო მდგომარეობა სექსუალური ქმედებების მოთმენის იძულებისთვის. მაშასადამე, იძულების არსებობაზე რომ გვესაუბრა, დამნაშავეს, პირველ რიგში, მსხვერპლის საწინააღმდეგო სურვილი უნდა დაეძლია. ძალადობის, როგორც სექსუალური ქმედებების ჩადენის „საშუალების“ გამოყენება, კი ბოლოს უნდა მომხდარიყო.

მაგალითი: მსხვერპლი ეჭვმიტანილთან ერთად ცხოვრობს „ძალადობის კლიმატში“. სექსუალური ქმედებების განხორციელების მომენტისათვის ბრალდებული არც აშკარად და არც კონკლუდენტურად არ ახდენს წინმსწრებ ძალადობას. მსხვერპლი მართალია ატყობინებს, რომ მას არ სურს სქესობრივი ქმედება, თუმცა, არ იბრძვის, ვინაიდან ძალადობის ხელახალი გამოყენების შიში აქვს. ამ შემთხვევაში სახეზე არ არის საბოლოო კავშირი ძალადობის გამოყენებასა და სექსუალურ ქმედებას შორის<sup>27</sup>.

ამგვარ შემთხვევებს არ მოიცავდა ასევე სექსუალური ძალადობის გამოვლენის შემადგენლობებიც, რომელთა დროსაც მსხვერპლი მხოლოდ სუბიექტურად მიიჩნეოდა უმწეო მდგომარეობაში მყოფად, თუმცა, ობიექტურად აღნიშნული არ იყო სახეზე. გერმანიის უმენაცსმა ფედერალურმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში<sup>28</sup> განმარტა, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ იმის დადგენა, რომ მსხვერპლს წინააღმდეგობის განწევისას ჰქონდა განსასჯელის მხრიდან დარტყმების განხორციელების

---

<sup>27</sup> Bezjak, KJ 2016, 557, 558; vgl. auch den Fall in BGH NStZ 2013, 466.

<sup>28</sup> BGH NStZ 2013, 466.

მოლოდინი. აღნიშნულით მხოლოდ დასტურდება, რომ მსხვერპლი „თავს უმწეოდ გრძობდა“ და არა ის, რომ იგი ფაქტობრივად დაუცველი იყო<sup>29</sup>. ეს მაგალითები ნათელს ხდის, რომ გერმანულ სისხლის სამართალში არსებობდა ხარვეზები სექსუალური თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით, რომლებიც ასევე სტამბულის კონვენციის საფუძველზე უნდა გამოსწორებულიყო<sup>30</sup>.

თუმცა, სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისა და პრაქტიკოსების ნაწილის მოსაზრებით, ხსენებული ხარვეზების მიუხედავად, დღის წესრიგში არ იდგა ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. აღნიშნული მოსაზრების დასაბუთება სხვა არგუმენტებთან ერთად იმითაც ხდებოდა, რომ განხილული ხარვეზები სისხლის სამართლის კოდექსში გათვლილ ხარვეზებს წარმოადგენდა, რადგან „სექსუალური ძალადობის გამოვლენის“ შემადგენლობით დაცულია არა „სექსუალობა“, როგორც ასეთი, არამედ (ნებაყოფლობითი) გადაწყვეტილების მიღების ავტონომია. აქედან გამომდინარე, დანაშაული მხოლოდ მაშინაა სახეზე, როდესაც ადამიანისადმი (მისთვის მიკუთვნებადი) უცხო ქმედების განხორციელების იძულება ან კონსტიტუციურად ცხადი დამცირება ხორციელდება<sup>31</sup>. ნაწილობრივ ასევე დასაშვებადაა მიჩნეული, რომ არსებული ხარვეზების შევსება შესაძლებელი იყო კონვენციის შესაბამისი განმარტების საფუძველზეც<sup>32</sup>.

სხვა მოსაზრების მიხედვით კი, რეფორმის განხორციელების აუცილებლობა დღის წესრიგში იდგა და საბოლოოდ, ამ მოსაზრებამ გაიმარჯვა<sup>33</sup>.

ცვლილების განხორციელების აუცილებლობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, მეორე ბარიერი გაჩნდა: კერძოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო რეფორმა. რა სახე უნდა ჰქო-

---

<sup>29</sup> უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ საქმე დაუბრუნა ესენის მიწის სასამართლოს აღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით ხელახალი მოსმენი ჩატარებაზე მითითებით, LG Essen, Urteil vom 10. September 2012 – 25 KLS 10/12.

<sup>30</sup> Bezjak, KJ 2016, 557, 559.

<sup>31</sup> Fischer, ZIS 2015, 312, 314, 315.

<sup>32</sup> Gerhold, JR 2016, 122, 123 ff.; Frommel, ZRP 2016, 122, 123.

<sup>33</sup> Renzikowski, in: Münchener Kommentar zum StGB, Bd. 3, 3. Aufl. 2017, § 177 n.F. Rn. 30; Eisele, RPpsych. 3 (2017), 7, 8 ff.; Hörnle, ZIS 2015, 206, 208 ff.

ნოდა მას? ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიამ ნაწილობრივ დაკარგა ობიექტური სახე და ძალიან ემოციურად იმართებოდა<sup>34</sup>.

დისკუსიების საბოლოო შეწყვეტა კიოლნის ცენტრალური რკინიგზის სადგურზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე და ასევე სხვა დიდ ქალაქებში 2016 წლის ახალი წლის ღამეს მომხდარმა ინციდენტებმა გამოიწვია<sup>35</sup>. ამ ღამეს მრავალი ქალის მიმართ განხორციელდა სექსობრივი შევიწროება და ქურდობა. პოლიციამ დაგეგმვისა და გეგმის შესრულებაში დაშვებული უამრავი შეცდომის გამო, იმ ღამის განმავლობაში წარმოქმნილი სიტუაციის კონტროლი ვერ განახორციელა<sup>36</sup>.

გარდა ამისა, მედიის მხრიდან მოვლენის ცალმხრივმა და არადიფერენცირებულმა გაშუქებამ, პოლიტიკურ კლიმატზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა და ობიექტურობის დაკარგვა გამოიწვია. საბოლოოდ, გერმანიის სსკ-ის §177-მა არსებითი ცვლილება განიცადა. კანონში სხვა ცვლილებებთან ერთად, ასევე განხორციელდა ე.წ. „არა-ნიშნავს-არას“ ფორმულირების იმპლემენტაცია<sup>37</sup>. აღნიშნულის მიხედვით, სექსუალური ქმედება მხოლოდ მაშინ არის დასჯადი, თუკი იგი მსხვერპლის შესამჩნევი სურვილის საწინააღმდეგოდ ხორციელდება. გერმანიის სსკ-ის §177-ის პირველი აბზაცის მიხედვით, „სექსუალურ თავდასხმას“ ახორციელებს პირი, რომელიც სხვა პირის აშკარა სურვილის საწინააღმდეგოდ, მაინც ახორციელებს სექსუალურ ქმედებებს ამ პირის მიმართ (...) და იგი ისჯება 6 თვიდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით<sup>38</sup>.

აღნიშნულით „სექსუალური თვითგამორკვევის დარღვევის ცენტრში მსხვერპლის სურვილია დაყენებული“<sup>39</sup>. კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, მსხვერპლის საწინააღმდეგო სურვილი, „ობიექტური მესამე

---

<sup>34</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით ზოგადად შეად. Hoven, KriPoZ 2018, 2; El-Ghazi, ZIS 2017, 157; მაგალითის სახით იხ. Hörnle, ZIS 2015, 206; Fischer, ZIS 2015, 312.

<sup>35</sup> შეად. El-Ghazi, ZIS 2017, 157; Hoven, KriPoZ 2018, 2.

<sup>36</sup> Hoven/Weigend, JZ 2017, 182; Lamping, JR 2017, 347; Wolters/Noltenius, in: Systematischer Kommentar zum StGB, Bd. IV, 9. Aufl. 2017, § 177 Rn. 5.

<sup>37</sup> შეად. BT-Drucks 18/9097.

<sup>38</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად შეად. Wolters/Noltenius, in: Systematischer Kommentar zum StGB, Bd. IV, 9. Aufl. 2017, § 177 Rn. 9 ff.

<sup>39</sup> BT-Drucks. 18/9097 S. 21.

პირის“ მხრიდან უნდა იყოს შესამჩნევი. აღნიშნული პრობლემატურია, რადგან დანაშაულის შემადგენლობის ამ ნიშანს დანაშაულის განზრახვაც უნდა მოიცავდეს, რათა გერმანიის სსკ-ის §177-ის პირველი აბზაცის ახალი ფორმულირება გვექონდეს სახეზე. ამასთანავე, არ შეიძლება საკმარისი იყოს დანაშაულის მიერ მხოლოდ იმ გარემოებების ცოდნა, რომელზე დაყრდნობითაც ობიექტურ მესამე პირს შეეძლო საწინააღმდეგო ნების შეცნობა, თუმცა, აღნიშნული დანაშაულის გაცნობიერებული არ ჰქონდა<sup>40</sup>. ეს რეალურად გაუფრთხილებლობის დასჯადობამდე მიგვიყვანს, ვინაიდან დანაშაულის ბრალად ედება მსხვერპლის საწინააღმდეგო სურვილის გაუფრთხილებლობით ვერ შეცნობა<sup>41</sup>. სექსუალური თავდასხმის ახალ შემადგენლობასა და „აშკარა საწინააღმდეგო სურვილის“ ნიშანთან დაკავშირებით, პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი უმაღლეს მართლმსაჯულებაში რა მიდგომა გამოიკვეთება, მომავალში გამოჩნდება.

გერმანიის სსკ-ის §177-ისაგან დამოუკიდებლად, კიდევ ორი დანაშაულის შემადგენლობა იქნა შემოღებული: სექსუალური შევიწროება (გერმანიის სსკ-ის §184i) და ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულები (გერმანიის სსკ-ის §184j). გერმანიის სსკ-ის §184i-ის მიხედვით, სასჯელი ეკისრება პირს, რომელიც სხვა პირის მიმართ განახორცილებს სექსუალური ხასიათის ფიზიკურ შეხებას და ამგვარად მის შევიწროებას.

გერმანიის სსკ-ის §184j, რომლის წაკითხვა და გაგება თითქმის შეუძლებელია, დასჯადად მიიჩნევა ჯგუფის მხრიდან ჩადენილ დანაშაულებს. კერძოდ, იგი ითვალისწინებს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან ფულად ჯარიმას, იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულის ჩადენას იმით უწყობს ხელს, რომ წევრია პირთა ისეთი ჯგუფისა, რომელიც სხვა პირზე ახდენს ზეწოლას და როცა ჯგუფში ერთი მონაწილის მხრიდან ხორციელდება გერმანიის სსკ-ის §177 ან §184i-ით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

---

<sup>40</sup> თუმცა, ამგვარად იკითხება ფედერალური კანონის განმარტებით ბარათში, იხ. BT-Drucks. 18/9097 S. 23; შეად. Renzikowski, NJW 2016, 3553, 3554; Wolters/Noltenius, in: Systematischer Kommentar zum StGB, Bd. IV, 9. Aufl. 2017, § 177 Rn. 15.

<sup>41</sup> შეად. ასევე Frommel, NK 2016, 268, 280; Renzikowski, in: Münchener Kommentar zum StGB, Bd. 3, 3. Aufl. 2017, § 177 n.F. Rn. 56; Renzikowski, NJW 2016, 3553, 3554; Lamping JR 2017, 347, 353.

გერმანიის სსკ-ის §184j განსაკუთრებით პრობლემურია ბრალეულობის პრინციპთან მიმართებაში<sup>42</sup>, რადგან სექსუალური ხასიათის დანაშაული არ ავლენს კავშირს ჯგუფურ ზეწოლასთან: დასახელებული სექსუალური ხასიათის დანაშაულების ჩადენაში არ რეალიზდება ჯგუფური ზეწოლის ტიპური რისკი<sup>43</sup>. დამნაშავესთვის ჯგუფის წევრის მიერ ჩადენილი სექსუალური ხასიათის ქმედება, მხოლოდ შემთხვევით მოვლენას წარმოადგენს<sup>44</sup>. ამით დამნაშავეს ობიექტურად მიეწერება ის, რისი პასუხისმგებლობაც მას არ აკისრია და ამასთან, რაზეც მას არანაირი გავლენა არ აქვს<sup>45</sup>.

სტამბულის კონვენციით არ იდგა გერმანიის სსკ-ის §184i და §184j-ით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობების შემოღების აუცილებლობა და მათ შექმნაზე კონვენციას ნაკლები გავლენა ჰქონდა. აღნიშნული ნორმების შემოღება გამომწვეული იყო 2016 წლის ახალი წლის ღამეს მომხდარი ინციდენტებით და მათ საფუძვლზე შექმნილი პოლიტიკურ-სამართლებრივი კლიმატით<sup>46</sup>.

სექსუალური ხასიათის დანაშაულების სფეროში განხორციელებული მემოხსენებელი ცვლილებების დასრულებისთანავე, კვლავ დღის წესრიგში დადგა დისკუსია ხელახალი რეფორმის განხორციელების შესახებ. აღნიშნული გამომწვეულია იმით, რომ გერმანიის სსკ-ის §177-ის ახალი ვერსია ნაწილობრივ ძალიან ფართოდ, არასისტემურად და დოგმატურად ბუნდოვნად მიიჩნევა<sup>47</sup>. ბევრი სრულიად სამართლიანად ემხრობა გერმანიის სსკ-ის §184j-ით გათვალისწინებული, ჯგუფიდან მომდინარე დანაშაულების დასჯადობის, გაუქმებას<sup>48</sup>.

---

<sup>42</sup> Renzikowski, in: Münchener Kommentar zum StGB, Bd. 3, 3. Aufl. 2017, § 184j n.F. Rn. 14; Wolters/Noltenius, in: Systematischer Kommentar zum StGB, Bd. IV, 9. Aufl. 2017, § 184j Rn. 2.

<sup>43</sup> Renzikowski, NJW 2016, 3553, 3554; Wolters/Noltenius, in: Systematischer Kommentar zum StGB, Bd. IV, 9. Aufl. 2017, § 184j Rn. 13.

<sup>44</sup> Lamping JR 2017, 347, 353; Renzikowski, NJW 2016, 3553, 3554.

<sup>45</sup> Hoven/Weigend, JZ 2017, 182, 191.

<sup>46</sup> Fischer, StGB, 66. Aufl. 2018, § 184j Rn. 2; Wolters/Noltenius, in: Systematischer Kommentar zum StGB, Bd. IV, 9. Aufl. 2017, § 184j Rn.1.

<sup>47</sup> შეაღ. რეფორმაზე მომუშავე კომისიის დასკვნითი მოხსენება, 2017, S. 57 ff.

<sup>48</sup> შეაღ. რეფორმაზე მომუშავე კომისიის დასკვნითი მოხსენება, , 2017, S. 312 ff.; Hoven/Weigend, JZ 2017, 182, 191; Renzikowski, NJW 2016, 3553, 3558.

## V. დასკვნა

სტამბულის კონვენციის მოთხოვნები სამართლიანი და მნიშვნელოვანია. გერმანელმა კანონმდებელმა შეასრულა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები. ნაწილობრივ, როგორც უკვე განხილულ იქნა, გადაჭარბებითაც კი.

სასურველი იქნებოდა, რომ ისეთი სამართლიანი საზოგადოებრივი მოთხოვნა - როგორც სხვადასხვა სახელმწიფოს ერთობლივი საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე სექსობრივი ნიშნით განპირობებული ძალადობის პრევენცია და აღკვეთა - დაექვემდებაროს არა ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოთხოვნას, არამედ მისი შესრულებისას გათვალისწინებულ იქნას სამართლებრივი კრიტერიუმები, განსაკუთრებული სიფრთხილით კი - სისხლის სამართალი. აღნიშნული საყვედური გერმანელი კანონმდებლისადმი განსაკუთრებითაა მიმართული, ვინაიდან იგი ხშირად არა მხოლოდ საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულებების იმპლემენტაციას ახდენს, არამედ მათ საკუთარი კანონმდებლობის გამკაცრების შესაძლებლობად იყენებს.

რეპრესიული ღონისძიებების განხორციელების ნაცვლად, პრევენციული ნაბიჯების გადადგმა, მათი კონსერვატიულობის მიუხედავად, უფრო მეტად გონივრული და ეფექტური იქნებოდა. სტამბულის კონვენციის მოთხოვნას სწორედ სექსის ნიშნით განპირობებული ძალადობის პრევენცია და აღკვეთა წარმოადგენს. თუმცა, პრევენცია სისხლის სამართლის ნამდვილი ამოცანა არ არის. სისხლის სამართალი, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და მისი აღკვეთის ინსტრუმენტი ყოველთვის უფრო გვიან მოქმედებს, რადგან იგი მხოლოდ მაშინ ერთგება, როდესაც საქმე უკვე მისულია დანაშაულამდე.

უფრო ეფექტური და გონივრული იქნებოდა როგორც ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, ასევე ძალადობის მსხვერპლი მამაკაცებისთვის ყოვლისმომცველი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სისტემის შექმნა. ამგვარად, არსებობს ძალადობისაგან დაცვის საყოველთაო განთავსებისა და საკონსულტაციო ცენტრების შექმნის, თერაპიის შესაძლებლობებისა და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის საჭიროება. აღნიშნული, თავისთავად, მოითხოვს დიდი ოდენობით

ფინანსურ და ადამიანურ რესურსს<sup>49</sup>. სისხლის სამართლის ცვლილება კი გონების დასამშვიდებლად არსებითად სწრაფ, ნაკლები დანახარჯების მქონე და მოჩვენებითად ეფექტურ გზას წარმოადგენს. თუმცა, მის გამოყენებას მხოლოდ აღნიშნული არ ამართლებს. სისხლის სამართალი, როგორც ინდივიდების უფლებებში ინტენსიური ჩარევის მექანიზმი, გაუაზრებელი პოლიტიკური მოთხოვნების ინსტრუმენტად კი არ უნდა იქცეს, არამედ, როგორც ultima ratio მოქმედებდეს<sup>50</sup>.

---

<sup>49</sup> შუად. გერმანიის იურისტთა ასოციაციის მოსაზრება e.V. v. 29.1.2018, S. 1, 5

<sup>50</sup> შუად. Hoven/Weigend, JZ 2017, 182, 191.

# სტამბულის კონვენცია და მისი გავლენები ქართულ სისხლის სამართალზე

ასოც. პროფ. დოქტ. **ბაჩანა ჭიშკარიანი**, საქართველოს უნივერსიტეტი

## I. შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია მიღებულ იქნა 2011 წლის 11 მაისს, ქალაქ სტამბულში, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და სხვა ხელმომწერთა მიერ. საქართველოში ამ დოკუმენტის რატიფიკაცია განხორციელდა პარლამენტის დადგენილებით 2017 წლის 5 აპრილს<sup>1</sup>. კონვენციის მიღებით მხარეებმა პრეამბულაშივე აღიარეს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ისტორიულად ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალთა უთანასწორობის გამოვლენა ქალების მიმართ, რამაც დისკრიმინაციამდე და მათზე დომინირებამდე მიგვიყვანა. ხაზი გაესვა იმასაც, რომ გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი ის მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის გამოც ქალები იძულებულნი არიან დაიკავონ მამაკაცთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა. ქალები და გოგონები ხშირად განიცდიან ისეთი სერიოზული ფორმების ძალადობას, როგორცაა ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება, „ღირსების სახელით“ ჩადენილი დანაშაულები და სასქესო ორგანოების დასახინჩრება, რაც ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა თანასწორუფლებიანობის მიღწევის საქმეში.

როგორც ვხედავთ, კონვენცია არ წარმოადგენს მხოლოდ დეკლარატორული შინაარსის დოკუმენტს, რომელიც ზოგადი ფორმულირებებით და ვალდებულებებით შემოიფარგლება. ის მნიშვნელოვანია სისხლის სამართლისთვისაც, ვინაიდან მასში კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობები არის განწერილი, რაც ქართულ თუ სხვა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე აისახა ვიდრე. აღნიშნული ნაშრომის მიზანია სწორედ ამ ცვლილებების ანალიზი და ცალკეული (ახალი) დანაშაულების ნიშნების მიმოხილვა.

---

<sup>1</sup> კონვენციის სრული ტექსტი ქართულ ენაზე იხ. ვებ-გვერდზე [matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge).

## II. ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალურობა საქართველოში

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი კონვენციის მიღმაც აქტუალური იყო და არის საქართველოში, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის კონტექსტში. მთავარი პროკურატურის მონაცემებით 2014 წელს 550 ადამიანის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება, 2015-16 წლებში ეს ციფრი გაიზარდა 1066/1356-მდე, ხოლო 2017-ში კი დაახლოებით 1200-იყო<sup>2</sup>. პროკურატურის განცხადებით, იშვიათად ხდება მოძალადის მიმართ საპროცესო შეთანხმების ან დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება, რაც იმის გამოხატულებაა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ცდილობენ არ იყვნენ ლიბერალურები ოჯახური დანაშაულების მიმართ<sup>3</sup>.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ზოგადი ნაწილის 11<sup>1</sup> მუხლის სახით კონვენციის რატიფიკაციამდე ბევრად უფრო ადრე იცნობდა ოჯახური დანაშაულის ცნებას, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ განხორციელებულ მკვლელობას, ჯანმრთელობის დაზიანებას, გაუპატიურებას თუ სხვა დანაშაულებს გულისხმობდა (და გულისხმობს). თუმცა, სტამბულის კონვენცია უფრო შორს მიდის და მის საფუძველზე სისხლის სამართლის კერძო ნაწილში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის დანიშვნისას, ოჯახის ფარგლებში დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა (სსკ მუხ. 53, ნაწ. 2).

2017 წლის იანვარში, საქართველოს პარლამენტში ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა კანონპროექტი ფემიციდის შესახებ, რომელიც ქალის მკვლელობისთვის სპეციალური ნორმის შემოღებას გულისხმობდა, ვინაიდან გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობები არსებული ნორმებით სათანადო ასახვას ვერ პოვებდა სისხლის სამართლის კოდექსში და არ განიხილებოდა როგორც უთანასწორობით გამოწვეული დანაშაული<sup>4</sup>.

პარლამენტმა ეს ინიციატივა არ გაიზარა და სავსებით სამართლი-

<sup>2</sup> <http://netgazeti.ge/news/236011/> (ნანახია 28.6.2018).

<sup>3</sup> <http://netgazeti.ge/news/236011/> (ნანახია 28.6.2018).

<sup>4</sup> <http://www.tabula.ge/ge/story/116321-respublikelebma-femicidish-shesaxeb-sakanonmdblobtsinadadeba-kvlav-daaregistryes> (ნანახია 28.6.2018).

ანად. როგორც უკვე ითქვა, ოჯახის ფარგლებში ან გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენა არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე ისედაც დამამძიმებელი გარემოებაა და მოქმედი განზრახ მკვლელობის მუხლი (მუხ. 108), 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასამართლოს უპრობლემოდ შეუძლია ფემიციდის შემთხვევაში ამ სასჯელის ბოლომდე ამოწურვა, ხოლო, თუ ქალს განსაკუთრებული სისასტიკით მოკლავენ, რისი შემთხვევებიც ბოლო პერიოდში ყოფილა საქართველოში, კვალიფიკაცია გადავა სსკ-ის 109-ე მუხლში, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა და აქ სასჯელი კიდევ უფრო მკაცრია (უვადო თავისუფლების აღკვეთა).

განმარტების გზით კიდევ უფრო შორს შეიძლება წასვლა და ნებისმიერი ფემიციდის შემთხვევის 109-ე მუხლის ფარგლებში მოქცევა, როგორც ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობის, ვინაიდან ხულიგნური ქვენაგრძნობა ხომ სწორედ განსაკუთრებით „გაუგებარი“, მდაბიო მიზნებით ჩადენილ მკვლელობას გულისხმობს, რა დროსაც სრულიად შეუსაბამოა ერთმანეთთან მკვლელობის მიზეზი და შედეგი<sup>5</sup>.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სპეციალური შემადგენლობის შემოღება სრულიად ზედმეტია და კიდევ უფრო დაამძიმებს ისედაც მსგავსი ნორმებით გადატვირთულ სისხლის სამართლის კოდექსს. ის არგუმენტი, რომ პრაქტიკაში მოტივების გამოკვეთა სათანადოდ არ ხდება სამართალდამცავების მიერ, არ არის კოდექსის პრობლემა. ეს უკვე პრაქტიკაში გასამკლავებელი გამოწვევაა, თუნდაც შესაბამისი სწავლების ფორმით.

### **III. ახალი შემადგენლობები სისხლის სამართლის კოდექსში**

#### **1. სტერილიზაცია თანხმობის გარეშე – სსკ მუხ. 133**

სტამბულის კონვენციის 39-ე მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დანაშაულად ჩაითვალოს ქალისთვის აბორტის გაკეთება მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე. ასევე, დაუშვებელია ისეთი ქირურგიული ოპერაციის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს ან

---

<sup>5</sup> დაწვრ. იხ. ჯიჰკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, აბზ. 96 და შემდეგი.

ინვესტს ქალის ბუნებრივი რეპროდუქციის უნარის შეწყვეტას მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის ან ამ პროცედურის გააზრების გარეშე.

აბორტის ნაწილში ქართული სისხლის სამართლის კოდექსი არ საჭიროებდა რამე ცვლილებას, ვინაიდან სსკ-ის 133-ე მუხლით თანხმობის გარეშე მისი გაკეთება ისედაც დასჯადი იყო<sup>6</sup>. რაც შეეხება სტერილიზაციას, კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა ახალი შემადგენლობის შემოღება 133<sup>1</sup> მუხლის სახით. აღნიშნულით ქართული შემადგენლობა არ ახდენს დიფერენცირებას სქესის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ის კონვენციის პირმშობაა. დასჯადობისთვის სულ ერთია, ქალს თუ მამაკაცს ჩაუტარდება იძულებითი სტერილიზაცია.

ამ მუხლის შემოღებით პრაქტიკაში აუცილებლად დადგება მისი სსკ-ის 117-ე მუხლისგან (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) გამიჯვნის საკითხი, ვინაიდან ის ისედაც გულისხმობს რომელიმე ორგანოს ფუნქციის დაკარგვისთვის დასჯადობას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ 117-ე მუხლით დასჯადობისთვის აუცილებელია შედეგის დადგომა, ხოლო 133<sup>1</sup> ფორმალური შემადგენლობაა და სტერილიზაციის მიზნიდან გამომდინარე ქმედების კრიმინალიზებას ახდენს. რამდენად საჭირო იყო სპეციალური შემადგენლობის შემოღება კონვენციიდან გამომდინარე, სადავოა, ვინაიდან მსგავსი ქმედებები, თუ ის შედეგს გამოიწვევდა, აქამდეც ისჯებოდა, ხოლო შედეგის არდადგომის შემთხვევაში მცდელობად შეფასდებოდა. კონვენციისთვის მთავარია, რომ მოხდეს მასში აღწერილი ქმედებების დანაშაულად გამოცხადება, მათი ეფექტური დასჯა და არა ის, თუ სად მოექცევა ეს შემადგენლობა, ახალ მუხლში თუ არსებულის განმარტება მოხდება.

საინტერესოა თვითონ ტერმინ მანიპულაციის, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშნის, არსიც. ამსრულებელმა უნდა განახორციელოს ოპერაცია ან მანიპულაცია. ოპერაცია შესაძლოა სამედიცინო ჭრილში განიმარტოს, მაგრამ რას ნიშნავს მანიპულაცია? მას ბევრნაირი განმარტება გააჩნია, როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო. რას უნდა დაეყ-

---

<sup>6</sup> ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1, 2016, 196 და შემდეგი; ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2016, აბზ. 491 და შემდეგი.

რდნოს პრაქტიკა? მხოლოდ სამედიცინო შინაარსს თუ დავეყრდნობით, გამოდის, რომ ერთმა პირმა მეორეს სპეციალურად რამე ნივთი რომ დაარტყას რეპროდუქციის უნარის მოშლის მიზნით, მისი შეფასება ვერ მოხდებოდა ამ ახალი მუხლით და 117-ის გამოყენება მოგვიწევდა, რაც არ იქნებოდა სასურველი, ვინაიდან სხვადასხვა სახის ზემოქმედება, განხორციელებული ერთი და იმავე მიზნით, სხვადასხვა შემადგენლობაში მოექცეოდა. ამიტომ, სასურველია ტერმინ მანიპულაციის განმარტება ფართოდ მოხდეს, რათა რეპროდუქციის უნარის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები სპეციალურ, 133<sup>1</sup> მუხლში მოექცეს.

სსკ-ის 117-ე მუხლისა და ახალი შემადგენლობის გასამიჯნად შეიძლება ისიც გვეთქვა, რომ სტერილიზაცია თანხმობის გარეშე საფრთხის შემქმნელი დელიქტების თავშია მოქცეული და თვითონ ქმედება ისჯება, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე შედეგის გამორიცხვა არასწორი იქნებოდა. როდესაც დამნაშავე რაღაც მიზნით მოქმედებს და თუ ამ მიზანს მიაღწია, იმავე მუხლში შეფასდება (შეად. თუნდაც ასევე ახალი, 133<sup>2</sup> მუხლი, რომელიც ამავე თავშია მოქცეული, მაგრამ შედეგის დადგომას ითხოვს სასქესო ორგანოების დასახიჩრების სახით).

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელმა ზედმინეგნით შეასრულა კონვენციის მოთხოვნები, მაგრამ მეორე მხრივ, სიცხადე ნამდვილად არ შეუტანია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემაში.

## **2. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება – სსკ მუხ. 133<sup>2</sup>**

საქართველოში ეს პრობლემა განსაკურებულად აქტუალური არ არის, თუმცა, მისი არსებობა არ გამოირიცხება. ქართული რეგულაცია სრულად აკმაყოფილებს კონვენციის 38-ე მუხლის მოთხოვნებს და დასჯადია რელიგიური თუ სხვა ტრადიციის გავლენით ან ამ გავლენის გარეშე ქალის სასქესო ორგანოების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვაგვარი დასახიჩრება, ან ქალის იძულება ან დაყოლიება, ჩაიტაროს ამგვარი ოპერაცია. როგორც ვხედავთ, დასჯადობისთვის არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, მსხვერპლი თანახმაა თუ არა ამაზე. უბრალოდ დაყოლიებაც კი კრიმინალია. ეს სწორი მიდგომაა, ვინაიდან,

ბშირად თანხმობა მიიღწევა ოჯახის წევრების ან ზოგადად მსხვერპლის საზოგადოებრივი წრის ზემოქმედების შედეგად, რაც საბოლოო ჯამში სისხლისსამართლებრივ დასჯადობას ფუნდამენტს გამოაცლიდა, მსხვერპლი კი დაუცველი დარჩებოდა.

ეს მუხლი სპეციალურია ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან შედარებით, თუმცა, პრაქტიკაში საკმაოდ ფრთხილად უნდა ვიყოთ სანქციების გამოყენების თვალსაზრისით, ვინაიდან თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს შედეგის სახით ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვება, მათთვის გათვალისწინებული სასჯელები ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მკაცრია (მაგ. ქვედა ზღვარი) და ისინი უნდა გამოვიყენოთ, რათა დამნაშავე ძალაუვნებურად ახალი მუხლის გამოყენებით უფრო უკეთეს მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

აღნიშნული მუხლის შემოღებითაც აშკარაა, რომ კანონმდებელმა იჩქარა და ვერ გათვალა სასჯელებთან დაკავშირებული საკითხები. ამ პრობლემის გადასაწყვეტად შეიძლება ერთობლიობის მოდელიც გამოვიყენოთ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან ერთად, საბოლოოდ კი უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს<sup>7</sup>.

შეგვეძლო, ასევე გვემსჯელა დისკრიმინაციის პრობლემასთან დაკავშირებით, ვინაიდან დასჯადია მხოლოდ ქალების წინადაცვეთა, ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან მიმართებაში მსგავსი სპეციალური შემადგენლობა არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, ეს დისკრიმინაციულად ვერ შეფასდება, ვინაიდან, ჩარევის ხარისხი ქალებისა და მამაკაცების შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებულია და ერთნაირი მიდგომა, შესაბამისად, არააუცილებელია<sup>8</sup>. მამაკაცთა წინადაცვეთის დასჯადობა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებში მოექცევა<sup>9</sup>.

---

<sup>7</sup> შეად. გერმანული მოდელი Fischer, Strafgesetzbuch mit Nebengesetze, 64. Aufl., 2017, § 226a, Rn. 22. აგსტიაში საერთოდ არ გვხვდება ცალკე შემადგენლობა და მსგავსი ქმედებები განიხილება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შიგნით, იხ. Tipold, in: Birkhäuser u.a., StGB Praxiskommentar, 2018, § 86.

<sup>8</sup> Joecks/Jäger, StGB Studienkommentar, 12. Aufl., 2018, § 226a, Rn. 4.

<sup>9</sup> დაწვრ. იხ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2016, 95 და შემდეგი.

### 3. სქესობრივი დანაშაულები

სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებაში სტამბულის კონვენციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, რაც დიდი ხანია, ისედაც უნდა განხორციელებულიყო, ვინაიდან ქართული სისხლის სამართლის კოდექსი გარკვეულ დისკრიმინაციულ მიდგომებს შეიცავდა და დიფერენცირებას ახდენდა გაუპატიურებასა და ერთნაირსქესიანთა შორის სექსუალურ ძალადობას შორის, რაც ტოვებდა იმის შთაბეჭდილებას, რომ იძულებითი სქესობრივი კავშირი შინაარსობრივად თითქოს სხვადასხვა რამეს წარმოადგენდა იმისდა მიხედვით, თუ ვინ ვისზე ძალადობდა<sup>10</sup>.

დღეისათვის ეს პრობლემა მოხსნილია და გაუპატიურების ერთიანი ცნება ჩამოყალიბდა. ახალი დეფინიციით, მთავარია, რომ მოხდა სხვა პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. გამომდინარე აქედან, სსკ-ის 137-ე მუხლმა მოიცვა გაუპატიურების ყველა ფორმა. ერთადერთი პრობლემა ის გაჩნდა, რომ ქალის მიერ თავისი სასქესო ორგანოთი თუ მოხდება კაცზე ძალადობა და მის სასქესო ორგანოსთან კავშირის დამყარება, 137-ე მუხლს ვეღარ გამოვიყენებთ, ვინაიდან ქალი მსხვერპლში შეღწევას არ ახდენს. მსგავს შემთხვევაში 138-ე მუხლის გამოყენება მოგვიწევს, რომლის სანქციაც შედარებით უფრო დაბალია, რაც კვალიფიკაციის თვალსაზრისით უხერხულობას იწვევს, ვინაიდან რეალურად ესეც გაუპატიურებაა.

რაც შეეხება მთლიანობაში 138-ე მუხლს, ძველი რედაქციისგან განსხვავებით მასში საუბარია სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული სხვის სხეულში შეღწევასთან, მაგრამ ჩადენილია ძალადობით, მისი მუქარით ან უმწეობის გამოყენებით. სსკ-ის 137-ე მუხლისგან ამ შემადგენლობას სწორედ არ შეღწევის მომენტი განასხვავებს. მაგალითის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ერთი პირი მეორეს აიძულებს მუქარით, გამიშვლდეს და მას

---

<sup>10</sup> კიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2016, აბზ. 155. ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, 2016, 226 და შემდეგი.

მოეფეროს, რითაც სექსუალურ ჟინს იკმაყოფილებს.

რაც შეეხება სხვა სექსობრივ დანაშაულებს, მათი დაზრტება მოხდა მხოლოდ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ამიტომ მათ დეტალურად არ შევეხებით.

#### 4. ადევნება – სსკ მუხ. 151<sup>1</sup>

ადევნებაც იმ შემადგენლობათაგანია სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც პირდაპირ სტამბულის კონვენციის გავლენით შევიდა მასში. ის შეგვიძლია იძულების სპეციალურ შემადგენლობად მოვიაზროთ, რომელიც მსხვერპლზე არასასურველ ზემოქმედებას გულისხმობს. არსებული იძულების შემადგენლობა 150-ე მუხლის სახით ვერც შინაარსობრივი და ვერც პრაქტიკული თვალსაზრისით ვერ უმკლავდებოდა იმ გამოწვევას, რასაც ე.წ. „სტოლკინგი“ ეწოდება. 151<sup>1</sup> მუხლით დასჯადობისთვის საკმარისია ნებისმიერი განზრახი ქმედება, რომელიც თუნდაც ცხოვრების სტილის შეცვლის რეალურ საჭიროებას შექმნის, ანუ შედეგის დადგომა უკვე შეცვლის სახით არ არის აუცილებელი.

თვითონ ტერმინი ადევნება, ინგლისურად *stalking*, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან გახდა აქტუალური, როცა აშშ-ში, ავსტრალიაში, ბრიტანეთსა და კანადაში ფანები ცნობილ პირებს დასდევდნენ და მათთან კონტაქტის დამყარებას ცდილობდნენ<sup>11</sup>. მოგვიწოდებთ კი მან სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობაც შეიძინა, ვინაიდან მსგავსი სახის ადევნება მსხვერპლისთვის მნიშვნელოვან შეჭრას წარმოადგენს მის პირად სფეროში<sup>12</sup>.

ქმედების შემადგენლობის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვებს „უკანონო“, „არასასურველი“, ვინაიდან სწორედ ეს გვაძლევს ადევნების შინაარსს, ანუ მსხვერპლის მხრიდან არ არსებობს არც პირდაპირ და არც კონკლუდენტურად გამოხატული თანხმობა<sup>13</sup>. სულაც არ არის აუცილებელი, რომ მსხვერპლი მაინცდამაინც ხმამაღლა და აქტი-

<sup>11</sup> Bieszk/Sadtker, NJW 2007, 3384

<sup>12</sup> Krehl, in: Leipziger Kommentar StGB, 12. Aufl., 2015, Bd. 7/Teil 2, § 238 Rn. 2.

<sup>13</sup> Krupna, in: Dölling/Duttge/König/Rössner (Hrsg.), Gesamtes Strafrecht, 4. Aufl., 2017, § 238 Rn. 3.

ურად გამოხატავდეს თავის უარყოფით დამოკიდებულებას; საკმარისია თავაზიანი მითითებაც<sup>14</sup>.

ადევნებას უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გვექნება 151<sup>1</sup> მუხლის შემადგენლობა და ეს სწორიცაა, ვინაიდან ერთხელ თვალთვალის ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარების გამო სისხლის სამართლის გამოყენება მეორე უკიდურესობაში გადაგვადგებდა. თუ რა ინტენსივობით/რაოდენობით არის საჭირო ქმედების განხორციელება, ეს უკვე ყოველ კონკრეტულ საქმეში უნდა შეაფასოს სასამართლომ ჩარევის ხარისხიდან გამომდინარე<sup>15</sup>.

მაგალითების სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ტელეფონზე სისტემატურად დარეკვა, მიმოწერა, საჩუქრების გაგზავნა, სახლთან ან სამსახურთან ლოდინი და ა.შ. ყოველივე ეს კი იმდენად უნდა უქმნიდეს დისკომფორტს მეორე პირს, რომ ის ფიქრობდეს მისამართის ან თუნდაც ტელეფონის ნომრის შეცვლაზე<sup>16</sup>. რამე სხვა განსაკუთრებული შედეგის დადგომა არ არის აუცილებელი. მთავარია, რომ მსხვერპლს მსგავსი კომუნიკაციით მნიშვნელოვანი დისკომფორტი შეექმნას.

## 5. ქორწინების იძულება – სსკ მუხ. 150<sup>1</sup>

აღნიშნული შემადგენლობის შემოღება სისხლის სამართლის კოდექსში ჯერ კიდევ 2014 წელს განხორციელდა, ანუ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე საქართველოს მიერ სტამბულის კონვენციის რატიფიცირება მოხდებოდა<sup>17</sup>. ისიც იძულების სპეციალური შემადგენლობაა, რომელიც საზოგადოებაში არსებული რეალობიდან გამომდინარე ცალკე მუხლის სახით

---

<sup>14</sup> Krupna, in: Dölling/Duttge/König/Rössner (Hrsg.), *Gesamtes Strafrecht*, 4. Aufl., 2017, § 238 Rn. 3.

<sup>15</sup> შეად. Joecks/Jäger, *StGB Studienkommentar*, 12. Aufl, 2018, § 238, Rn. 6, რომელიც მიუთითებს, რომ არც გერმანიის ფედერალური სასამართლო არ საუბრობს თავის პრაქტიკაში კონკრეტულ რაოდენობაზე. მთავარია, რომ ქმედება იყოს განმეორებითი ხასიათის.

<sup>16</sup> დაწვრ. *ob. Fischer, Strafgesetzbuch mit Nebengesetze*, 64. Aufl., 2017, § 238, Rn. 9 ff.

<sup>17</sup> *ლევკვიშვილი/თოდუა/მამულაშვილი*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, 2016, 321 და შემდეგი.

გამოიყო<sup>18</sup>. ეს არ არის მხოლოდ ქართულ სისხლის სამართალში არსებული ნორმა. მსგავს დანაშაულებს იცნობს თუნდაც გერმანული<sup>19</sup> და ავსტრიული<sup>20</sup> კოდექსები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის ზომა ქართულ სამართალში უფრო მსუბუქია და სტანდარტულ შემთხვევაში 2 წლით თავისუფლების აღკვეთას არ აღემატება, მაშინ, როდესაც გერმანულ და ავსტრიულ კოდექსებში იგივე სანქცია 5 წლამდე აღის და ეს იმ ფონზე, რომ ზოგადად, ქართული სისხლის სამართლის კოდექსი, არ გამოირჩევა მცირე სასჯელებით<sup>21</sup>.

სამწუხაროდ, ქართველმა კანონმდებელმა ყურადღების მიღმა დატოვა კონვენციის 37-ე მუხლის მეორე ნაწილის შემდეგი მოთხოვნა: მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც გულისხმობს ზრდასრული ადამიანის ან ბავშვის შეტყუებას იმ მხარის ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ის არ ცხოვრობს, ამ ზრდასრული ადამიანის ან ბავშვის ქორწინებაში შესვლის იძულების მიზნით.

არც მოქალაქეობის და არც დაცვის პირინციპები, როგორც ეს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული (მუხ. 5), არ მოგვცემს საშუალებას, დავსაჯოთ აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირები, თუ ამავდროულად საზღვარგარეთაც ეს ქმედება არ ისჯება ან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული არ არის ჩადენილი. დაბალი სანქციიდან გამომდინარე 150<sup>1</sup> მუხლი ამ კატეგორიებში ვერ ექცევა. იგივე ითქმის მომზადების დასჯადობაზეც.

გამოსავალი შეიძლება დავინახოთ სსკ-ის მე-5 მუხლის მეორე და მე-სამე ნაწილებში, სადაც ასევე მითითებულია, რომ ამ კოდექსის მოქმედება გავრცელდება იმ დანაშაულებზეც, რომლებისთვისაც დასჯადობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

---

<sup>18</sup> Kindhäuser, Strafgesetzbuch, 6. Aufl., 2015, § 237 Rn. 1.

<sup>19</sup> § 237 StGB.

<sup>20</sup> § 106a ÖStGB.

<sup>21</sup> ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, 2016, აბზ. 870.

## 6. სექსუალური შევიწროვება

სექსუალური შევიწროვების საკითხი საქართველოში პერიოდულად აქტიური განხილვის საგანია. ის დღემდე პირდაპირ არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის მოწესრიგებული, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში კანონპროექტიც კი იქნა წარდგენილი, რომლითაც შევიწროვება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში აისახებოდა, თუმცა, ბუნდოვანების გამო მას დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს<sup>22</sup>. არგუმენტად ისიც იქნა მოყვანილი, რომ უკვე არსებული „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ მსგავს ნორმას ისედაც იცნობდა<sup>23</sup>.

რა წერია სტამბულის კონვენციაში? მე-40 მუხლის თანახმად მხარეები იღებენ ყველა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან ანგრესიული გარემოს შექმნის გზით, დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს. როგორც ვხედავთ, კონვენცია არ მოითხოვს აღნიშნული ქმედებების მაინცდამაინც დანაშაულად გამოცხადებას, ამიტომ, ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი რეგულაციის არარსებობა არ წარმოადგენს რამე დარღვევას.

სათანადო განმარტების გზით, შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში სსკ-ის 150-ე მუხლის გამოყენებაც, რომელიც იძულებას ეხება, ანუ ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ესე იგი მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას, საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

---

<sup>22</sup> პატარაია, საქართველოში სექსუალური შევიწროვების საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა, 2017, 5.

<sup>23</sup> <https://www.ipress.ge/new/34603-seqsualuri-shevitsroebis-shesakheb-kanonproeqt-sadamianis-uflebata-komitetma-mkhari-ar-dauchira> (ნანახია 5.7.2018)

#### IV. დასკვნა

როგორც ვხედავთ, სტამბულის კონვენციამ არცთუ უმნიშვნელო ცვლილებები გამოიწვია ქართულ სისხლისსამართლებრივ რეალობაში, იქნებოდა ეს ახალი შემადგენლობების შემოღებით თუ არსებულის შეცვლით. მთლიანობაში, ეს პროცესი დადებითად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ, ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ახალი დანაშაულების გაჩენას შეიძლება ნორმათა კონკურენციის თვალსაზრისით გარკვეული სირთულეები მოჰყვეს.

# სახელმწიფო მოხელის ცნება გერმანულ ეკონომიკურ სისხლის სამართალში

დოქტ. პეტერ კასისკე, მიუნხენის უნივერსიტეტი

## I. სახელმწიფო საქმიანობის პრივატიზაცია, როგორც სახელმწიფო მოხელის ცნების გამოწვევა

ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი წესრიგი ითვალისწინებს დანაშაულებს, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო მოხელის მიმართ ან მის მიერ შესაძლოა იქნას ჩადენილი. აღნიშნულის პრაქტიკაში ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითებს წარმოადგენს საჯარო სფეროში კორუფციის დანაშაულის შემადგენლობები, რომლებიც სახელმწიფო მართვის ხელშეუვალობისადმი ნდობის დაცვას უზრუნველყოფენ<sup>1</sup>. ეს ნდობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეირყევა, როდესაც სახელმწიფო მმართველობამინდობილი მოხელის მოქრთამვა ხდება. იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ კონკრეტულად რომელი პირები წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს, ადრე შედარებით ბევრად უფრო მარტივად შეიძლებოდა, ვიდრე დღეს. მე-19 საუკუნეში გერმანია წარმოადგენდა ე.წ. „ღამის დარაჯ სახელმწიფოს“ და უფრო მეტსაც კი, სახელმწიფოს, რომელიც თავად შემოიფარგლება მხოლოდ შიდა და გარე უსაფრთხოების გარანტიებით, დანარჩენს ყველაფერს კი მოქალაქეების პირად ინიციატივებს უქვემდებარებს. ე.წ. „ღამის დარაჯ სახელმწიფოში“ სახელმწიფო საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად იყენებს თავის საჯარო მოხელეებს, რომელთა მიმართაც მოქმედებს განსაკუთრებული ორმხრივი ლოიალური დამოკიდებულება, რითაც საჯარო მოხელეობა კერძოსამართლებრივი შრომითი ურთიერთობისგან განსხვავდება. თუ ვინ წარმოადგენდა სახელმწიფო მოხელეს, შემდეგი წინაპირობების მიხედვით მარტივად დგინდებოდა: სახელმწიფო მოხელე იყო ის პირი, რომელიც სახელმწიფოს მიერ განისაზღვრებოდა საჯარო მოხელედ სუვერენული ამოცანების შესასრულებლად. მაშასადამე, გადამწყვეტი იყო წმინდა ფორმალური კრიტერიუმი -

<sup>1</sup> BGHSt 15, 88, 96 f.; 47, 22, 25.

სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო თანამდებობის პირად დანიშვნა<sup>2</sup>.

აღნიშნული ნათელი პერიოდი, როცა სახელმწიფო შემოიფარგლებოდა სუვერენული ამოცანების ვიწრო წრით, დიდი ხანია დასრულდა. ე.წ. „ღამის დარაჯი სახელმწიფოსგან“ წარმოიქმნა თანამედროვე, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო, რომელმაც უფრო და უფრო მეტი ამოცანა აიღო საკუთარ თავზე და თავისი მოქალაქეების სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე პასუხისმგებლადაც გამოცხადდა<sup>3</sup>. დამატებითი ამოცანები დამატებით პერსონალსაც მოითხოვდა. ტრადიციულ საჯარო მოხელეებს სულ უფრო მეტი დაქირავებული პირები ემატებოდნენ. ისინი სახელმწიფოსთან ჩვეულებრივ შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. სახელმწიფო ამ სუბიექტებისთვის წარმოადგენს ჩვეულებრივ დამსაქმებელს და მათ, უმეტესწილად აქვთ იგივე ვალდებულებები და მოვალეობები, როგორც ეს კერძო საწარმოებში გვხვდება.

გარდა ამისა, დღეისათვის სახელმწიფო თავის მოვალეობებს ყოველთვის არ ასრულებს პირდაპირ საკუთარი ორგანოების მეშვეობით, არამედ იგი ამისათვის მზარდი სიხშირით იყენებს კერძოსამართლებრივი ორგანიზაციების ფორმებს. მაგალითად, ნარჩენებისგან გათავისუფლება კომუნების დონეზე ხშირად იმ კომპანიების ხელშია, რომლებიც წარმოადგენენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, თუმცა, მათზე 100% საკუთრება აქვთ ქალაქებს ან მუნიციპალიტეტებს. აგრეთვე, სულ უფრო და უფრო მოდაში შემოდის ე.წ. „საჯარო-კერძო პარტნიორობები“, რომელთა შემთხვევაშიც მაგ. ავტობანს მართავს კერძოსამართლებრივი ფორმით ორგანიზებული კაპიტალური საზოგადოება, ხოლო წილებს ნაწილობრივ სახელმწიფო და ნაწილობრივ კერძო კომპანიები ფლობენ. ამგვარი განვითარების ფონზე სულ უფრო და უფრო რთული გახდა საჯარო და კერძო საქმიანობის განსხვავება. თუკი სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ფარგლები გაქრება, სულ უფრო საეჭვო გახდება, კიდევ რომელი პირები შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფო მოხელეებად. მაგ. წარმოადგენს თუ არა სახელმწიფო მოხელეს იმ შპს-ში მომსახურე პირი, რომელიც მართავს აეროპორტს, როცა ამ შპს-ის 50% საჯარო საკუთრებაშია?

<sup>2</sup> Heinrich, Der Amtsträgerbegriff im Strafrecht, 2001, S. 80 f.

<sup>3</sup> Heinrich, Der Amtsträgerbegriff im Strafrecht, 2001, S. 85.

## II. გერმანელი კანონმდებლის პასუხი გერმანიის სსკ-ის §11-ში

გერმანელმა კანონმდებელმა ზემოაღნიშნულ კითხვებზე მოახდინა რეაგირება გერმანიის სსკ-ის §11-ით, რომელშიც სახელმწიფო მოხელის ცნების დეფინიციაა მოცემული და ის შეცვალა<sup>4</sup>. აღნიშნული ნორმის მიხედვით, სახელმწიფო მოხელეს, პირველ რიგში, წარმოადგენს ყველა საჯარო მოხელე ან მოსამართლე. ამასთანავე, გადამწყვეტია ის, რომ აღნიშნული პირები ფორმალური გაგებით წესების დაცვით იქნან დანიშნულნი. გარდა ამისა, სახელმწიფო მოხელეს წარმოადგენს ყველა ის სხვა პირი, რომელიც სხვაგვარ საჯაროსამართლებრივ ოფიციალურ ურთიერთობაში იმყოფება, მაგ. როგორცაა ნოტარიუსი. იმის გათვალისწინებით, რომ დღეისათვის ბევრი სახელმწიფო მოსამსახურე ფორმალური გაგებით აღარ წარმოადგენს საჯარო მოხელეს და უბრალო დასაქმებულად გვევლინება, შემოღებულ იქნა ე.წ. „საჯარო სამსახურის მიმართ სპეციალური ვალდებულების მქონე“ პირების კატეგორია. აღნიშნული პირთა ჯგუფის მიერ განხორციელებული დანაშაულის შემადგენლობები ხშირ, თუ ყველა შემთხვევაში არა, უთანაბრდება სახელმწიფო მოხელის მიერ ჩადენილ დანაშაულის შემადგენლობებს. ამგვარად, შესაძლოა სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო მოხელეს, დაისაჯოს ქრთამის აღებისთვის, თუკი იგი იმისათვის იღებს თანხას, რათა დაარღვიოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობები. საჯარო სამსახურის მიმართ სპეციალური ვალდებულების მქონე პირების შემთხვევაშიც, აღნიშნულ პირთა წრისადმი მიკუთვნების საკითხი წყდება მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმის გათვალისწინებით, კერძოდ, იმის მიხედვით, მავალდებულებელი აქტი განხორციელდა თუ არა, როგორც ეს გათვალისწინებულია ყველა სახელმწიფო უწყებაში დასაქმებული პირების მავალდებულებელ კანონში<sup>5</sup>. ისევე, როგორც საჯარო მოხელის ან მოსამართლის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება არა ის საქმიანობა, რასაც პირი ასრულებს, არამედ მხოლოდ საჯარო მოხელის ან საჯარო სამსახურისადმი სპეციალური ვალდებულების მქონე პირის ფორმალუ-

<sup>4</sup> განსაკუთრებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1997 წლის კანონით, რომლითაც გერმანიის სსკ-ის §11 პირველი აბზაცის 2c ნაწილის დამატება განხორციელდა.

<sup>5</sup> Satzger, in: Satzger/Schluckebier/Widmaier, StGB, 3. Aufl. 2016, § 11 Rdn. 43.

რი სტატუსი.

როგორ არეგულირებს გერმანული სისხლის სამართალი იმ შემთხვევებს, რომელთა დროსაც სახელმწიფო არა საკუთარი უწყებების, არამედ კერძო სამართლის იურიდიული პირების მეშვეობით მოქმედებს? ამ შემთხვევებშიც არ გამოირიცხება პირის, როგორც სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო სამსახურისადმი სპეციალური ვალდებულების მქონე პირის სტატუსით განხილვა. გერმანიის სსკ-ის §11-ის პირველი აბზ. მე-2c ნაწილი ადგენს, რომ სახელმწიფო უწყებებისთვის მუშაობის გარდა, „სხვა თანამდებობაზე“ საქმიანობაც შესაძლოა უთანაბრდებოდეს სახელმწიფო თანამდებობის პირის საქმიანობას, თუ აღნიშნული თანამდებობა ემსახურება „საჯარო მმართველობის ამოცანების“ შესრულებას. ამასთან, კანონმდებელი ადგენს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ორგანიზაციული ფორმაა არჩეული ამოცანების შესასრულებლად. მხედველობაში ასევე მიიღება კერძო სამართლის იურიდიული პირები, განსაკუთრებით კაპიტალური საზოგადოებები. შეფასებისთვის გადამწყვეტია მხოლოდ ის, სრულდება თუ არა საჯარო მმართველობის ამოცანები. მაშასადამე, საჯარო მოხელეების ან, განსაკუთრებით, საჯარო სამსახურისადმი სპეციალური ვალდებულების მქონე პირების ცნებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელედ ან მასთან გათანაბრებულ პირად მიჩნევისათვის გადამწყვეტია ფუნქციონალური ასპექტი. თუმცა, ფორმალური ელემენტიც თამაშობს გარკვეულ როლს, ვინაიდან გერმანიის სსკ-ის §11 პირველი აბზ. მე-2c ნაწილის მიხედვით, სათანადო პირი ფორმალურად უნდა იყოს საჯარო მმართველობითი ამოცანების შესასრულებლად „დადგენილი“. აღნიშნული ფორმალური დანიშვნისათვის არ არის გათვალისწინებული განსაკუთრებული მოთხოვნები. ეს არ მოითხოვს კონკრეტულ ფორმას და შესაძლოა წარმოადგენდეს მხოლოდ კერძო-სამართლებრივი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას კონკრეტულ სახელმწიფო უწყებასთან ან სხვა ორგანოსთან. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აგრეთვე საკმარისია, როდესაც სათანადო პირი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (მაშასადამე, არამხოლოდ ერთჯერადი დაგალებით) აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად განსაზღვრული და ამასთანავე, იგი ინტეგრირდება სახელმწიფო უწყების ან სხვა ორგანოს საქმიანობაში<sup>6</sup>.

<sup>6</sup> BGHSt 43, 96, 102; 56, 97, 108.

### III. „საჯარო მმართველობის ამოცანების“ ცნება

როდის ასრულებს სხვა დაწესებულება „საჯარო მმართველობის ამოცანებს“? როგორც წესი, აღნიშნული ყოველთვის მაშინ არის ხოლმე სახეზე, როდესაც საქმე ეხება ე.წ. „ჩამრევ მმართველობას“, მაშასადამე, სახელმწიფოსათვის ისეთი საქმიანობის განხორციელებას, რომელიც მოქალაქეებისთვის დაკავშირებულია იძულებასა და ძირითად უფლებებში ჩარევასთან. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მოხელეს წარმოადგენს მაგ. პოლიციის დავალებით რეგულარულად ეჭვმიტანილი პირებისათვის სისხლის ანალიზების ამღები თავისუფალი პროფესიის ექიმი<sup>7</sup>. თუმცა, ამგვარი შემთხვევები, როგორც წესი, იშვიათად გვხვდება, რადგან სახელმწიფოს მხრიდან ე.წ. ჩამრევ მმართველობას უმეტესად მისივე ორგანოები ახორციელებენ<sup>8</sup>.

სხვაგვარია სიტუაცია ე.წ. „გალდებულების შესრულების მმართველობის“ სფეროში, რომლის დროსაც საქმე ეხება სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ვალდებულებების შესრულებას, რათა მან საზოგადო ინტერესების მიხედვით უზრუნველყოს განსაზღვრული სიკეთეების არსებობა. ამგვარ სიკეთეებს შესაძლოა წარმოადგენდეს მაგ. ინფრასტრუქტურული ნაგებობები: გზები ან სარკინიგზო ქსელები ან მომსახურების მიწოდება - ნარჩენების გატანა, წყლით მომარაგება. აღნიშნულ ამოცანებს სახელმწიფო ხშირად არა სახელმწიფო ორგანოების, არამედ კერძოსამართლებრივად, კაპიტალური გაერთიანებების სახით ორგანიზებული სახელმწიფო კომპანიების მეშვეობით ასრულებს. თუმცა, სწორედ ამ სფეროში ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ასრულებს თუ არა სახელმწიფო ნამდვილად მისთვის საჯარო მმართველობის ფარგლებში მინიჭებულ ამოცანებს, ვინაიდან აღნიშნული სიკეთეებით მოქალაქეების უზრუნველყოფა მხოლოდ სახელმწიფოსადმი არ არის მიკუთვნებული, არამედ ის შესაძლოა შესრულდეს კერძო კომპანიების მიერაც. არაერთი სფერო, როგორცაა მაგ. ტელეკომუნიკაციები ან რკინიგზა, რომლებშიც ადრე სახელმწიფოს მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა, ლიბერალიზაციის პროცესების შედეგად კერძო საწარმოებისთვისაც გახდა

<sup>7</sup> Heinrich, Der Amtsträgerbegriff im Strafrecht, 2001, S. 433

<sup>8</sup> Welp, Festschrift für Lackner, 1987, S. 761, 777.

ხელმისაწვდომი. თუკი სახელმწიფო ამ სფეროებში კვლავ საქმიანობს, იგი აღარ ახორციელებს მხოლოდ სუვერენულად მისთვის მინიჭებულ ექსკლუზიურ საქმიანობას, არამედ, იგი საქმიანობს ბაზარზე, რომელზეც კონკურენციას უწევს კერძო კომპანიებს. აქედან გამომდინარე, ყველა კაპიტალური საზოგადოება, რომელთა წილებსაც სახელმწიფო ფლობს, არ წარმოადგენს ავტომატურად იმგვარ დაწესებულებას, რომელიც საჯარო მმართველობის ამოცანებს ასრულებს. შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, ნამდვილად არის თუ არა ეს იმგვარი დაწესებულება, რომელიც შესაძლოა სახელმწიფო ორგანოს შევადაროთ და მოქმედებს როგორც ე.წ. „სახელმწიფოს დაგრძელებული მკლავი“<sup>9</sup>. სასამართლო პრაქტიკამ აღნიშნულთან დაკავშირებით სხვადასხვა კრიტერიუმი შეიმუშავა: სახელმწიფო უწყების მსგავსი სხვა დაწესებულების არსებობაზე მეტყველებს, საზოგადო ინტერესებისთვის აუცილებელი ისეთი სიკეთეებით ან მომსახურებებით უზრუნველყოფა, რომლებიც კერძო მიმწოდებლების მხრიდან არ შეიძლება გარანტირებულ იქნას. აღნიშნულზე შესაძლოა მიუთითებდეს ორგანიზაციის წესდებაში გაწერილი საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საქმიანობის მიზანი<sup>10</sup>. საჯარო ორგანოსთან მსგავსების წინაპირობას ასევე ქმნის სახელმწიფო კონტროლის არსებობის ფაქტი<sup>11</sup>. სახელმწიფო ვალდებულია მისი მესაკუთრის სტატუსიდან გამომდინარე საზოგადოების საქმიანობაზე გავლენა მოახდინოს, მაგ. განხორციელებული საქმიანობისათვის სპეციალური საკანონმდებლო დანაწესებით. აგრეთვე ის გარემოება, რომ საზოგადოება ძირითადად საჯარო ბიუჯეტიდან ფინანსდება, მეტყველებს მის სახელმწიფო ორგანოსთან მსგავსებაზე<sup>12</sup>. თუმცა, სახელმწიფო ორგანოსთან მსგავსების არსებობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის, თუ საზოგადოებას შეუძლია თავი დაიფინანსოს მისი საქმიანობით მიღებული მოგებით. აგრეთვე იმ გარემოებას, რომლის მიხედვითაც საზოგადოება მისი საქმიანობის სფეროში კერძო კომპანიებთან კონკურენციაშია, უფრო მეტად სახელმწიფო ორგანოსთან მსგავსების უარყოფასთან მივყავართ<sup>13</sup>.

---

<sup>9</sup> BGHSt 43, 370, 377.

<sup>10</sup> BGHSt 43, 370, 372.

<sup>11</sup> BGHSt 50, 299, 305.

<sup>12</sup> BGHSt 45, 16, 20.

<sup>13</sup> BGHSt 38, 199, 204.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფო ფუნქციების განმახორციელებელი „სხვა ორგანო“ და შესაბამისად, მასში დასაქმებული მოხელესთან გათანაბრებული პირი, შესაძლოა სახემე იყოს ასევე იმ კაპიტალური საზოგადოებების შემთხვევაშიც, რომელთა წილებსაც არამხოლოდ სახელმწიფო, არამედ კერძო სუბიექტებიც ფლობენ. თუმცა, ამგვარ სიტუაციებში განსაკუთრებით უნდა შემოწმდეს სახელმწიფოს ხელში არსებული კონტროლის მექანიზმები. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საზოგადოება სახელმწიფო საქმიანობის განმახორციელებლად აღარ მიიჩნევა, თუ წილების მფლობელ კერძო პირებს საზოგადოების საქმიანობაზე არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ<sup>14</sup>. მაგალითად, მათ, საკუთრებაში არსებული წილების რაოდენობიდან გამომდინარე, აქვთ საშუალება გადაწყვეტილებები დაბლოკონ. გერმანიაში პრაქტიკაში ამგვარი რამე ხშირად ხდება, ვინაიდან კერძო მოთამაშეებს, რომლებიც სახელმწიფოსთან ერთად აფუძნებენ კაპიტალურ საზოგადოებებს, როგორც წესი, სურთ მათ საქმიანობაზე გავლენის ქონა. აქედან გამომდინარე, ამგვარი ე.წ. „შერეული-ეკონომიკური“ საწარმოები, როგორც წესი, არ მიიჩნევა სახელმწიფო ფუნქციების განმახორციელებელ სხვაგვარ ორგანოდ. აღნიშნულის შედეგად მასში დასაქმებული პირებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფო მოხელეებს.

თუ კომპანია, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ერთეული, ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოსათვის შემოსავლის მიღების მიზანს, ის ვერ ჩაითვლება საჯარო ფუნქციების განმახორციელებელ სხვა ორგანოდ<sup>15</sup>. ასეთი კომპანია არ განსხვავდება სხვა კერძო კომპანიებისგან და ის სპეციფიკურ სახელმწიფო საქმიანობას არ ახორციელებს. მაგალითად, ცნობილი მიუნხენის „ჰოფბროიჰაუსი“ (სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რესტორანი, რომელშიც მსოფლიოში ცნობილი ლუდი მზადდება) არ ითვლება სახელმწიფო ფუნქციების განმახორციელებელ ორგანოდ. მისი მეშვეობით არ ხდება სახელმწიფო ამოცანის შესრულება. ეს სუფთა მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობაა

---

<sup>14</sup> BGHSt 50, 299, 305 f.; აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ იხ. Leimbrock, Der strafrechtliche Amtsträgerbegriff, 2009, S. 218 ff.

<sup>15</sup> Satzger, in: Satzger/Schluckebier/Widmaier, StGB, 3. Aufl. 2016, § 11 Rdn. 30; Heinrich, Der Amtsträgerbegriff im Strafrecht, 2001, S. 697 f.

და ჰოფბროიჰაუსი სხვა კერძო პირების საკუთრებაში მყოფ რესტორნებთან კონკურენციაში იმყოფება.

#### IV. გერმანული რეგულაციის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება

ჩემს მიერ განხილული განმარტებებიდან გამომდინარე ნათელია, რომ იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ როდის დგება სახელმწიფო ფუნქციის განმახორციელებელი „სხვა ორგანო“-ს შემთხვევა გერმანიის სსკ-ის §11 პირველი აბზაცის მე-2c ნაწილის თანახმად, ხშირად მარტივი არ არის. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის განხილვის შემდეგ, დასტურდება ეჭვი, რომ საბოლოოდ მაინც სასამართლოს მიერ ყოველი ცალკეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების შეფასებამდე მივდივართ. სასამართლო პრაქტიკის შედეგებიც დამაბნეველია: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების გატანის განმახორციელებელი კომპანია ერთ შემთხვევაში როგორც სახელმწიფო ფუნქციის განმახორციელებელ სხვაგვარ ორგანოდ მიიჩნევა, სხვა შემთხვევაში კი არა<sup>16</sup>. სააქციო საზოგადოება, რომელიც სარკინიგზო ქსელს მართავს სახელმწიფო ფუნქციის განმახორციელებელ სხვაგვარ ორგანოდაა შეფასებული<sup>17</sup>. აღნიშნულის საპირისპიროდ, ამ სარკინიგზო ქსელით მოსარგებლედ მატარებლების მწარმოებელი სააქციო საზოგადოება, არ მიიჩნევა ამგვარ ორგანოდ<sup>18</sup>.

რა შეგვიძლია აქედან დავასკვნათ? გერმანელმა კანონმდებელმა გერმანიის სსკ-ის §11 პირველი აბზაცის მე-2c ნაწილით სახელმწიფო მოხელის ცნება იმ ორგანოების თანამშრომლებზეც გაავრცელა, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებს არ წარმოადგენენ, თუმცა, ისინი სახელმწიფო მმართველობით ამოცანებს ასრულებენ. ამით მას სურდა იმ ფაქტზე მოეხდინა რეაგირება, რომ სახელმწიფო საქმიანობა სულ უფრო და უფრო მეტად ხორციელდება არამხოლოდ ვიწრო გაგებით სახელმწიფო სტრუქტურების, არამედ სხვა ორგანიზაციების მიერაც. სახელმწიფო მოხელედ

---

<sup>16</sup> Bejaht bei Alleineigentümerschaft der Gemeinde in BGH wistra 2007, 17; verneint wegen Beteiligung Privater in BGHSt 50, 299.

<sup>17</sup> BGHSt 52, 290.

<sup>18</sup> BGHSt 49, 214.

მიჩნევისათვის ფორმალური კრიტერიუმის, კერძოდ საჯარო მოხელის ან მოსამართლის დანიშვნის კრიტერიუმის ადგილს ამ შემთხვევაში იკავებს ფუნქციონალური კრიტერიუმი, კერძოდ, უნდა განისაზღვროს სრულდება თუ არა საჯარო მმართველობის ამოცანები. თუმცა, აღნიშნულ კრიტერიუმთან გამკლავება პრაქტიკოსებისთვის საკმაოდ რთულია, ვინაიდან სახელმწიფო თავის საქმიანობას მრავალმხრივი და კომპლექსური ფორმებით ახორციელებს. აღნიშნულს შედეგად მოსდევს ის ფაქტი, რომ ხშირად საკმაოდ რთულია იმის შეფასება, წარმოადგენს თუ არა თავისი საქმიანობის განხორციელებისას სახელმწიფო მოხელეს ის პირი, რომელიც მუშაობს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ კომპანიაში. ასეთი პირი, შესაძლოა არ იყოს დარწმუნებული იმაში, მაგ. მაშინ, როდესაც იღებს მისი საქმიანი პარტნიორებისგან საჩუქრებს, დაისჯება თუ არა კორუფციის გამო. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, რომელიც ვალდებულია კანონიერების პრინციპის მიხედვით იმოქმედოს, ეს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს<sup>19</sup>.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მე მსურს სხვა ქვეყნებს ვურჩიო მაგალითის სახით არ გაითვალისწინონ სახელმწიფო მოხელის დეფინიციის გერმანული მოდელი. ჩემი აზრით, სავალდებულო არ არის, სახელმწიფო და კერძო სფეროების მზარდ შერევაზე სახელმწიფო მოხელის ცნების გაფართოებით რეაგირება. სახელმწიფო მოხელეებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი შემადგენლობების მიზანს, ხშირ შემთხვევაში, იმ ქმედებების აკრძალვა წარმოადგენს, რომლებმაც მოსახლეობაში შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფო მმართველობის ფუნქციონირებისადმი არსებული ნდობის შერყევა. ნდობის ამგვარი დაკარგვა მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ქმედება ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებულია სახელმწიფო სფეროსთან. ანუ, საქმე ეხება სახელმწიფო ორგანოების და საჯარო სამართლის იმგვარ სხვა დაწესებულებებს, რომლებიც მოქალაქეების ხედვით ცალსახად სახელმწიფოს მიეკუთვნებიან.

ამის საპირისპიროდ, კაპიტალური საზოგადოების ფორმით ორგანიზებული საწარმო, რომელიც ნარჩენების გატანას ახორციელებს ან აეროპორტს მართავს, საზოგადოების მხრიდან იმავე დობით არ აღიქმება,

---

<sup>19</sup> Vgl. auch Zwiehoff, Festschrift für Herzberg, 2008, S. 155, 164.

როგორც სახელმწიფო ინსტიტუცია. თუკი ამ შემთხვევაში თანამშრომლების კორუფციის შემთხვევები იქნება, არ არსებობს საფრთხე, რომ ამით დაიკარგება სახელმწიფო მმართველობის ზოგადი ინტეგრაციისადმი ნდობა. შესაბამისად, არ არსებობს საჭიროება, რომ გამოყენებულ იქნას სახელმწიფო მოხელეების კორუფციისათვის დადგენილი მკაცრი საკანონმდებლო დანაწესები.

მე მსურს მოხელის იმ ცნებას დავეჭირო მხარი, რომელიც მოიცავს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა იმგვარი დაწესებულებების მოსამსახურეებს, რომლებიც ეჭვგარეშე მიეკუთვნებიან სახელმწიფოს<sup>20</sup>. თუკი სახელმწიფო საკუთარი ამოცანების შესასრულებლად იყენებს კერძოსამართლებრივ ორგანიზაციულ ფორმებს, ამგვარი დაწესებულებების თანამშრომლები არ უნდა იქნან სახელმწიფო მოხელეებად მიჩნეულნი. სახელმწიფო მოხელეობა უკავშირდება მხოლოდ იმ ფაქტს, საქმიანობს თუ არა სათანადო პირი სახელმწიფო ორგანოში ან სხვა საჯაროსამართლებრივად ორგანიზებულ დაწესებულებაში. აღნიშნული ფორმალური კრიტერიუმი მარტივად აღსაქმელია და სამართლებრივი სიკეთეების სათანადო დაცვასთან ერთად უზრუნველყოფს აუცილებელ სამართლებრივ სიცხადეს.

---

<sup>20</sup> სახელმწიფო მოხელის ამგვარ ვიწრო ცნებას მხარ უჭერდნენ გერმანიის სსკ-ის ალტერნატიული პროექტის შემქმნელები 1962 წელს. დღეისათვის ამ პოზიციას მაგ. მხარს უჭერენ: Heinrich, *Der Amtsträgerbegriff im Strafrecht*, 2001, S. 700 f.; Bernsmann, *StV* 2005, 685, 691; Zwihehoff, *Festschrift für Herzberg*, 2008, S. 155, 165 f.

# მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის ცნება ქართულ სისხლის სამართალში

ასოც. პროფ. დოქტ. **ირაკლი დგალიძე**, თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

## I. შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავი ეძღვნება სა-  
მოხელეო დანაშაულებს. აღნიშნულ თავში მოცემულ დანაშაულთა უმეტე-  
სი ნაწილის ამსრულებლად გვევლინება სპეციალური სუბიექტი. შესაბა-  
მისად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს თუ რა ობიექტური ნიშნების  
არსებობაა აუცილებელი, იმისათვის, რომ პირი სამოხელეო დანაშაულის  
დანაშაულის ამსრულებლად ჩაითვალოს.

მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირის ნიშნების ზუსტად  
განსაზღვრა პირდაპირ უკავშირდება კანონიერების პრინციპის განუხრელ  
დაცვას, რაც ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაციის საწინდარია.

## II. მოხელის ცნება

წინამორბედი საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კო-  
დექსის 185-ე მუხლში მოცემული მოცემული იყო თანამდებობის პირის  
ცნება. აღნიშნული მუხლის მიხედვით, „თანამდებობის პირებად ითვლე-  
ბიან ის პირები, რომლებიც მუდმივად ან დროებით, სასყიდლით ან უსას-  
ყიდლოდ, დანიშნით ან არჩევით და აგრეთვე ცალკეული დავალებების  
ძალით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საწარმოში ან  
ორგანიზაციაში ასრულებენ მოვალეობებს, დაკავშირებულს სახელმწი-  
ფო ხელისუფლების აქტების, ან განმკარგულებელი, ორგანიზაციულ-სა-  
მეურნეო, ადმინისტრაციული ან სხვა ამგვარი ფუნქციების განხორციელე-  
ბასთან.“

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული სამოხელეო და-  
ნაშაულისათვის დათმობილი ნორმები საქართველოს სსრ 1960 წლის

სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსი ნორმებისგან ორი მნიშვნელოვანი გარემოებით განსხვავდება:

1. ტერმინ „თანამდებობის“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „მოხელე“ ან „მასთან გათანაბრებული პირი“;
2. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში არ გვხვდება თანამდებობის პირის და არც მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ცნება. თანამდებობის პირის ცნება მოცემული იყო საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლში.

მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს წინამორბედი სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად თანამდებობის პირის დეფინიციას, თუმცა წლების განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ სსკ-ის 332-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) შენიშვნაში კანონმდებელმა პირდაპირ მიუთითა ზოგიერთი ის სამსახურებრივი პოსტი, რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი მოხელესთან გათანაბრებულ პირის დეფინიციაში უნდა მოექცეს.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, როგორც „სპეციალური ამსრულებლის“, ნიშნების დასადგენად ნორმაშეფარდებით პროცესში აუცილებელია შემდეგი სამართლებრივი აქტების გამოიყენება:

1. საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსი;
2. საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
3. საქართველოს 2014 წლის 5 თებერვლის ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
4. საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი თანამდებობის პირის დეფინიციას „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე მითითებით განსაზღვრავს (ზაკ-ის 27-ე მუხლის „დ“ პუნქტი).


საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლი იძლევა როგორც „სამსახურების“, ისე აღნიშნულ სამსახურში დასაქმებულ პირთა კლასიფიკაციას და განმარტებას. საჯარო სამსახურის დეფინიციიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ იგი მოიცავს ასევე სახელმწიფო სამსახურს. შესაბამისად, საჯარო სამსახური უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სახელმწიფო სამსახური. თავისთავად, საჯარო მოსამსახურე უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს სახელმწიფო მოსამსახურეს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მუხლი ზედმიწევნით აკონკრეტებს იმ პირებს, ვინც შეიძლება განახორციელოს საჯარო უფლებამოსილება. თვალსაჩინოებისთვის სქემატურად ასე წარმოჩინდება:

### საჯარო სამსახური



სახელმწიფო სამსახური	სხვა კანონით განსაზღვრული საჯარო სამსახური
----------------------	--

### საჯარო მოსამსახურე




სახელმწიფო მოსამსახურე – პირი, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობა უკავია და რომლის სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის ან/და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე;	საჯარო მოსამსახურე: - <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული საჯარო მოხელე;</li> <li>• საჯარო მოხელე;</li> <li>• მოხელე;</li> <li>• ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;</li> <li>• შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.</li> </ul>
---	--

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტიდან იკვეთება, რომ სახელმწიფო სამსახური ხელისუფლების სამივე შტოში (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) შეიძლება განხორციელდეს. ამას ემატება სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვა.

ბუნებრივია, სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულ სამოხელეო დანაშაულებად ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტია მოხელის ცნების სწორი განსაზღვრება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი განმარტავს მოხელეს:

**მოხელე**



პროფესიული საჯარო მოხელე	საჯარო მოხელე	მოხელე
<p>პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.</p>		

ამრიგად, მოხელეს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- ინიშნება უვადოდ;
- ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე;
- ინიშნება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ,

- ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას,
- ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.
- მართალია, აღნიშნული კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, თუმცა, ლოგიკურად გამომდინარეობს ისიც, რომ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება ხორციელდება საქართველოს (საქართველოს სახელმწიფოს) სახელით.

სწორედ ის, რომ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება ხორციელდება საქართველოს (საქართველოს სახელმწიფოს) სახელით, დაედო საფუძვლად იმას, რომ სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში სპეციალური დათქმები გახდა საჭირო უცხო ქვეყნის თანამდებობის პირებზე, რამაც კანონშემფარდებელს სამოხელეო დანაშაულების მათზე, როგორც ამსრულებლებზე, გავრცელების საშუალება მისცა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისთვის, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ტერმინის „სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის“ დაზუსტება, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეულ მუხლებში (მაგალითად, სსკ-ის 332-ე, 333-ე და ა.შ.) მოცემულია ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორცაა დანაშაულის ჩადენა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „თ“ და „ი“ პუნქტები ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს და პოლიტიკური თანამდებობის პირს. აღნიშნული პუნქტები ზუსტად ჩამოთვლის იმ სუბიექტებს, თუ ვინ შეიძლება იყოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირი და პოლიტიკური თანამდებობის პირი. ესენი არიან:

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი	პოლიტიკური თანამდებობის პირი
<ol style="list-style-type: none"> <li>1. საქართველოს პრეზიდენტი;</li> <li>2. საქართველოს პარლამენტის წევრი;</li> <li>3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი;</li> <li>4. საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე;</li> <li>5. საქართველოს მთავრობის სხვა წევრის მოადგილე;</li> <li>6. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;</li> <li>7. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები;</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი;</li> <li>2. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილე;</li> <li>3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი;</li> <li>4. მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი,</li> <li>5. გამგებლის/მერის მოადგილე.</li> </ol>

საქართველოს 2014 წლის 5 თებერვლის ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტს აქვს წარმომადგენლობითი ორგანო და აღმასრულებელი ორგანო:



<p>მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლევგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო (ათკ-ის 23-ე მუხლი)</p>	<p>მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი (ათკ-ის 48-ე მუხლი)</p>
--	---

<p><b>მუხლი 32. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები</b></p> <p>მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;</li> <li>ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;</li> <li>გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;</li> <li>დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე;</li> <li>ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.</li> </ul>	<p><b>მუხლი 52. მერიის თანამდებობის პირები</b></p> <p>1. მერიის თანამდებობის პირები არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) მერი;</li> <li>ბ) მერის პირველი მოადგილე;</li> <li>გ) მერის მოადგილე;</li> <li>დ) მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.</li> </ul>
---	---

თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში – რაიონში იქმნება თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო – თბილისის რაიონის გამგეობა (ათკ-ის მე-80 მუხლი), ხოლო ათკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედ-

ვით, რაიონის გამგეობის თანამდებობის პირები არიან:



- |  |
|--|
| ა) რაიონის გამგებელი;<br>ბ) რაიონის გამგებლის მოადგილე;<br>გ) რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. |
|--|

მოხელის დასადგენად უაღრესად მნიშვნელოვანია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც სახელდებით ჩამოთვლის თანამდებობის პირებს. მიუხედავად ამისა, ამგვარი ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, რაც პირდაპირ გამომდინარეობს აღნიშნული მუხლიდან. მაგალითად, აღნიშნული კანონის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ თანამდებობის პირები ასევე არიან „საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირები“

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის აკონკრეტებს „თანამდებობის პირთა“ ნუსხას როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელების სახით. კერძოდ, თანამდებობის პირად მიჩნეულები არიან:



<p>სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი და სასპორტო საქმიანობისათვის შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა) ხელმძღვანელი („ბ“ ქვეპუნქტი).</p>	<p>იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი („გ“ ქვეპუნქტი).</p>
---	---

### III. მოხელესთან გათანაბრებული პირი

ვინაიდან მოხელესთან გათანაბრებული პირი ქმედების შემადგენლობის შეფასებითი ნიშანია, ხოლო სისხლის სამართალში კანონიერების პრინციპის განუხრელი დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს თუ რას ნიშნავს „მოხელესთან გათანაბრებული პირი“. მაშასადამე, ნორმის შემფარდებელმა უნდა დაადგინოს განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შემცველი ქმედების განმახორციელებელი უნდა ჩაითვალოს თუ არა მოხელესთან გათანაბრებულ პირად.

აღნიშნული ტერმინის საზღვრების დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებით უნდა გავვცნოთ სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნას, რომელიც გარკვეულ ორიენტირებს იძლევა.

სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით:

1. „ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც

ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების წევრები და თანამშრომლები, საარჩევნო სუბიექტები (მხოლოდ ამ კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის), კერძო აღმასრულებლები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას.

2. ამ თავის მიზნებისათვის, მოხელესთან გათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს (მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს), ნებისმიერ პირს, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირს ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელს, აგრეთვე ნებისმიერ მივლინებულ ან არამივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს, უცხო ქვეყნის ნაფიც მსაჯულებს, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე, საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელს, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლეს და თანამდებობის პირს.
3. ამ კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები ასევე არიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის არბიტრაჟების წევრები, ხოლო ამ კოდექსის 338-ე-339<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები – ნაფიცი მსაჯულები (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას.“

აღნიშნულ შენიშვნაში რამდენიმე მომენტია საინტერესო:

1. ერთ-ერთი გამწყვეტი ნიშანი, რომელიც მოხელესთან გათანაბრებულ პირად მიჩნევისთვის არის აუცილებელი, არის საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება;

2. ვინაიდან მოხელის დეფინიციაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი სწორედ ისაა, რომ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებაში მხოლოდ საქართველოს სახელით, ანუ საქართველოს სახელმწიფოს სახელით განხორციელებული უფლებამოსლება იგულისხმება, ამიტომ კანონმდებელმა მოხელესთან გათანაბრებულ პირში უცხო ქვეყნის ან ორგანიზაციის საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება სპეციალური დათქმით მოიაზრა;
3. მოცემული შენიშვნა მოხელესთან გათანაბრებული პირს ზოგჯერ მხოლოდ კონკრეტული სამოხელეო დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტად ასახელებს. მაგალითად:
  - საარჩევნო სუბიექტები მხოლოდ ქრთამის აღების (სსკ-ის 338-ე მუხლი) სუბიექტები არიან,
  - ქრთამის აღების (სსკ-ის 338-ე მუხლი) და ქრთამის მიცემის სუბიექტები (სსკ-ის 339-ე მუხლი) საქართველოსა და უცხო ქვეყნის არბიტრაჟების წევრები,
  - ქრთამის აღების (სსკ-ის 338-ე მუხლი), ქრთამის მიცემის (სსკ-ის 339-ე მუხლი) და ზეგავლენით ვაჭრობის (სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლი) სუბიექტები - ნაფიცი მსაჯულები (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას.

#### IV. დასკვნა

როგორც გაირკვა მოხელის ამსრულებლად მიჩნევისთვის კანონმშემდგომად ბელს კანონმდებელი აძლევს მოხელეთა ამომწურავ ჩამონათვალს. გამომდინარე იქიდან, რომ ამა თუ იმ ფორმით კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოც მონაწილეობს, გარდაუვალია საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების დელეგირება. ამგვარ სიტუაციაში დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტული პირი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებლად გვევლინება, რის გამოც შეუძლებელია დაცული სამართლებრივი სიკეთე არ იყოს სახელმწიფოს ინტერესები. შესაბამისად, გაუმართლებელი იქნება, თუკი ნორმაშემდგომებითი საქმიანობა შემზღვეული იქნება მხო-

ლოდ მოხელის ამომწურავი ჩამონათვალით.

მოხელესთან გათანაბრებული პირის ცნების არსებობით გადალახულია ამგვარი შეზღუდვა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მხოლოდ კანონშემფარდებლის სუბიექტურ შეხედულებაზეა მინდობილი კონკრეტული პირის მოხელესთან გათანაბრებულ პირად მიჩნევა. როგორც დავინახეთ, მოხელესთან გათანაბრებული პირის დასადგენად კანონშემფარდებელმა სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში პირდაპირ მიუთითა იმ ორიენტირებზე, რომელზე დაყრდნობითაც ნორმაშეფარდებით საქმიანობაში გამოირიცხება სუბიექტივიზმი და კანონიერების პრინციპის დარღვევის საშიშროება.

## „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები“ გერმანულ სისხლის სამართალში

პროფ. დოქტ. მარტინ შაულ ვასმერი, კიოლნის უნივერსიტეტი

პოპულიზმის კვლავ გაძლიერებასთან ერთად არსებითი მნიშვნელობა შეიძინეს ე.წ. „სიძულვილით მოტივირებულმა დანაშაულებმა“. „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები“ წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო საზოგადოებამ დიდი ხნის წინ დაიწყო. ჯერ კიდევ 50-ზე მეტი წლის წინ ითხოვდა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (ICERD) გაეროს საერთაშორისო კონვენცია (21.12.1965<sup>1</sup>) დისკრიმინაციული ქმედებისათვის სასჯელის დაწესებას. აღნიშნულს ევროპაში თან სდევდა 2003 წლის 28 იანვრის<sup>2</sup> დამატებითი ოქმი ევროსაბჭოს 2001 წლის 23 ნოემბრის „კომპიუტერული სისტემების გამოყენებით ჩადენილი რასობრივი და ქსენოფობიური ქმედებების კრიმინალიზების შესახებ“ კონვენციისათვის და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 28 ნოემბრის<sup>3</sup> ჩარჩო გადაწყვეტილება (2008/913/ JI) რასიზმისა და ქსენოფობიის განსაზღვრული ფორმებისა და მათი გამოხატვის სხვადასხვა სახის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი ბრძოლის შესახებ.

### I. ცნების წარმოშობა

ცნება „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“ სათავეს იღებს 1960-იანი და 1970-იანი წლების ამერიკული სამოქალაქო მოძრაობების დროს<sup>4</sup>. აშშ-ის თანამედროვე კანონმდებლობა დაიწყო 1968 წლის სამოქალაქო უფლებების შესახებ აქტით, რომლითაც აშშ-ის კოდექსის მე-18 ნაწილში §245 იქნა შემოღებული. აღნიშნულით შესაძლებელი გახდა ფედერალურ დონეზე სისხლისსამართლებრივ დანაშაულად მიჩნეულიყო პირისად-

<sup>1</sup> International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination, BGBl. 1969 II S. 962.

<sup>2</sup> Sammlung Europäischer Verträge (SEV), Nr. 189.

<sup>3</sup> ABl. EU L 328 v. 6.12.2008, S. 55.

<sup>4</sup> Sotiriadis, KJ 2014, 261, 262.

მი მისი რასის, კანის ფერის, რელიგიის ან ეროვნების გამო ძალადობის განხორციელების მუქარა, მისი დაზიანება, დაშინება ან მისთვის ზიანის მიყენება<sup>5</sup>. ასეთი დანაშაულები ხშირად კონკრეტულ ჯგუფთან დაკავშირებული ცრურწმენებით არის განპირობებული. სწორედ ამიტომ, ხშირ შემთხვევაში საუბრობენ ე.წ. „კლიშეების დანაშაულებზე“<sup>6</sup> ან მიკერძოებული ქმედებების დასჯადობაზე<sup>7</sup>. აღნიშნული ცნებით დანაშაულის ჩადენის მოტივაცია თითქოსდა უფრო ნათლად კი გამოიხატება, თუმცა ეს მაინც ნაკლებად აღსაქმელია. შინაარსობრივად ამ დროს საქმე ეხება ადამიანის ღირსების შელახვას, რომელიც ევროკავშირში ძირითადი უფლებების ქარტიის პირველი მუხლით და გერმანიაში ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი აბზაციტაა დასჯული.

აშშ-ის შემდგომი კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენდა ანტიცილისმწამებლური ლიგის (ADL) 1981 წლის სამოდელო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის გამკაცრებას. აღნიშნული პროექტი უმეტესწილად გათვალისწინებულ იქნა შტატების დიდი ნაწილის მიერ<sup>8</sup>. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ დღეისათვის არსებული აშშ-ის ცალკეული შტატების კანონმდებლობა ნაწილობრივ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან: ერთი მხრივ, ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი გამრდილია, ნაწილობრივ გაორმაგებულია ან საერთოდ გასამმაგებელიც კია; მეორე მხრივ, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევაში, დარღვევის შეფასება ლავირებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან სისხლისსამართლებრივ დანაშაულამდე. და ბოლოს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისთვის ასევე დამოუკიდებელი სახით არსებობს ცალკე შემადგენლობები, რომელთათვისაც გათვალისწინებული სასჯელები ემატება ან ერთიანდება ამავედროულად ჩადენილ სხვა დანაშაულებისთვის გათვალისწინებულ სასჯელებთან<sup>9</sup>.

<sup>5</sup> Streissguth, Hate Crimes, 2003, S. 20.

<sup>6</sup> Kohlstruck, Berliner Forum Gewaltprävention Nr. 16 (2004), 67, 68.

<sup>7</sup> შეად. მხოლოდ Lang, Vorurteilsriminalität, 2014.

<sup>8</sup> Aydin, Die strafrechtliche Bekämpfung von Hassdelikten in Deutschland und in den Vereinigten Staaten von Amerika, 2006, S. 59 ff.

<sup>9</sup> Ege, ZStR 2012, 276, 283 m.w.N.

## II. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გერმანული სტატისტიკა

გერმანიაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ერთიანდება ე.წ. „პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულების“ ქვეშ. შინაგან საქმეთა მინისტრთა კონფერენციის 2011 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით, შემუშავდა ამ დანაშაულების დეფინიციის საერთო კრიტერიუმები<sup>10</sup> და მათი მოქმედება კანონის უკუძალის გამოყენებით, 2001 წლის პირველი იანვრიდან დადგინდა. აღნიშნული კრიტერიუმების თანახმად, „პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულები“ განეკუთვნებიან სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს და ასევე იმ დანაშაულებს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცესებზე. ისინი მიმართულნი არიან თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის წინააღმდეგ ან ძალადობის გამოყენებით საფრთხეს უქმნიან გერმანიის საგარეო ინტერესებს. გარდა ამისა, აღნიშნულს განეკუთვნება ასევე ის დანაშაულები, რომლებიც „კონკრეტული პირის წინააღმდეგ მიმართულია მისი პოლიტიკური შეხედულებების, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესობრივი ორიენტაციის ან მისი საზოგადოებრივი სტატუსის გამო“. ისინი, შესაძლოა „იმავე მიზეზით მიმართული იყოს კონკრეტული ინსტიტუციის, ნივთის ან ობიექტის მიმართაც“.

პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკის მიხედვით, ე.წ. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკამ 2016 წელს<sup>11</sup> 10 751-იანი მაჩვენებლით მნიშვნელოვნად მოიმატა და უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. აღნიშნული შედეგით შემაშფოთებელი ტრენდის არსებობა ფიქსირდება. როცა 1980-იან წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 1300 დანაშაული რეგისტრირდებოდა, 1990-იან წლებში აღნიშნული მაჩვენებელი უკვე 4000-ს შეადგენდა<sup>12</sup>. 2001 წლიდან 2014 წლამდე ამგვარი შემთხვევების რაოდენობა 3850-დან 5858-მდე მერყეობდა<sup>13</sup>, რათა საბო-

<sup>10</sup> „Definitionssystem Politisch motivierte Kriminalität“ und „Richtlinien für den Kriminalpolizeilichen Meldedienst in Fällen Politisch motivierter Kriminalität (KPMd-PMK)“, შუად. BT-Drucks. 17/1928 S. 4; კრიტ. Kubink, ZRP 2002, 308, 311 ff.

<sup>11</sup> Bundesministerium des Innern, Politisch Motivierte Kriminalität im Jahr 2016, S. 5.

<sup>12</sup> Künast/Köhler, ZRP 2002, 132.

<sup>13</sup> შუად. Bundesministerium des Innern, Übersicht „Hasskriminalität – Entwicklung der

ლოოდ, 2015 წელს, მაშასადამე, ე.წ. „ლტოლოვილების კრიზისის წელს“ 75%-ით (10 373) გაზრდილიყო! აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის ის, რომ 2015 და 2016 წლებში დანაშაულების 80% (8529; 8983) წარმოადგენდა ქსენოფობიური ხასიათის დანაშაულებს. ამათგან დანაშაულების 30% (2015: 3084; 2016: 3177) გამოიხატა სიძულვილით მოტივირებული გზავნილების ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებაში. უმეტესად, საცემე ეხებოდა ეროვნული შუღლის გაღვივებას (2016: 2279). თუმცა, ძალადობრივი დანაშაულების წილიც - დანაშაულების 15% - მნიშვნელოვანი იყო (2016: 1567). მთლიანობაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების 90%-ზე მეტი 2016 წელს ე.წ. „მემარჯვენე პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულების“ ქვეშ ექცეოდა, მაშასადამე, განპირობებული იყო მემარჯვენე ექსტრემისტული განწყობებით.

### **III. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები გერმანულ კანონმდებლობაში**

#### **1. შესავალი**

გერმანული სისხლის სამართალი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს უკვე დიდი ხანია, რაც ყურადღებას უთმობს. ეროვნული შუღლის გაღვივებით (გერმანიის სსკ-ის §130) დასჯადია, არამხოლოდ სიძულვილის და ძალადობრივი ან თვითნებური ქმედებების განხორციელების სურვილის გაღვივება, არამედ ლანძღვით, ბოროტად აბუჩად აგდებით ან ცილისწამებით პირის ღირსების შელახვა (პირველი აბზაცი). დანაშაულის შემადგენლობა ასევე მოიცავს „ნაწერების“ (მე-2 აბზაცი) გავრცელებას ან მათ საჯაროდ ხელმისაწვდომად ქცევას, რასაც უთანაბრდება (გერმანიის სსკ-ის §11 აბზ. მე-3) აუდიო- და ფოტოჩანაწერების, მონაცემთა შენახვების, ილუსტრაციების ან სხვაგვარი ფორმის გამოსახულებების რადიოში, მედია ან ტელევიზორებში გავრცელება. გარდა ამისა, დასჯადია (მე-3 აბზაცი) გენოციდის მიზნით განხორციელებული იმ ქმედებების საჯარო მოწონება, უარყოფა ან გამართლება, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ნაცისტების დროს (ე.წ. ოსვენციმის ტყუილი). მეორე ადგილზე გვხვდება ე.წ.

გაერთიანების და პროპაგანდისტული დანაშაულები (გერმანიის სსკ-ის § 85-85a), დანაშაულების ჩადენისათვის საჯარო მოწოდება (გერმანიის სსკ-ის §111), დანაშაულების ჩადენის მოწონება ან ჩადენისათვის წახალისება (გერმანიის სსკ-ის §140), შეურაცხყოფის შემადგენლობები (გერმანიის სსკ-ის §185 და შემდგომი), იძულება და მუქარა (გერმანიის სსკ-ის §240, 241)<sup>14</sup>. ასევე, დასჯადია რელიგიური აღმსარებლობების, რელიგიური გაერთიანებების და მსოფლმხედველობრივი გაერთიანებების შეურაცხყოფა (გერმანიის სსკ-ის §166)<sup>15</sup>. და ბოლოს, ქსენოფობიური ან რასისტული მოტივით მკვლელობის შემთხვევაში (გერმანიის სსკ-ის §211), როგორც წესი, სახეზეა დანაშაულის ჩადენის მამოძრავებელი ე.წ. მდაბიო მოტივების ნიშანი<sup>16</sup>.

გარდა ამისა, სასჯელის ზომის განსაზღვრისას (გერმანიის სსკ-ის §46) შესაძლებელია არაჰუმანური მოტივების გათვალისწინება. გერმანიის სსკ-ის §46 მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება სასჯელის ზომის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვან გარემოებად „დამნაშავის მოტივებთან და მიზნებთან“ ერთად ასახელებს „დამოკიდებულებას, რომელიც დანაშაულიდან გამომდინარეობს“. აღნიშნულთან დაკავშირებით პრაქტიკაში დადგენილია, რომ რასისტული და ქსენოფობიური მოტივები სასჯელის გამკაცრებას იწვევენ<sup>17</sup>. მსგავსად შესაძლებელი იყო „ბრალეული შედეგების“ და „დანაშაულის განხორციელების პროცესის“ გათვალისწინებაც, რადგან ამ შემთხვევაში დანაშაულები, როგორც წესი, იწვევენ განსაკუთრებულ ზიანს და მსხვერპლი მისი კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილებიდან გამომდინარე აირჩევა<sup>18</sup>.

## 2. ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სამართლებრივი ინსტრუმენტები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის დასაწყისში სხე-

---

<sup>14</sup> Weiß, in: Sieber/Satzger/von Heintschel-Heinegg (Hrsg.), Europäisches Strafrecht, 2. Aufl. 2014, § 25 Rn. 40.

<sup>15</sup> Schreier, NJ 2015, 323, 324.

<sup>16</sup> BGHSt 18, 37 (Rassenhass); BGH NJW 2000, 1583 (Ausländerhass); Schreier, NJ 2015, 323, 325 m.w.N.; BT-Drucks. 17/3124 S. 8.

<sup>17</sup> Sotiriadis, KJ 2014, 261, 272 m.w.N.

<sup>18</sup> Sotiriadis, KJ 2014, 261, 268 ff.

ნებული ევროპული სამართლებრივი ინსტრუმენტების გერმანიაში იმპლემენტაციისას მხოლოდ მცირე ცვლილებების განხორციელება დადგა დღის წესრიგში. გერმანიის სსკ-ის §130 თავდაპირველად ეხებოდა მხოლოდ „მოსახლეობის ცალკეულ ნაწილებს“, 2003 წლის დამატებითი პროტოკოლის და 2008/913/ი ჩარჩო-გადაწყვეტილების საფუძველზე კი აღნიშნული პარაგრაფი გავრცელდა ცალკეული წევრებისადმი სიძულვილისა და ძალადობის განხორციელების წაქეზებაზეც<sup>19</sup>. სხვა მხრივ, გერმანული სამართალი შეესაბამებოდა აღნიშნულ მოთხოვნებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გერმანიის სსკ-ის §46-ით გათვალისწინებულია ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-4 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, დანაშაულის ჩადენის მამოძრავებელი რასისტული და ქსენოფობიური მოტივები ან დამამძიმებელ გარემოებად უნდა იქნას მიჩნეული ან შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სასჯელის ზომის განსაზღვრისას<sup>20</sup>.

### 3. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ორგანოების მხრიდან არსებობს რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, რასისტული მოტივებით დანაშაულის ჩადენა დასახელებულ უნდა იქნას სასჯელის ზომის განსაზღვრის საფუძველად. აღნიშნულით გაიზარდა პოლიტიკური ზეწოლა. ამგვარი რეკომენდაციები გასცა არამხოლოდ ევროკავშირის კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2000 წლის 15 დეკემბერს, 2009 წლის 26 მაისს და 2014 წლის 25 თებერვალს<sup>21</sup>, არამედ აგრეთვე რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა 2008 წლის 13 აგვისტოს<sup>22</sup> და გაერთიანებული ერების რასიზმის საკითხებში

---

<sup>19</sup> BT-Drucks. 17/3124 S. 6.

<sup>20</sup> BT-Drucks. 17/3124 S. 8.

<sup>21</sup> Europäische Kommission gegen Rassismus und Intoleranz (ECRI) des Europarates, Bericht über Deutschland, zweite Prüfungsrunde, veröffentlicht am 15.12.2000, vierte Prüfungsrunde, veröffentlicht am 26.5.2009, fünfte Prüfungsrunde, veröffentlicht am 25.2.2014; vgl. BT-Drucks. 16/10123 S. 1 und BT-Drucks. 18/3007 S. 14.

<sup>22</sup> Schlussbemerkungen des Ausschusses für die Beseitigung der Rassendiskriminierung – CERD – der Vereinten Nationen zu den 16. bis 18. Staatenberichten Deutschlands, CERD/C/DEU/CO/18, angenommen am 13. August 2008, Nr. 26.

სპეციალურმა მომხსენებელმა 2010 წლის 22 თებერვალს<sup>23</sup>.

#### 4. ბუნდესრატის პირველი - 2008 წლის 13 აგვისტოს - კანონპროექტი

ფედერაციის მიწებმა<sup>24</sup> ჯერ კიდევ 2000 წელს წარუდგინეს ბუნდესრატს საკანონმდებლო ინიციატივები, რომელთა მიხედვითაც, ექსტრემისტული დანაშაულების დევნა და ადამიანის ღირსების სისხლისსამართლებრივი დაცვა უკეთესად უნდა განხორციელებულიყო. ბუნდესტაგშიც შევიდა სათანადო განაცხადები, თუმცა, უშედეგოდ<sup>25</sup>.

რიგით მე-16 მოწვევის ბუნდესრატის უფლებამოსილების მოქმედების პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის 13 აგვისტოს, ორგანოში შევიდა ბრანდენბურგის, მეკლენბურგ-წინაპრომენანის და საქსონია-ანჰალტის ერთობლივი ინიციატივით შემუშავებული კანონპროექტი სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილების თაობაზე<sup>26</sup>. აღნიშნული ინიციატივით, გერმანიის სსკ-ის §46-ში სასჯელის ზომის განსაზღვრის საფუძვლად განსაკურებით გათვალისწინებულ უნდა ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის მამოძრავებელი „არაჰუმანური, რასისტული ან ქსენოფობიური“ მოტივები და მიზნები. გარდა ამისა, გერმანიის სსკ-ის §47, 56-ის შევსება უნდა მომხდარიყო. კერძოდ, თუკი სახეზე იქნებოდა დანაშაულები, რომელთა ჩადენაზეც ამგვარმა მოტივაციამ მინიმუმ თანაგავლენა იქონია, მართლწესრიგის დაცვის მიზნით, „როგორც წესი“, უნდა დადგენილიყო იმის შესაძლებლობა, რომ აღსრულებულიყო და გამოყენებულიყო 6 თვეზე ნაკლები ვადითაც სასჯელები თავისუფლების აღკვეთის სახით.

ინიციატივის მთავარ დასაბუთებას<sup>27</sup> წარმოადგენდა არგუმენტი, რომლის თანახმადაც, სიძულვილითა და ცრურწმენებით მოტივირებული დანაშაულების რაოდენობიდან გამომდინარე, ყოვლისმომცველი და

---

<sup>23</sup> Bericht des Sonderberichterstatters der Vereinten Nationen für Rassismustfragen, Githu Muigai, über seinen Deutschlandbesuch, A/HRC/14/43/Add. 2 v. 22.2.2010, Rn. 78.

<sup>24</sup> Baden-Württemberg: BR-Drucks. 564/00 v. 21.9.2000; Brandenburg: BR-Drucks. 577/00 v. 26.9.2000; Mecklenburg-Vorpommern: BR-Drucks. 759/00 v. 16.11.2000.

<sup>25</sup> შეად. Beschlussempfehlung und Bericht des Innenausschusses (4. Ausschuss), BT-Drucks. 14/5695.

<sup>26</sup> BT-Drucks. 16/10123; Sead. BR-Drucks. 572/07 v. 20.8.2007.

<sup>27</sup> BT-Drucks. 16/10123 S. 7.

მუდმივი ქმედებების განხორციელების აუცილებლობა იდგა დღის წესრიგში. რასობრივი ან ქსენოფობიური მოტივებით ჩადენილი დანაშაულები სხვა ადამიანებს „მდაბლად“ განიხილავს და მათ იმგვარად ამცირებს, რომ სისხლისსამართლებრივი ჩარევის აუცილებლობას ჯერ კიდევ გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების (ადამიანის ღირსება) საფუძველზე იწვევს. იმავდროულად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის 1-ელი აბზაცით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის შესაბამისად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დანაშაულის ჩადენის ყველა არაჰუმანური საფუძველი და მიზანი, მათ შორის, როგორცაა შემლუღული შესაძლებლობების ან განსხვავებული რელიგიური შეხედულების ქონა. დანაშაულები მსხვერპლისადმი, როგორც ინდივიდისადმი კი არ არის მიმართული, არამედ როგორც იმ ადამიანთა ჯგუფის წარმომადგენლისადმი, რომლის მიმართაც დამნაშავეს ზიზღი გააჩნია და შესაბამისად, მისადმი დანაშაულის ჩადენა ამ ჯგუფის ყველა წევრში შიშის და ტერორის გავრცელებას გამოიწვევს. სწორედ ამით იზომება უმართლობა. სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებით გამოკვეთილად გაკიცხოს ამგვარი დანაშაულები.

მაშინდელმა ე.წ. „შავ-წითელმა“ ფედერალურმა მთავრობამ (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი/ბავარიის ქრისტიან-სოციალური კავშირი და სოციალ-დემოკრატიული პარტია) კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა შემოთავაზებული ცვლილებების აუცილებლობა და მართებულობა<sup>28</sup>. მათი მოსაზრებით, დანაშაულის ჩადენის მოტივები და მიზნები გერმანიის სსკ-ის §46-ით უკვე საკმარისად იყო გათვალისწინებული. ხანმოკლე დროით თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით „მუდმივი“ გამოყენება და აღსრულება არსებულ სისტემას შეცვლიდა, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული სახის სასჯელი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება. და ბოლოს, კითხვები არსებობდა ცნების თვალსაზრისითაც, კერძოდ ბუნდოვანი იყო თუ რომელი რასისტული და ქსენოფობიური მოტივები წარმოადგენდნენ იმავდროულად არაჰუმანურ მოტივებს. კანონპროექტს ლიტერატურაში მხარდაჭერასთან ერთად,<sup>29</sup> უმეტესად უარყოფაც მოჰყვა თან. აღინიშნა, რომ ცვლილებებს „უფრო მეტი სიმბოლური დატ-

<sup>28</sup> BT-Drucks. 16/10123 S. 11.

<sup>29</sup> Stegbauer, NJ 2008, 108, 109 f.

ვირთვა ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული<sup>30</sup>. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევაში, უკვე ხდებოდა არაპროპორციულად ხშირად ხანმოკლე დროით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება სასჯელის სახით და „სპეციალური სისხლის სამართლის“ შემოღება დამნაშავეთა ცალკეული ჯგუფებისადმი უადგილო იყო<sup>31</sup>. საბოლოოდ, საკანონმდებლო ინიციატივა დროის გასვლასთან ერთად მივიწყებულ იქნა.

## 5. ბუნდესრატის მეორე - 2012 წლის 18 აპრილის – კანონპროექტი

რიგით მე-17 მოწვევის ბუნდესრატის უფლებამოსილების პერიოდში, 2012 წლის 18 აპრილს, ბუნდესრატში ექვსმა ფედერაციულმა მინამ მეორე საკანონმდებლო ინიციატივა შეიტანა<sup>32</sup>. აღნიშნულს წინ უძღოდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის<sup>33</sup> ფრაქციის, გაერთიანება 90-ისა და მწვანეების ერთობლივი ფრაქციის საკანონმდებლო ინიციატივები<sup>34</sup>. საკანონმდებლო ინიციატივა კვლავ ითვალისწინებდა გერმანიის სსკ-ის §46-ის შევსებას და ამასთან, ფორმულირება ამ შემთხვევაში შედარებით უფრო ნათლად იყო ჩამოყალიბებული, კერძოდ, ნახსენები იყო დანაშაულის განხორციელების მამოძრავებელი „არაჰუმანური, განსაკუთრებით რასისტული და ქსენოფობიური“ მოტივები და მიზნები. რეგულაციები, რომლებიც სასჯელის სახით ხანმოკლე დროით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, ამ კანონპროექტში აღარ იყო მოცემული. საკანონმდებლო ინიციატივა დასაბუთებული იყო<sup>35</sup> სისხლის სამართლის მხრიდან „მკაფიო სიგნალის“ არსებობის აუცილებლობის არგუმენტით. სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოებისა და სასამართლოების მგრძობელობა ამ მოტივებთან მიმართებით უნდა გაზრდილიყო და ამ მოტივებს მათი მხრიდან მომავალში ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდათ.

---

<sup>30</sup> Hellmann/Gärtner, NJW 2011, 961, 965.

<sup>31</sup> Keiser, ZPR 2010, 46, 48, 49.

<sup>32</sup> Berlin, Bremen, Hamburg, Nordrhein-Westfalen, Sachsen-Anhalt, Thüringen, შეად. BT-Drucks. 17/9345.

<sup>33</sup> BT-Drucks. 17/8131 v. 14.12.2011.

<sup>34</sup> BT-Drucks. 17/8796 v. 29.2.2012.

<sup>35</sup> BT-Drucks. 17/9345 S. 6.

ამ შემთხვევაში უკვე შავ-ყვითელმა ფედერალურმა მთავრობამ (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი/ბაგარიის ქრისტიან-სოციალური კავშირი და გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტია) საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას მიუთითა, რომ ცვლილებას „უმეტესად სიმბოლური ხასიათი“ ექნებოდა. მათი მოსაზრებით, დანაშაულის ჩადენის მოტივები, როგორც ეს აქტუალურმა კვლევამ აჩვენა, გამოკითხული მოსამართლეებისა და პროკურორების 90%-ის მხრიდან უკვე მიიღებოდა მხედველობაში; გარდა ამისა, გამოკითხული პრაქტიკოსების 2/3-მა გერმანიის სსკ-ის §46-ში ცილისმწამებლური მოტივაციის გამოკვეთილად აღნიშვნის აუცილებლობა უარყო<sup>36</sup>. ლიტერატურაში ნაწილობრივ თანმხლები ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნაც გაჟღერდა<sup>37</sup>. საბოლოოდ, ბუნდესტაგის იურიდიულმა კომიტეტმა სამთავრობო ფრაქციების თანხმობით უარი განაცხადა ზემოთ განხილული ყველა კანონპროექტის მიღებაზე<sup>38</sup>.

## **6. გერმანიის ფედერალური მთავრობის (მესამე) – 2014 წლის 30 ოქტომბრის – კანონპროექტი**

მე-18 მონვევის ბუნდესტაგის უფლებამოსილების პერიოდში, 2014 წლის 30 ოქტომბერს, თავად ე.წ. „შავ-წითელმა“ ფედერალურმა მთავრობამ წარმოადგინა ახალი კანონპროექტი<sup>39</sup>. აღნიშნულის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მემარჯვენე-ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ნაციონალისტურ-სოციალისტურმა მიწისქვეშეთმა“ შეძლო, თითქმის 14 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უმძიმესი დანაშაულების ჩადენა. საგამოძიებო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა მეორე კანონპროექტით გერმანიის სსკ-ის §46-ის მოდიფიცირებაც.

სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის კომიტეტმა ამჯერად მხარი

---

<sup>36</sup> BT-Drucks. 17/9345 S. 7 m.w.N.

<sup>37</sup> შუად. Stollenberg, ZRP 2012, 119, 122.

<sup>38</sup> BT-Drucks. 17/11061 S. 2.

<sup>39</sup> BT-Drucks. 18/3007; ამას წინ უძღვოდა იუსტიციის მინისტრთა კონფერენციის (JuMiKo) 12.6.2013 რიცხვის გადაწყვეტილება, რომლითაც რეკომენდირებულ იქნა არაჰუმანური მოტივების სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინება, შუად. Sotiriadis, KJ 2014, 261, 263 m.w.N.

დაუჭირა კანონპროექტის მიღებას<sup>40</sup>. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტს ხმა მისცა სამთავრობო კოალიციამ, ხოლო ოპოზიციამ ხმის მიცემისგან თავი შეიკავა. ლიტერატურაში გავრცელებული კრიტიკის თანახმად, განხორციელებულ ცვლილებებს არ ჰქონდათ დოგმატური მნიშვნელობა<sup>41</sup>. მიუხედავად ამისა, ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს<sup>42</sup>, რის შედეგადაც 2015 წლის პირველ აგვისტოს<sup>43</sup> ძალაში შევიდა 2015 წლის 24-25 თებერვლის კანონი „ნაციონალისტურ-სოციალისტური მინისტრების“ საგამოძიებო კომიტეტის რეკომენდაციების იმპლემენტაციის შესახებ. აღნიშნულზე დამატებით უკვე 2015 წლის 24-25 დეკემბერს განხორციელდა სისხლის სამართალწარმოებისა და ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ სამართალწარმოების შესახებ დირექტივის ცვლილებაც (RiStBV)<sup>44</sup>. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, გამოძიება შემოიფარგლება არამხოლოდ დანაშაულის ისეთი გარემოებების გათვალისწინებით, როგორცაა დანაშაულის ჩადენის მამოძრავებელი რასისტული, ქსენოფობიური ან სხვაგვარი არაჰუმანური მოტივები (დირექტივის მე-15 მუხლის მე-5 აბზაცი), არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საჯარო ინტერესი, „როგორც წესი“, სახეზეა კერძო საჩივრების არსებობის შემთხვევაშიც (დირექტივის 86-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება).

#### **IV. არაჰუმანური მოტივები, როგორც სასჯელის ზომის განსაზღვრის საფუძველი**

სასჯელის ზომის განსაზღვრისას განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები დანაშაულის ჩადენის „რასისტული, ქსენოფობიური და სხვაგვარი არაჰუმანური“ მოტივები და მიზნები. კანონის განმარტებითი ბარათის

---

<sup>40</sup> შეად. BT-Drucks. 17/4357 S. 5 f.

<sup>41</sup> krit. Jungbluth, RuP 2015, 162, 164 ff.; StV 2015, 579, 580 ff.; Payandeh, JuS 2015, 695, 699; Sotiriadis, KJ 2014, 261, 265 ff.; Timm, JR 2014, 141, 143 ff.; Tolmein, ZRP 2014, 127.

<sup>42</sup> Bundestag: 3. Beratung, BT-PIPr 18/94 v. 19.3.2015, S. 8976C; Bundesrat: 2. Durchgang: BR-PIPr 933 v. 8.5.2015, S. 166B.

<sup>43</sup> BGBl. I 2015 v. 19.6.2015, Nr. 23, S. 925.

<sup>44</sup> Durch den Unterausschuss des Strafrechtsausschusses der Justizministerkonferenz (JuMiKo), შეად. BT-Drucks. 17/4357 S. 6.

თანახმად<sup>45</sup>, „არაკუმანური“ წარმოადგენს მთავარ ცნებას, ხოლო ცნებები „რასისტული“ და „ქსენოფობიური“ მხოლოდ განმარტების მიზნებს ემსახურება<sup>46</sup>. ნაწილობრივ გაკრიტიკებულია ის ფაქტი, რომ კანონით გათვალისწინებულ არ იქნა სხვა დანარჩენი მოტივებიც (მაგ. „ჰომოსექსუალების მოძულე“<sup>47</sup>; „შემლედული შესაძლებლობების მქონე პირების მოძულე“). მართალია, აღნიშნულის გათვალისწინება შესაძლებელი იყო, თუმცა, ვფიქრობთ, რომ საკმარისია ყველაზე ხშირ მოტივაციაზე აქცენტის გაკეთება.

## 1. დანაშაულის ჩადენის რასისტული და ქსენოფობიური მოტივები და მიზნები

კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, „რასისტული“ და „ქსენოფობიური“ ნიშნები გამომდინარეობს ევროკავშირის საბჭოს 2008/913/ 2008/913/ JI ჩარჩო-გადაწყვეტილების პირველი მუხლიდან. აღნიშნული მუხლი ამ ნიშნების ქვეშ მოიაზრებს იმ დანაშაულებს, რომლებიც მიმართულია რასის, კანის ფერის, რელიგიის, წარმოშობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის კრიტერიუმებით განსაზღვრული ჯგუფის წევრების ან მათი ერთი წევრის მიმართ<sup>48</sup>. ცნება „რასიზმს“ აქვს ბიოლოგიური, იგივე ფენოტიპური საფუძველი. აღნიშნულის საპირისპიროდ, ცნება „ქსენოფობია“ აღწერს ქმედებას, რომლის დროსაც ადამიანების „უცხოლ“ სტიგმატიზირება ხდება კონკრეტული კულტურალისტურად დასაბუთებული კრიტერიუმების საფუძველზე. ასეთი კრიტერიუმებია მაგ. გარეგნობა, წარმომავლობა, ენა ან სხვაგვარი სოციალური ქცევა<sup>49</sup>. რასიზმი და ქსენოფობია ერთობლივად მაშინაა სახეზე, როდესაც დამნაშავე საკუთარ მსოფლმხედველობას ან/და საკუთარ ცრურწმენას იყენებს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების

---

<sup>45</sup> კრიტ. Jungbluth RuP 2015, 162 ff.

<sup>46</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 14.

<sup>47</sup> შვად. Timm, JR 2014, 141, 145; Tolmein, ZRP 2014, 127; დამატებით სხვა დისკრიმინაციული ნიშნების ჩამატებას ემხრობა Schreier, NJ 2015, 323, 330.

<sup>48</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 14.

<sup>49</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 15; კრიტ. Stoltenberg, ZRP 2012, 119, 122: Unterfall von Rassismus.

დარღვევის და ადამიანის ღირსების შელახვის გასამართლებლად<sup>50</sup>. და ბოლოს, აღნიშნულ ნიშნებს ისედაც განიხილავენ უკვე საპოლიციო სტატისტიკაში პოლიტიკური დანაშაულების ქვესახედ<sup>51</sup>.

## 2. დანაშაულის ჩადენის სხვა არაჰუმანური მოტივები და მიზნები

დანაშაულის ჩადენის „სხვა არაჰუმანური“ მოტივები და მიზნები უნდა წარმოადგენდნენ სხვაგვარი დისკრიმინაციების „გამაერთიანებელ ნიშნებს“. ამ ნიშნებმა სასჯელის ზომის განსაზღვრის პრაქტიკას უნდა მისცენ სიძულვილითა და ცრურწმენებით მოტივირებული დანაშაულების სათანადოდ შეფასების შესაძლებლობა<sup>52</sup>. გასათვალისწინებელია საპოლიციო აღრიცხვის სისტემაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ფარგლებში დასახელებული დანაშაულის ჩადენის ისეთი მამოძრავებელი მოტივები და მიზნები, როგორცაა: ანტისემიტური, რელიგიური ორიენტაციის წინააღმდეგ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეობისადმი, სამოგადობრივი სტატუსისადმი ან სექსუალური ორიენტაციისადმი მიმართული მოტივები და მიზნები<sup>53</sup>. ამასთან, სასამართლოებს აქვთ სხვა არაჰუმანური მოტივების გათვალისწინების შესაძლებლობაც<sup>54</sup>.

## 3. გასათვალისწინებელი საკითხი

სისტემური თვალსაზრისით, კანონის განმარტებითი ბარათი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის დადგენილ ახალ გარემოებებს „მოგადად“ სასჯელის დამამძიმებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ; სხვაგვარ ნეიტრალურად შექმნილ გარემოებებთან შედარებით, ამ შემთხვევაში, ზემოხსენებულ გარემოებებს არ აქვთ ერთგვარი „ცალმხრივი გადაწონვის უნარი“<sup>55</sup>. აღნიშნულ მოსაზრებას უნდა დავუპირისპირდეთ, ვინაიდან ისედაც გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება

<sup>50</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 15.

<sup>51</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 15.

<sup>52</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 15; კრიტ. Tolmein, ZRP 2014, 127: rechtlich unkonturierter Begriff.

<sup>53</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 15.

<sup>54</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 16.

<sup>55</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 16.

მიგვიყვანოს დანაშაულის ჩადენის არაჰუმანურმა მოტივაციამ სასჯელის შემცირებამდე! ამ შემთხვევაში საქმე ეხება ე.წ. „ექსტრემალური სახის მოტივაციებს“<sup>56</sup>, რომელთა განსაზღვრა შეუძლებელია. არაჰუმანური მოტივაცია ყოველთვის იწვევს სასჯელის გამკაცრებას.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, კანონის განმარტებითი ბარათი უმკლავდება იმ კრიტიკას, რომ ეს შეიძლება იყოს შინაგანი განწყობისთვის დასჯადობის შემოღება<sup>57</sup>. სასჯელის გამკაცრებას იწვევს არა არაჰუმანური დამოკიდებულება „როგორც ასეთი“, არამედ, სიტყვასიტყვით რომ აღინიშნოს, მხოლოდ დამოკიდებულება, რომელიც „დანაშაულიდან“ გამომდინარეობს“<sup>58</sup>, ანუ მისი რეალიზება.

და ბოლოს, კანონის განმარტებითი ბარათი მიუთითებს იმაზე, რომ გასათვალისწინებელია გერმანიის სსკ-ის §46 მე-3 აბზაცის ორჯერ გამოყენების აკრძალვა. იმ დანაშაულის შემადგენლობების არსებობისას, რომელთა დროსაც არაჰუმანური მოტივები უკვე განეკუთვნება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს - როგორც ეს გვხვდება მაგ. ეროვნული შუღლის გაღვივების შემთხვევაში (გერმანიის სსკ-ის §130) - აღნიშნული გარემოებების კვლავ გათვალისწინება აღარ უნდა მოხდეს<sup>59</sup>. თუმცა, აღნიშნული მოსაზრება არასწორია. კანონის განმარტებითი ბარათი ამბობს, რომ სასჯელის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში მისაღებ ახალ გარემოებებს, მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში (გერმანიის სსკ-ის §211) დანაშაულის ჩადენის მდებარე მოტივებზე გავლენა არ შეიძლება ჰქონდეთ. აღნიშნულის მიზეზს კი წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მკვლელობის შემთხვევაში სასჯელის ზომის განსაზღვრასთან დაკავშირებით კითხვის ნიშანი არ არსებობს, ვინაიდან მდებარე მოტივებით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობისას ისედაც უვადო თავისუფლების აღკვეთა ინიშნება.

თუმცა, არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ მკვლელობის რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში შეიძლება ბრალის კიდევ უფრო დამძიმება, ეს კი ვადამდე ადრე გათავისუფლე-

---

<sup>56</sup> Streng, in: Kindhäuser/Neumann/Paeffgen (Hrsg.), NomosKommentar StGB, 5. Aufl. 2017, § 46 Rn. 52.

<sup>57</sup> Timm, JR 2014, 141, 145 ff.

<sup>58</sup> შეად. BT-Drucks. 18/3007 S. 16; ასევე Sotiriadis, KJ 2014, 261, 269.

<sup>59</sup> BT-Drucks. 18/3007 S. 16.

ბას გამორიცხავს. (შეად. გერმანიის სსკ-ის §57 1-ელი აბზაცი, პირველი წინ. მე-2 ნაწილი)<sup>60</sup>. ამიტომ, დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმის შემონმებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის ზომის განსაზღვრისთვის დადგენილი რეგულაციები<sup>61</sup>.

## V. პერსპექტივა

საკითხავია, გერმანულ სისხლის სამართალში როგორ უნდა გაძლიერდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისგან სისხლისსამართლებრივი დაცვა.

### 1. ცვლილებები დანაშაულის შემადგენლობის ეტაპზე

დანაშაულის შემადგენლობის ეტაპზე შესაძლებელია შეიქმნას მაკვალიფიცირებული შემადგენლობები. კერძოდ, შემოვიდეს სასჯელის ზომის განსაზღვრის სპეციალური წესები, რომლებიც, ზოგადად, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების მსგავსად გამოიყენება<sup>62</sup>. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, გადამწყვეტი იქნება არამხოლოდ (ე.წ. დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის გაგებით) წმინდა ქმედებისა და შედეგის უმართლობა, არამედ (ე.წ. დამნაშავის შესახებ სისხლის სამართლის გაგებით) დამნაშავის განსაკუთრებული მოტივაციაც. გამომდინარე იქიდან, რომ გერმანული სისხლის სამართალი არ წარმოადგენს წმინდა სახის დანაშაულის შესახებ სისხლის სამართალს, არამედ ნაწილობრივ ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებულ მოტივაციებს, როგორცაა ეს მკვლელობის ნიშნების შემთხვევაში, აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია. თუმცა, ისტორიული საფუძვლებიდან გამომდინარე, თავის შეკავებაა სასურველი, ვინაიდან ნაციზმის დროს დამნაშავის შესახებ სისხლის სამართლის ინსტრუმენტალიზებას ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, აუცილებელი გახდებოდა სისხლის სამართლის კოდექსისა და სხვა კანონებში გათვალისწინებული სისხლის სამართლის ფართომასშტაბიანი

---

<sup>60</sup> Jungbluth, RuP 2015, 162, 168

<sup>61</sup> BGH NStZ 2014, 511.

<sup>62</sup> შეად. zum Schutz vor Diskriminierung Schreier, NJ 2015, 323, 327 f.

ცვლილება, რადგან, პრინციპული თვალსაზრისით, ყველა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენა შესაძლოა მოხდეს არაჰუმანური მოტივების საფუძველზე.

თუმცა, საფიქრალია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები-სათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე შემადგენლობების ჩადენისას მოტივაციის მხედველობაში მიღება. ბრანდენბურგის მხარემ 2000 წელს<sup>63</sup> შეიმუშავა კანონპროექტი გერმანიის სსკ-ში §224a-ს შემოღების თაობაზე, რომელიც დანაშაულად მიიჩნედა სხეულის დაზიანებას „სიძულვილის ... ან დანაშაულის ჩადენის მამოძრავებელი სხვაგვარი მდაბიო მოტივების“ საფუძველზე. თუმცა, „დანაშაულის ჩადენის მდაბიო მოტივები“ ჯერ კიდევ მკვლელობის შემთხვევაში იწვევენ კანონის განმარტების სირთულეს. ხოლო, „სიძულვილი“ კი წარმოადგენს ამბივალენტურ ნიშანს და მან შესაძლოა გამოიწვიოს ბრალის შემსუბუქება, თუკი დამნაშავეს მისი კონტროლი არ შეუძლია<sup>64</sup>. უმჯობესი იქნებოდა, უფრო ფართო არაჰუმანურ მოტივაციაზე დაყრდნობა, რომელიც არამხოლოდ გერმანიის სსკ-ის §§223, 234-ს შეეხებოდა, არამედ ყველა, ძალადობრივი და ადამიანის სხეულის დაზიანებისკენ მიმართულ დანაშაულს. აღნიშნულს გვერდით ეფექტად ის ექნებოდა, რომ დანაშაულის შემადგენლობების მოცულობა გაიზრდებოდა.

## 2. ცვლილებები სასჯელის ზომის განსაზღვრის ეტაპზე

აქედან გამომდინარე, უნდა შევჯერდეთ, რომ არაჰუმანური მოტივაცია მხოლოდ სასჯელის ზომის განსაზღვრის ეტაპზე გასათვალისწინებელი, როგორც ეს გერმანიის სსკ-ის §46-ის მიხედვითაა შესაძლებელი. თუმცა, შესაძლებელია ვიფიქროთ სასჯელის გამკაცრებისათვის სქემატური მოთხოვნების შემოღებაზე, რომლებიც, მაგ. გაითვალისწინებენ სასჯელის ფარგლების გაორმაგებას. მაგრამ, აღნიშნულის საპირისპიროდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ გერმანიის სსკ-ის §46-ის მიხედვით, სასჯელის ზომის დადგენა ყოველთვის ხორციელდება ჩადენილი დანაშაულისა და

---

<sup>63</sup> BR-Drucks. 577/00 v. 26.9.2000.

<sup>64</sup> Tolmein, ZRP 2001, 315, 316, 317.

დამნაშავის პიროვნების<sup>65</sup> ყოვლისმომცველი ერთობლივი აწონ-დაწონვის შედეგად და თითოეულ ცალკეულ შემთხვევას სასჯელის კონკრეტული ზომის დადგენისას მნიშვნელობა ენიჭება. სასჯელის გამკაცრება მხოლოდ სათანადო ბრალის ფარგლებშია დასაშვები<sup>66</sup>. ამიტომ, სასჯელის გამკაცრება მომავალში სასამართლოს დისკრეციაში უნდა შედიოდეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში სასჯელის ფარგლების სრული გამოყენება ხშირად მაინც არ ხდება და უფრო მეტიც, დანიშნული სასჯელების უმეტესობა ძირითადად ქვედა ზღვართან მერყეობს. შესაბამისად, სასჯელის ფარგლები გვთავაზობენ საკმარის თავისუფლებას<sup>67</sup> იმისათვის, რომ არაჰუმანური მოტივაცია სათანადოდ იქნას შეფასებული.

### 3. თანმხლები ღონისძიებები

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს ასევე უნდა დაეუპირისპირდეთ თანმხლები ღონისძიებებით, განსაკუთრებით მსხვერპლის უფლებების გაძლიერებით. „ინტერნეტ-ქსელების გამოყენების შესახებ“ ახალი, 2017 წლის 19 სექტემბრის კანონით (NetzDG)<sup>68</sup> ფედერალურ მთავრობას სურს სოციალური ქსელების სამართლებრივი კონტროლის გაუმჯობესება. აღნიშნულით უნდა მოხდეს არამხოლოდ მზარდ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაპირისპირება, არამედ მცდარი სიხლეების ისეთ სოციალურ ქსელებში გავრცელებასთან, როგორცაა ფეისბუქი, იუთუბი და ტვიტერი<sup>69</sup>. კანონი სოციალური ქსელებისათვის 2018 წლის პირველი იანვრიდან აწესებს კვარტალში ერთხელ ანგარიშის წარდგენის (აღნიშნული კანონის §2) და საჩივრების ყოვლისმომცველი მენეჯმენტის განხორციელების ვალდებულებებს (აღნიშნული კანონის §3). საჩივრის არსებობის შემთხვევაში აშკარად კანონსაწინააღმდეგო შინაარსის მქონე ინფორმაცია 24 სთ-ის განმავლობაში უნდა წაიშალოს, ხოლო სხვაგვარი

---

<sup>65</sup> შეად. მხოლოდ Stree/Kinzig, in: Schönke/Schröder, StGB, 29. Aufl. 2014, § 46 Rn. 4 m.w.N.

<sup>66</sup> Stree/Kinzig, in: Schönke/Schröder, StGB, 29. Aufl. 2014, Vor § 38 ff. Rn. 6 m.w.N.

<sup>67</sup> დისკრიმინაციის მოტივთან დაკავშირებით შეად. Schreier, NJ 2015, 323, 328.

<sup>68</sup> Gesetz zur Verbesserung der Rechtsdurchsetzung in sozialen Netzwerken (Netzwerkdurchsetzungsgesetz – NetzDG) v. 19.9.2017, BGBl. I S. 3352.

<sup>69</sup> BT-Drucks. 18/12356 S. 1.

ხასიათის კანონსაწინააღმდეგო შინაარსის მქონე ინფორმაცია 7 დღის ვადაში ან მათი გავრცელება უნდა შეჩერდეს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მათვალისწინებელია ძალიან მაღალი ფულადი ჯარიმა 50 მლნ. ევრომდე ოდენობით(შეად. აღნიშნული კანონის §4). „ინტერნეტ ქსელების გამოყენების შესახებ“ კანონი ჯერ კიდევ მისი საკომიტეტო განხილვის დროს შეფასდა არაკონსტიტუციურად<sup>70</sup> ექსპერტთა უმრავლესობის მხრიდან და ის კვლავ მზარდი კრიტიკის საგანს წარმოადგენს. კრიტიკოსთა მოსაზრებით, კანონი სოციალური ქსელების მფლობელებს ე.წ. „დამხმარე პოლიციელებად“ აქცევს და ხელს უწყობს ე.წ. „წაშლის წახალისებას“. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ ამრის გამოხატვის თავისუფლებაში (გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი აბზაცი) ჩარევა განხორციელდება („ზედმეტი დაბლოკვა“; „ცენზურა“)<sup>71</sup>.

#### 4. გამომწვევ ფაქტორებთან ბრძოლა

და ბოლოს, უნდა განხორციელდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამომწვევ ფაქტორებთან ბრძოლა. გლობალიზაციისა და მიგრაციის პირობებში, საზოგადოებები სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანნი ხდებიან, რის გამოც კონფლიქტების გაძლიერების საფრთხე არსებობს. თუმცა, იზოლაცია და ქსენოფობია არ წარმოადგენს პრობლემის გადაჭრისათვის გამოსაყენებელ სტრატეგიას. მსოფლიო საზოგადოება მომავალში კვლავ ერთად უნდა გაიზარდოს და გაიზრდება, რადგან მზარდი კეთილდღეობით და ეკონომიკური განსხვავებების დაძლევის შედეგად საბოლოოდ ყველა ადამიანი იღებს სარგებელს. მომავალში პატივისცემისა და ტოლერანტობის მთავარ საზოგადოებრივ ღირებულებად შენარჩუნება, პრევენციის მიზანს უნდა წარმოადგენდეს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წარმოშობის საფუძველს არასაკმარისი კოგნიტურ-სოციალური სწავლების პროცესი შესაძლოა წარმოადგენდეს, რომელიც ადრეულ ეტაპზე გამოიყენება<sup>72</sup>. სწორედ ამიტომ, სიძულვი-

<sup>70</sup> შეად. <https://www.bundestag.de/dokumente/textarchiv/2017/kw25-pa-recht-rechts-durchsetzung/510328>.

<sup>71</sup> კრიტიკისათვის შეად. Guggenberger, ZRP 2017, 98 ff.; Kubiciel, jurisPR-StrafR 7/2017 Anm. 1.

<sup>72</sup> Schneider, JZ 2003, 497, 501 f.

ლით მოტივირებულ დანაშაულების წინააღმდეგ არამხოლოდ სისხლის-სამართლებრივი მართლმსაჯულების, როგორც ფორმალური სოციალური კონტროლის მექანიზმის გამოყენება უნდა მოხდეს, არამედ მას რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, სკოლაში და სკოლაშიც უნდა დაგუპირისპირდეთ<sup>73</sup>, რათა განსასჯელს არ „ვასწავლოთ“ სიძულვილი.

## VI. დასკვნა

1. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენენ დანაშაულებს, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პირების/ინსტიტუციების მიმართ, განსაკუთრებით მათი პოლიტიკური შეხედულებებიდან, ეროვნულობიდან, წარმომავლობიდან, რასიდან, კანის ფერიდან, რელიგიიდან, მსოფლმხედველობიდან, წარმოშობიდან, მათი გარეგნობიდან, მათი შეზღუდულქმედუნარიანობიდან, სექსუალური ორიენტაციიდან ან მათი საზოგადოებრივი სტატუსიდან გამომდინარე.
2. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბოლო წლების განმავლობაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია მემარჯვენე ექსტრემისტული განწყობის მქონე პირების მიერ ქსენოფობიური დანაშაულების განსაკუთრებით ხშირად ჩადენის გამო.
3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ სასჯელის გამკაცრება უნდა იქნას გამოყენებული. გერმანიაში არაჰუმანურ მოტივაციას სასჯელის ზომის განსაზღვრის ეტაპზე უკვე ენიჭება მნიშვნელობა. გერმანიის სსკ-ის §46-ის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადების შეცვლა დანაშაულის ჩადენის მამოძრავებელი „არაჰუმანური, განსაკუთრებით რასისტული და ქსენოფობიური“ მოტივების და მიზნების აღნიშვნით, საკითხის სამართლებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას გაუსვამს ხაზს და პოლიციასა და მართლმსაჯულებას უფრო სენსიტიურს გახდის არაჰუმანური მოტივების არსებობის შემთხვევე-

---

<sup>73</sup> აღნიშნულთან და სხვა შესაძლო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, იხ. Schneider, JZ 2003, 497, 502 f.

ბისათვის.

4. მაკვალიფიცირებელი შემადგენლობების და მაგალითების შემოღებაზე მომავალშიც უარი უნდა ითქვას. აგრეთვე, სასჯელის სქემატური გამკაცრებაც არასწორია, რადგან სასჯელის ზომის განსაზღვრა ყოველთვის ბრალის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. სასჯელის არსებული ფარგლები კი საკმარისია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიანი დაპირისპირებისათვის.
5. და ბოლოს, არამხოლოდ მსხვერპლის უფლებები უნდა გაძლიერდეს, არამედ, განსაკუთრებით სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წარმოშობის საფუძვლები უნდა აღმოიფხვრას. აღნიშნული საბოლოოდ პატივისცემისა და ტოლერანტობის მთავარ საზოგადოებრივ ღირებულებებად კვლავ შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

# სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონცეფცია და მისი რეგულირების მექანიზმები

ლიკა ჯალაღანია, ადამიანის უფლებათა იურისტი/მკვლევარი

## I. შესავალი

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები მისი სამართლებრივი დეფინიციიდან გამომდინარე დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ ქმედებებს გულისხმობს, რომლის განხორციელების საფუძველს საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული, სტერეოტიპული დამოკიდებულება ქმნის და არა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მიზანი<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართ მიდგომა ერთიანი არ არის, ყურადსაღებია, რომ სისხლისამართლებრივი ლიტერატურა ფოკუსირდება ამგვარი დანაშაულის სოციალური ბუნების არსზე და მის გამომწვევ სოციო-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ მიზეზებზე, რომლის მიხედვითაც, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული გაიგება, როგორც დისკრიმინაციის ექსტრემალური ფორმა, რომელიც ამოზრდილია „განსხვავებული“ ადამიანის მიმართ სეგრეგაციის, დისკრიმინაციისა და მარგინალიზაციის კულტურიდან<sup>2</sup>.

საზოგადოებაში არსებული ძალაუფლებათა იერარქიები დაშენებულია ჩაგრულისა და „განსხვავებულის“ მიმართ დომინაციაზე, მათ შორის, კაცის ქალზე, ჰეტეროსექსუალის ჰომოსექსუალზე, თეთრკანიანის შავკანიანზე, მართლმადიდებელის რელიგიური უმცირესობის მიმართ დომინაციაზე. „განსხვავებულისა“ და „უცხო“ ქმნადობის პროცესში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული გამოიყენება როგორც ინსტრუ-

---

<sup>1</sup> Policing Hate Crime against LGBTI persons: Training for a Professional Police Response, CoE, 2017, 35, ob.: <https://rm.coe.int/prems-030717-gbr-2575-hate-crimes-against-lgbti-web-a4/1680723b1d>.

<sup>2</sup> Perry, Accounting for Hate Crime: Doing Difference, Perry, Hate and Bias Crime, 2003, 97-108.

მენტი, რომელიც ხილვადს ხდის საზოგადოებაში არსებულ ძალაუფლებათა დისბალანსს. შესაბამისად, მსხვერპლი, ძირითადად, წარმოადგენს სოციალურად თუ პოლიტიკურად მარგინალიზებული ჯგუფის წევრს, რომელიც დომინანტური კულტურისა თუ იდენტობისათვის მიუღებლად და ხშირად, საფრთხედაც, მიიჩნევა<sup>3</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები შეტყობინების შემცველი, სიმბოლური დატივრთვის მქონე აქტებია, რომელიც არა კონკრეტულ პირს, არამედ ხშირად, მთლიან ჯგუფს მიემართება. შესაბამისად, დისკრიმინაციული დანაშაულები წარმოადგენს არა იზოლირებულ ინციდენტებს, არამედ იმ პოლიტიკური კულტურის შედეგს, რომელიც საზოგადოებას ბიოლოგიურ თუ სოციალურ მახასიათებლებზე დაფუძნებით ყოფს და არაფორმალურად ანიჭებს განსხვავებულ უფლებებსა და პრივილეგიებს<sup>4</sup>. შესაბამისად, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ძალაუფლების მექანიზმი, რომლის მიზანი ფიზიკური ძალადობითა და მუქარის საშუალებით საზოგადოებაში უკვე არსებული იერარქიების შენარჩუნებაა. ის ძირითადად მიმართულია იმის წინააღმდეგ, ვინც ჩვენს საზოგადოებაში სტიგმატიზებული და მარგინალიზებულია. „აღნიშნული პერსპექტივიდან ამგვარი დანაშაულები დანახულია, როგორც გენდერირებული და რასობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული წესრიგის დაცვის ინსტრუმენტი“<sup>5</sup>.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ დისკრიმინაციული/სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები განსაკუთრებით საშიში ფორმის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებია, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსური და ეფექტური პრევენციული მეთოდების გამოყენებით უნდა განხორციელდეს, რაც პირველ რიგში გულისხმობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გავლენის, შედეგისა და დამდგარი ზიანის უკეთ გააზრებას, რელევანტური სამართლებრივი დეფინიციის განსაზღვრასა

---

<sup>3</sup> Petrosino, Connecting the Past to the Future, Hate crime in America, Perry, A Reader: Hate and Bias Crime, Routledge, 2003, 9-26.

<sup>4</sup> Sheffield, Hate Violence, 1995, 438 (როგორც ციტირებულია, Chakraborti/Garland, Hate Crime: Impact, Causes and Responces, 2015, 3-6).

<sup>5</sup> Perry, In the Name of Hate, 2001, 3.

და ერთიანი სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავებას.

წინამდებარე სტატიის მიზანიც, სწორედ ამგვარ დანაშაულთა რეგულირების, დანაშაულებრივი ფაქტის დადგენისას მოტივის იდენტიფიცირების მნიშვნელობის გააზრებაა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ცნობიერების ამაღლებას, საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებსა და ნეგატიურ დამოკიდებულებებთან წინააღმდეგობას.

## **II. მოტივი და სუბიექტურობა: დანაშაულის სამართლებრივი რეგულირების გზები**

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ერთიან, უნიფიცირებულ დეფინიციამე შეთანხმება, მისი სუბიექტური შინაარსის გამო, სირთულეს უკავშირდება. თუმცა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მოქმედი დეფინიციის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს „ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ, მათ შორის, ადამიანისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, სადაც მსხვერპლი, ობიექტი ან სამიზნე შერჩეულია მისი რეალური ან ნაგარაუდები კავშირით, მიკუთვნებით, მხარდაჭერით, აფილირებით ან წევრობით [კონკრეტული] ჯგუფის მიმართ.“<sup>6</sup>

აღნიშნული დეფინიცია საკუთარ თავში რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს მოიცავს, პირველ რიგში, ის უთითებს, რომ შეუწყნარებლობა შესაძლოა ნებისმიერ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას დაედოს საფუძვლად, ამასთან, დეფინიცია ამუშავებს, რომ ამგვარი ქმედება მიემართება არამხოლოდ კონკრეტულ სუბიექტს, არამედ მის საკუთრებასაც, და ბოლოს, დეფინიცია ხაზს უსვამს, რომ ამგვარი დანაშაულის ობიექტის, მსხვერპლის შერჩევა ხდება ექსკლუზიურად იმ მიზეზით, რომ ის რეალურად ან ნაგარაუდევად მიეკუთვნება ან მხარს უჭერს (და შესაბამისად, მასთან აფილირდება) კონკრეტულ ჯგუფს.

2009 წელს ეუთოს საბჭოს მინისტერიალზე მიღებული დოკუმენტი, სი-

---

<sup>6</sup> OSCE/ODIHR annual report for 2006, 9. ob. <http://www.osce.org/odihr/26759?download=true>.

ძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ N 9/09,<sup>7</sup> ჩამოთვლის იმ ძირითად ღონისძიებებს, რომელთაც სახელმწიფომ უნდა მიმართოს დანაშაულთა აღმოფხვრის მიზნით. დოკუმენტი ფოკუსირდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ მონაცემების შეკრებასა და გასაჯაროებაზე, სრულყოფილი კანონმდებლობის მიღებასა და შესაბამისი ზომების დასახვაზე, რათა სახელმწიფომ შეძლოს მსხვერპლისა და მოწმეების წახალისება – განაცხადონ შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ.

საკანონმდებლო ზომების მიღება გულისხმობს ეროვნულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სიძულვილის მოტივის, როგორც დამამძიმებელი გარემოების, არსებობას. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის მოტივის გამოკვეთით სახელმწიფო მნიშვნელოვან მესიჯს უგზავნის შესაძლო დამნაშავეებს, რომ ამგვარი დანაშაულები, მსხვერპლთა მიერ განცდილი ზიანის სიმძიმის აღიარებითა და გააზრებით, არ იქნება შეწყნარებული სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების მიერ. ამასთან, ამგვარ კანონმდებლობას პრაქტიკული ფუნქციაც აქვს. ის შესაძლებელს ხდის, ამგვარი დანაშაულები გახდეს მეტად ხილვადი და გამარტივდეს მონაცემთა შეგროვება სახელმწიფოს მიერ პრევენციული ნაბიჯების დასაგეგმავად.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში „ყველა ავტორისათვის საერთოა ის აზრი, რომ მოტივი მოთხოვნილებითა და ინტერესით განპირობებული მამოძრავებელი ძალაა [...], რომელიც ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზად გვევლინება“<sup>8</sup>. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში სუბიექტის ქცევის მოტივზე მითითება ყოველთვის არ გვხვდება, უმოტივო ქცევა, როგორც დანაშაულის წინაპირობა, ფსიქოლოგიურად შეუძლებელია და ამიტომ დანაშაულებრივი ქმედების მოტივების დადგენა აუცილებელი ხდება<sup>9</sup>. შესაბამისად, რადგანაც დანაშაული ნებელობითი ქმედებაა, მისი ჩადენისას მოტივის

---

<sup>7</sup> DECISION No. 9/09, COMBATING HATE CRIMES, ob. <http://www.osce.org/cio/40695?download=true>.

<sup>8</sup> დვალიძე, მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2017, 2-3, 242.

<sup>9</sup> ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2001, 290.

დადგენა ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპირობაა<sup>10</sup>, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მისი სწორად გამოძიება და სასამართლოს მიერ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა ვერ განხორციელდება.“<sup>11</sup>

გარდა კვალიფიკაციისა, ქმედების მოტივისა და მიზნის გამოკვლევას პრევენციული დატვირთვა აქვს, ის არამართო საშუალებას იძლევა, დავახასიათოთ დამნაშავის ფსიქიკური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენისას და გამოვავლინოთ მართლსაწინააღმდეგო ქცევის მიზეზები, არამედ მართებულად განვსაზღვროთ ბრალის ფორმა და დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი<sup>12</sup>.

დანაშაულის რეგულირებისათვის კანონმდებლის მიერ გამოყენებულ სიტყვებს ქმედების შინაარსის გამოსაკვეთად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც სწორედ ის განსაზღვრავს ქმედების სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად კლასიფიკაციის ელემენტებს<sup>13</sup>.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოტივი სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი. კერძოდ,

- ის შესაძლოა, დანაშაულის შემადგენლობის ძირითად ნიშანს წარმოადგენდეს, მაშინ, როდესაც ის უმართლობის დამფუძნებელი ელემენტია და მოტივს აქ ობიექტური ბუნება აქვს - ასეთ შემთხვევაში, დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ გვეჩვენა აღნიშნული მოტივის გარეშე. ამგავრი ნორმებია, 142-ე მუხლი, რომელიც ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას სისხლისსამართლებრივ დანაშაულად აცხადებს, ასევე, მუხლი 142<sup>1</sup>- რასობრივი დისკრიმინაცია, მუხლი 142<sup>2</sup> - შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა, მუხლი 156 - დევნა და სხვ.
- ასევე, როდესაც მოტივი ქმნის დანაშაულის კვალიფიციურ შე-

<sup>10</sup> დვალიძე, მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2017, 2-3, 264.

<sup>11</sup> ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2001, 290.

<sup>12</sup> დვალიძე, მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence, 2006, N1 (7), 6.

<sup>13</sup> OSCE/ODIHR, Hate Crime Laws, A Practical Guide, 46.

მადგენლობას და დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებაა<sup>14</sup>. ამგვარ ნორმად შეიძლება ჩაითვალოს, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი - ძალადობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; მუხლი 144<sup>3</sup>, ნაწილი 2, ქვეპუნქტი ვ) - არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო; 109-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, ქვეპუნქტი დ) - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო და სხვ.

- ამასთან, გვხვდება ისეთი ნორმებიც, როდესაც მოტივი სასჯელის, როგორც შემამსუფქებელი ან დამამძიმებელი გარემოებაა - ამგვარი ნორმაა სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლი, რომლითაც კანონმდებელი მოითხოვს სწორედ სასჯელის დანიშვნისას იქნას გათვალისწინებული დანაშაულის მოტივი და მიზანი.

საქართველოს კანონმდებლობაში შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ჩანაწერი, როგორც დამამძიმებელი გარემოება, 2012 წლიდან გაჩნდა. ამ დრომდე, კოდექსში დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები მხოლოდ რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ და ენობრივ ნიშნებს მოიცავდა, საიდანაც ავტომატურად გამოირიცხებოდა დანაშაულები სქესის/გენდერის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისა და დაცულ საფუძველთა სრულყოფის მიზნით, 2012 წლის 27 მარტიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53<sup>1</sup> მუხლი (2017 წლის ცვლილებებამდე, 53.3<sup>1</sup> მუხლი), რომელმაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის სიძულვილის მოტივი კოდექსში მითითებული ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა. ნორმის მიღება განაპირობა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღ-

---

<sup>14</sup> დვალიძე, მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, *Georgian Electornic Scientific Journal: Jurisprudence*, 2006, N1 (7), 6.

მდეგ ევროპული კომისიის (ECRI) საქართველოს მიმართ 2010 წლის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციამ, რომელშიც ევროპულმა კომისიამ კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, განესაზღვრა რასობრივი მოტივი სისხლის სამართლის ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად.<sup>15</sup>

გემოაღნიშნული ნორმა, როგორც აღინიშნა, დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს ჩამოთვლის და შეუწყნარებლობით ჩადენილ ქმედებისთვის ბრალის დამძიმებას ითვალისწინებს. აღნიშნული არსებითად ართულებს ნორმის ეფექტურ გამოყენებას, რადგანაც ნორმის შინაარსი და მისი კოდექსში მდებარეობაც უთითებს, რომ ის სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ნორმაა. თუმცა, აღნიშნული გამოძიებასა და პროკურატურას არ არიდებს თავიდან ვალდებულებას აშკარა გახადოს საპროცესო დოკუმენტებში საქმეში არსებული შესაძლო სიძულვილის მოტივის არსებობა, რადგანაც, მისი მითითების გარეშე, შეჭიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო მისი სურვილის საფუძველზე მასზე მსჯელობას ვერ მოახდენს<sup>16</sup>, შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოტივზე მითითება ექსპლიციტურად განხორციელდეს.

### III. დისკრიმინაციული მოტივის იდენტიფიცირების მნიშვნელობა

დისკრიმინაციული დანაშაულებრივი ქმედებების მარეგულირებელი სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული მთავარი სირთულე მათ შინაარსში დამნაშავის სუბიექტური აღქმის მაღალი კონცენტრაციაა. სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში დანაშაულის შემადგენლობის – სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების არსის

---

<sup>15</sup> ECRI Report on Georgia, CRI (2010)17, fourth monitoring cycle, Adopted on 28 April, პარა. 11, იხ. <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-CbC-IV-2010-017-ENG.pdf>.

<sup>16</sup> ჯალაღანია, ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების შესახებ, 2017, იხ. <https://emc.org.ge/ka/products/operatsiuli-sakhelmdzghvanelo-dokumenti-seksualuri-orientatsiisa-da-genderuli-identobis-safudzvelzechadenili-danashaulebis-gamodziebis-shesakheb>.

გაგებას ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მხოლოდ მისი სწორი გააზრებით არის შესაძლებელი დანაშაულებრივი ქმედებისთვის ადეკვატური მატერიალური ნორმის მისადაგება, რადგანაც ქმედების ობიექტური შემადგენლობა დანაშაულის გარეგანი დახასიათებაა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ნიშნები კი დანაშაულის შინაგან, ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების დახასიათებას იძლევა.<sup>17</sup>

როგორც პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე აკადემიური ტექსტები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დისკრიმინაციულ დანაშაულთა განსაზღვრისას, სიტყვა „სიძულვილი“ არ უნდა აღიქმებოდეს პირდაპირი მნიშვნელობით. უფრო მეტიც, ამან შეიძლება, შეცდომაში შეიყვანოს სამართალდამცავი სტრუქტურა, რადგანაც შესაძლოა, განმარტონ იმგვარად, რომ დაცვის ქვეშ მყოფ ადამიანს აუცილებლად უნდა „სძულდეს“ მსხვერპლი ან ის ჯგუფი, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება, რათა დანაშაული სიძულვილით მოტივირებულად მიიჩნეოდეს.

ის ასპექტი, რომელიც ჩვეულებრივ დანაშაულებრივ ქმედებას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად აქცევს, არის დამნაშავის მიერ მსხვერპლის შერჩევა წინასწარგანწყობისა და შეუწყნარებლობის გამო იმ ჯგუფის მიმართ, რომელსაც მსხვერპლი რეალურად თუ ნავარაუდევად მიეკუთვნება. ცხადია, ეს არ გამორიცხავს „სიძულვილს“, როგორც ძლიერი ნეგატიური ემოციის ფლობას, მაგრამ აღნიშნულის მტკიცება არსებითად რთულია და, შესაბამისად, მას ვერ ექნება მკაცრად სამართლებრივი დატვირთვა.<sup>18</sup>

ამრიგად, დანაშაულის შინაარსში „სიძულვილი“ კონცეპტუალიზებული უნდა იყოს, როგორც დისკრიმინაციული დამოკიდებულება - „წინასწარგანწყობა“<sup>19</sup>. თუმცა, მთავარი კითხვა, შეუწყნარებლობით განპირობებული დანაშაულის განსაზღვრისას, არის ის, თუ როგორ ხდება

---

<sup>17</sup> დვალიძე/თუმანიშვილი/გვენეტაძე, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, 2015, 101.

<sup>18</sup> OSCE/ODHIR, Prosecuting Hate Crimes. A Practical guide, 2014, 20.

<sup>19</sup> Jacobs and Potter 1998; Lawrence 1999 (როგორც ციტირებულია, Chakraborti/Garland, Hate Crime: Impact, Causes and Responses, 2015).

„წინასწარგანწყობის“ დეფინირება სისხლისსამართლებრივ კონტექსტში და ასევე, რომელი „წინასწარგანწყობები“ ხდება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყურადღების საგანი.<sup>20</sup>

აკადემიურ ლიტერატურაში წინასწარგანწყობა განიმარტება, როგორც „მცდარ და ჭიუტ განზოგადებაზე დაფუძნებული ანტიპათია. მას შეიძლება ადამიანი გრძნობდეს ან გამოხატავდეს და შეიძლება მიემართებოდეს ადამიანთა გარკვეული ჯგუფს ან ცალკეული წევრებს, აღნიშნულ ჯგუფთან მიკუთვნებულობის გამო.“<sup>21</sup>

ამასთან, კონკრეტული პირისა თუ პირთა ჯგუფის „წინასწარგანწყობა“ მარგინალიზებული ან უმცირესობათა ჯგუფების მიმართ, იმთავითვე არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ემოციური განწყობა ძალადობრივ ქმედებაში გამოიხატება, თუმცა, მიუთითებს რისკისა და საშიშროების არსებობაზე.

სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს წინასწარგანწყობაზე დაფუძნებული დანაშაულის რეგულირებასთან მიმართებით, თუმცა, პრაქტიკაში გამოიყოფა, ძირითადად, ორი მოდელი – „მტრობისა“ და „დისკრიმინაციული სელექციის“. „მტრობის“ მოდელში სავარაუდო დამნაშავის ქმედება ნაწილობრივ მაინც უნდა ეფუძნებოდეს მის ნეგატიურ წინასწარგანწყობას, შეუწყნარებლობასა თუ სიძულვილს მსხვერპლის იდენტობის მიმართ. აღნიშნულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი რთულდება, რადგანაც სამართალდამცავ ორგანოს უნევს, აღმოაჩინოს სავარაუდო დამნაშავის სუბიექტური განწყობის დამადასტურებელი ობიექტური ფაქტი. ნორმის რეგულირების აღნიშნული მიდგომა მართალია, ყველაზე უკეთ გამოხატავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შინაარსს, მაგრამ შესაძლოა, დაბრკოლებებს ქმნიდეს მისი იმპლემენტაციისა და მტკიცებისთვის.<sup>22</sup>

„დისკრიმინაციული სელექციის“ მოდელის შემთხვევაში სავარაუდო დამნაშავე მიზანმიმართულად ირჩევს მსხვერპლს კონკრეტულ ჯგუფთან მიკუთვნებულობის გამო, თუმცა, ამ შემთხვევაში მისი განწყობის შესახებ მოტივის მტკიცება არ არის საჭირო. ანუ, კანონმდებლები ყურადღების

---

<sup>20</sup> Walters, A General Theories of Hate crime? Strain, doing difference and self control, 2010.

<sup>21</sup> Allport, The Nature of Prejudice. Reading, MA: Addison-Wesley.

<sup>22</sup> OSCE/ODIHR, Hate Crime Laws, A Practical Guide, 46.

ფოკუსში აქცევენ კავშირს ქმედებასა და მსხვერპლის არჩევის მიზეზს შორის და არა დამნაშავის სუბიექტურ განწყობას.<sup>23</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის დისპოზიციური შინაარსი შეუწყნარებლობის მოტივზე აკეთებს აქცენტს. ამ ნიშნით აღნიშნული ნორმა „მტრობის“ მოდელის ანალოგია. თუმცა, მიუხედავად მოდელისა, მსხვერპლსა და თემზე ასახული ზიანი ერთმანეთისგან არ განსხვავდება. მიყენებული სტრესი და ტრავმა, ერთნაირად საშიში და დისპროპორციულად მტკივნეულია მსხვერპლისთვის.<sup>24</sup> მიუხედავად კონკრეტული მოდელისა, მნიშვნელოვანია, რომ არსებული ნორმა სამართალდამცავმა უწყებებმა ფართოდ განმარტონ და მისი დავინროება არ მოხდეს „სიძულვილის“, როგორც ძლიერი ემოციური გრძნობის გამოვლინებამდე.

შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის მარეგულირებელი ნორმის გამოყენებისას არსებითად მნიშვნელოვანია დადგინდეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედება მთლიანად ან ნაწილობრივ მოტივირებული იყო თუ არა პიროვნების კონკრეტული ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფთან კუთვნილების საფუძველზე შეუწყნარებლობით.<sup>25</sup> ამასთან, დამნაშავის სუბიექტური მოტივაციის დადგენის სირთულიდან გამომდინარე, შეუწყნარებლობის მოტივის მითითება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ გამოძიება აღმოაჩენს საკმარის ობიექტურ ფაქტებს, რომელიც გონივრულ და ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ დამნაშავის ქმედება, მთლიანად ან ნაწილობრივ, მოტივირებული იყო შეუწყნარებლობით. ამგვარი მოტივის შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის პროცესში და მის შემდეგ შესაძლო დამნაშავის ნება გაცხადდა გარე სამყაროში რაიმე ფორმით და ობიექტურად შეცნობადი გახდება სხვებისათვის – როგორც დამარალეულის, ისე გარშემომყოფე-

---

<sup>23</sup> იქვე, 48.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> ჯალალანია, ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების შესახებ, 2017, 48, იხ. <https://emc.org.ge/ka/products/operatsiuli-sakhelmdzghvanelo-dokument-i-seksualuri-orientatsiisa-da-genderuli-identobis-safudzvelze-chadenili-danashaulebis-gamodziebis-shesakheb>.

ბისათვის<sup>26</sup>.

აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგარაუდო დამნაშავეის მხრიდან შეუწყნარებლობის აშკარა დემონსტრაცია არ არის მოტივის იდენტიფიცირების ერთადერთი საშუალება. საქმეზე გამოძიებულმა უნდა მოაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები<sup>27</sup> პირის გამოკითხვის საშუალებით, მოიპოვოს ინფორმაცია მისი წარსული ქცევების შესახებ, როგორც შეიძლება იყოს რადიკალური, ულტრანაციონალისტური ჯგუფის წევრობა, სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის გავრცელება და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ მოტივი დანაშაულის შემადგენლობაში რთულად იდენტიფიცირებადი ნაწილია, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მისი გამოკვეთა პრაქტიკაში შეუძლებელია, ის მოითხოვს სამართალდამცავების მხრიდან ობიექტურ მიდგომას, ტექნიკურ ცოდნას და მაღალ მგრძობელობას საკითხის მიმართ, რაც ხშირად აკლიათ ცალკეულ გამოძიებლებსა თუ პროკურორებს.<sup>28</sup>

პრაქტიკაში უმცირესობათა ჯგუფების მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები აჩვენებს, რომ პოლიციელებს არ აქვთ სათანადო ცოდნა და ამავე დროს, სენსიტიურობა ადეკვატურად მოახდინონ საქმეში მოტივის გამოკვეთა და შესაძლო დამნაშავეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. მაგალითად, ქობულეთში ადგილობრივი მუსლიმი თემის მიმართ დევნის ფაქტები აჩვენებს, რომ დანაშაულის ადეკვატური გამოძიება სახელმწიფოსთვის გამონწვევას წარმოადგენს. ქობულეთში მუსლიმი თემის დევნის ფაქტები 2014 წლის 10 სექტემბერს გამოვლინდა, ადგილობრივი მოსახლეობა (რომელიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებს) მუქარის, იძულების გამოყენებით პანსიონატის შენობასთან გადაადგილების პროცესის კონტროლისა და პერმანენტული არამშვიდობიანი შეკრებების ორგანიზებით მუსლიმ თემს პანსიონატის გახსნის საშუალებას არ აძლევდა. კერძო პირების მხრიდან პანსიონატის საქმიანობის ხელშეშლა სხვადასხვა სა-

---

<sup>26</sup> იქვე

<sup>27</sup> იქვე, 52-57.

<sup>28</sup> დეკანოზიძე და სხვები, გენდერი და სამართალი-საქართველოს კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, 2016.

შუალელებით ხორციელდებოდა, მათ შორის<sup>29</sup>: პანსიონატის რემონტის პროცესისთვის ხელშეშლა, პანსიონატის შესასვლელის ბარიკადებით ჩახერგვა, პანსიონატის კარზე დაკლული ღორის თავის მიჭედება, მექარისა და იძულების გამოყენებით 15 სექტემბერს პანსიონატის გახსნისთვის ორგანიზებული ხელის შეშლა და მუსლიმების განდევნა, პანსიონატის შენობასთან და უშუალოდ შენობაში გადაადგილების მკაცრი კონტროლი და ამ მიზნით ადგილზე 24-საათიანი შეკრებების ორგანიზება.

მიუხედავად მუსლიმი თემის დევნისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფაქტებზე გამოძიება სსკ-ის 151-ე მუხლის (მექარის) საფუძველზე დაიწყო, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა ობიექტური და ეფექტური გამოძიების სტანდარტებს.<sup>30</sup>

ამასთან, 2013 წლის 17 მაისს - ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დღეს, მშვიდობიანი შეკრების უფლებით მოსარგებლეთა ძალადობრივი დარბევის ფაქტები არასათანადოდ და არაეფექტურად იქნა გამოძიებული. სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ 4 პირის წინააღმდეგ დაიწყო სსკ-ის 161-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფას გულისხმობს, მიუხედავად შეუწყნარებლობის მოტივის აშკარა ფაქტისა, სამართალდამცავ ორგანოებს არ გამოუკვეთავთ ჰომოფობიური სიძულვილის მოტივი, რისი გათვალისწინება არც სასამართლოს განუხორციელებია 2 წლიანი განხილვების არცერთ ეტაპზე.<sup>31</sup>

დანაშაულის მოტივის გამოკვეთის კრიტიკულ მნიშვნელობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ერთიანი მიდგომა აქვს. ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ საქმის გამოძიების ან სასჯელის დაკისრებისას დისკრიმინაციული მოტივის ყურადღების მიღმა დატოვება შეიძლება წარმოადგენდეს არაპირდაპირ დისკრიმინაციას. საქმეში *Angelova and Iliev v. Bulgaria* სასამართლომ მიუთითა, რომ „სახელმწიფოს აქვს ზოგადი ვალდებულება, კონვენციის მე-2 მუხლის

<sup>29</sup> <https://emc.org.ge/ka/products/kobuletshi-muslimi-mostsavleebis-pansionatis-sakmeze-emc-shemajamebel-gantskhadebas-avrtselebs>.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> <http://women.ge/ka/news/newsfeed/145/>.

ფარგლებში განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის უფლების დარღვევის საქმეებში, რომელიც უნდა წარიმართოს დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-14 მუხლი. ამასთანავე, ძალადობრივი ინციდენტის გამოძიებისას ხელისუფლებას აქვს დამატებითი ვალდებულება, მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა „გამოაშკარაოს ნებისმიერი [რასისტული] მოტივი და დაადგინოს, თუ რამდენად იყო შესაძლებელი, [ეთნიკურ] სიძულვილს ან ცრურწმენას ეთამაშა როლი აღნიშნულ მოვლენებში. [...] სახელმწიფოს მიერ რასობრივი მოტივით გამოწვეული ძალადობისა და სისასტიკისადმი იმგვარი მოპყრობა, როგორც მოეპყრობოდა [რასისტული] ელფერის არმქონე დანაშაულს, წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებათა განსაკუთრებით დამანგრეველი ქმედებების სპეციფიკურ ბუნებაზე თვალის დახუჭვას. ისეთი სიტუაციები, რომლებიც არსებითად განსხვავებულია, ხოლო სახელმწიფო განიცდის მარცხს მათ განსხვავებაში, შესაძლოა, შეიცავდეს კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ დაუსაბუთებელ მოპყრობას“<sup>32</sup>.

ამასთან, საქმეში *Identoba and Others v. Georgia* ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლების ვალდებულება, თავიდან აიცილოს კერძო პირების მიერ სიძულვილით მოტივირებული ძალადობა (ისევე, როგორც გამოიძიოს დისკრიმინაციულ მოტივსა და ძალადობის აქტს შორის შესაძლო კავშირი), შეიძლება მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ ასპექტში, მაგრამ ასევე შეიძლება, მიჩნეული იყოს მე-14 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებად – დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს მე-3 მუხლით დაცული ფუნდამენტური უფლება<sup>33</sup>. როგორც ევროპული სასამართლო აღნიშნავს, საქართველოს „ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით უნდა წარმოადგენდეს დამამძიმებელ გარემოებას დანაშაულისათვის. სასამართლო ასკვნის, რომ არსებითად მნიშვნელოვანი იყო გამოძიების წარმოება სწორედ ამ სპეციფიკურ კონტექსტში, რათა სახელმწიფოს მიეღო ყველა გონივრული ზომა იმ

---

<sup>32</sup> *Angelova and Iliev v. Bulgaria*, No. 55523/00, judgment of 26 July 2007, პარა.115. ასევე, *Nachova and other v. Bulgaria*, No. 43577/98, judgment of 6 July 2005, პარა. 160.

<sup>33</sup> *Identoba and Others v. Georgia* (Application no. 73235/12), 12 მაისი 2015, პარა. 63.

მიზნით, რომ გამოეაშკარავებინა სავარაუდო ჰომოფობიური მოტივების როლი აღნიშნულ ინციდენტებში<sup>34</sup>.

გადანწყვეტილებაში M.C. and A.C. v. Romania, რომელიც 2007 წელს ბუქარესტში გვიპრაიდის მსვლელობისას მომხდარ ძალადობას ეხებოდა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების განხილვისას მიუთითა: „იმისათვის, რომ გამოძიება „ეფექტიანად“ მიიჩნეოდეს, პრინციპულად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს შეეძლოს ფაქტების სრული სიმზუსტით დადგენა, დამნაშავე პირთა იდენტიფიკაცია და დასჯა. აღნიშნული წარმოადგენს არა ვალდებულებას მისაღწევი შედეგის მიმართ, არამედ იმ საშუალებების, რომელიც უნდა გამოიყენონ. სახელმწიფოს უნდა მიეღო ყველა გონივრული ზომა, რათა მოეპოვებინა და დაეცვა ყველა რელიგანტური მტკიცებულება. გამოძიებისას არსებული დეფიციტი, რომელმაც შეზღუდა ზიანის მიზღვებისა და პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა, წარმოადგენს აღნიშნული სტანდარტიდან გადახვევას და დროულობისა და გონივრულობის პრინციპის დარღვევას.<sup>35</sup>“ სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთათ სახელმწიფოს უნდა გამოეყენებინა ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ყველა საშუალება, რათა აღნიშნული ქმედება არ განეხილათ იმ დანაშაულების მსგავსად, რომელსაც ამგვარი მოტივი არ აქვს<sup>36</sup>.

ამასთან, ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან გამკლავება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის აქტორებს – პოლიციას, პროკურატურასა და სასამართლოს შორის ახლო კოოპერაციულ მუშაობას მოითხოვს, თუმცა არა მხოლოდ ოპერატიულ, არამედ პოლიტიკის დონეზე<sup>37</sup>, რაც გულისხმობს ამგვარი დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტური პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვასა და საზოგადოებრივი აზრის ცვლილებაზე მიმართულ პერმანენტულ ღონისძიებებს.

---

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> M.C. and A.C. v. Romania, 12.4.2016, პარა. 111.

<sup>36</sup> იქვე პარა. 114.

<sup>37</sup> OSCE Prosecuting hate crimes. A practical guide, 17-18, ob: <http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true>.

## დასკვნა

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის გახშირებამ, მათ შორის, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობამ<sup>38</sup>, ფემიციდმა<sup>39</sup>, ჰომოფობიურმა და ტრანსფობიურმა დანაშაულებმა,<sup>40</sup> რელიგიური ნიშნით<sup>41</sup> ჩადენილმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებმა, სახელმწიფო დააყენა მასთან ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავებისა და მისი პრაქტიკაში გატარების კრიტიკული საჭიროების წინაშე.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მიმართ სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს არაერთგვაროვანი და ფრაგმენტული მიდგომის გამო აღნიშნულ დანაშაულთა შესახებ ადეკვატური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი არ ხდება და შესაბამისად, შეუსწავლელია მისი გავრცელებადობა და წარმოშობის ფუნდამენტური ფაქტორები, რაც მასთან ბრძოლას არსებითად აფერხებს.

დისკრიმინაციული დანაშაულის უკეთ გასაგებად, ჩვენ მისი სოციალური ბუნების, გავრცელების, წარმომქმნელი იმ მიზეზების კვლევა გვჭირდება, რომელიც განაპირობებს საზოგადოებაში კონკრეტულ ნიშანს დაფუძნებული მტრობის წარმოშობასა და ნორმალიზებას. ამგვარ დანაშაულებთან ბრძოლაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როგორც მისი სამართლებრივი ბუნების და რეგულირების გზების შესწავლა, ისე მისი სოციალური გავლენების აღწერაც. აღნიშნულისთვის, მნიშვნელოვანია დისკრიმინაციული დანაშაული აღვიქვათ არა როგორც მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქცევის ფაქტორივ შედეგად, არამედ, როგორც საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის, უმცირესობათა ჩაგვრის და ძალაუფლებათა დისბალანსის ანარეკლად. შესაბამისად, ეფექტური პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვისათვის ჩვენი მიზანი უნდა იყოს

---

<sup>38</sup> დეკანოსიძე და სხვები, გენდერი და სამართალი-საქართველოს კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, 2016.

<sup>39</sup> დეკანოსიძე, ფემიციდის საქმეების განაჩენები, 2016.

<sup>40</sup> ჯალაღანია, ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2016.

<sup>41</sup> ბეგაძე და სხვები, რელიგიის თავისუფლება-სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა, 2016.

დანაშაულის ფართე შინაარსის ძიება, რომელიც ხშირად აკადემიურ სამართლებრივ სივრცეში საკანონმდებლო ნორმის ტექნიკურ შინაარსში იკარგება.

შესაბამისად, დისკრიმინაციული დანაშაულის გააზრებაში წვლილი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებამ კომპლექსური, ინტერდისციპლინარული, სოციალური მიდგომით უნდა შეიტანოს, რომელიც გამოავლენს საზოგადოების ორგანიზების, სტრუქტურის, დომინაციის და ძალაუფლების საკითხებს და რომელიც დაგვეხმარება დანაშაულის ჩადენის, მისი მოტივისა და შესაძლო სასჯელის უკეთესი მისადაგების შესაძლებლობები დავსახოთ მასთან ბრძოლის ეფექტურად სანარმოებლად.

**საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართალში  
ადაშიანის ძირითადი უფლებებისა და გერმანულ  
კონსტიტუციურსამართლებრივ ზრისში**

პროფ. დოქტ. **არმინ ენგლენდერი**, მიუნხენის უნივერსიტეტი

## **I. შესავალი**

გერმანული სისხლისსამართლებრივი პრაქტიკა უკვე წარმოდგენელია საპროცესო შეთანხმების არსებობის გარეშე. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპლექსურ ეკონომიკურ დანაშაულებთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოებისთვის. თუმცა, საპროცესო შეთანხმებების რაოდენობა სხვა სფეროებშიც, განსაკუთრებით კი ნარკოტიკული და სექსუალური ხასიათის დანაშაულებთან მიმართებითაც, მუდმივად იზრდება. საპროცესო შეთანხმებაში, როგორც წესი, მოიაზრება განსასჯელის მზაობა, სამართალწარმოების ხანგრძლივობის შემამცირებელი აღიარებითი ჩვენების მიცემაზე, რის სანაცვლოდაც მას შედარებით ბევრად უფრო მსუბუქი სასჯელი ეკისრება. დაკვირვებები აჩვენებს, რომ სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების მინიმუმ 20-25% საპროცესო შეთანხმების ამა თუ იმ ფორმას ეფუძნება<sup>1</sup> და რეალურად უფრო მაღალი მაჩვენებლის არსებობაც არ გამოირიცხება<sup>2</sup>.

საპროცესო შეთანხმების დასაშვებობასთან დაკავშირებით, ყოველთვის ცხარე კამათი არსებობდა. აღნიშნული უფრო მეტად იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ დიდი ხნის განმავლობაში საპროცესო შეთანხმებებს კანონი არ არეგულირებდა და თავდაპირველად მათი პრაქტიკაში გამოყენება დაფარულად, თუმცა, შემდგომში უკვე ღიადაც ხორციელდებოდა<sup>3</sup>. გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ 1997<sup>4</sup> და

---

<sup>1</sup> Schünemann, NJW 1989, 1885, 1886.

<sup>2</sup> Dahs, NSTZ 1988, 153; Hettinger, JZ 2011, 292; Schöch, Urteilsabsprachen in der Strafrechtspraxis, 2007, S. 238; Schünemann/Hauer, AnwBl 2006, 439.

<sup>3</sup> საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული პრაქტიკის წარმოშობის თაობაზე შეად. Hamm, FS für Dahs, 2005, S. 267 ff.; Schünemann, FS für Heldrich, 2005, S. 1177 ff.

<sup>4</sup> BGHSt 43, 195.

2005<sup>5</sup> წლის გადაწყვეტილებებით დაადასტურა საპროცესო შეთანხმებების პრინციპული დასაშვებობა. 2009 წელს კი გერმანელმა კანონმდებელმა აღნიშნულ სფეროში სამართლებრივი სტაბილურობის შესაქმნელად სათანადო საკანონმდებლო საფუძველი შექმნა<sup>6</sup>. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ (BVerfG) 2013 წელს „იმ დროისათვის კონსტიტუციის შესაბამისად“ მიიჩნია<sup>7</sup>. თავის მხრივ, საპროცესო შეთანხმებები, როგორც ასეთი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც (EGMR) ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისად აღიარა<sup>8</sup>.

წინამდებარე ნაშრომში მოკლედ იქნება წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით გერმანულ სისხლის სამართალში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, რის შემდგომაც მიმოვიხილავთ საპროცესო შეთანხმების თაობაზე არსებულ ძირითად მოსაზრებებს და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამასთან, ნაშრომს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთანაც ექნება მცირე შეხება. დროში არსებული შეზღუდვის გამო, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული მხოლოდ ცალკეული საკითხებისა და პრობლემების განხილვაა შესაძლებელი.

## II. საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო მონესრიგება

საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო მონესრიგების სწორად გაგებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია გერმანულ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით მცირე განმარტებების გაკეთება. განსხვავებით, მაგ. აშშ-ისგან, გერმანიაში სისხლის სამართლის პროცესი არ ეფუძნება მხოლოდ მხარეთა შეჯიბრებითობას, რომლის დროსაც სასამართლო მხოლოდ მხარეების – განსასჯელისა და დაცვის მხარის – მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ეყრდნობა. გერმანული სისხლის

---

<sup>5</sup> BGHSt 50, 40.

<sup>6</sup> „სისხლის სამართალწარმოებაში საპროცესო შეთანხმების რეგულირების შესახებ“ კანონი v. 29.7.2009, BGBl I S. 2353.

<sup>7</sup> BVerfGE 133, 168.

<sup>8</sup> EGMR NJW 2015, 1745.

სამართალწარმოება ინკვიზიციური ხასიათისაა. სასამართლო საქმის განხილვის მთავარ სხდომაზე მტკიცებულებების თაობაზე დაყენებული შუამდგომლობებისგან დამოუკიდებლად, სიმართლის დადგენის მიზნით, ასევე ვალდებულია მოკვლევა თავად აწარმოოს<sup>9</sup>. იგი ვალდებულია მის ხელში არსებული მტკიცებულებების დახმარებით, კერძოდ, მონშეების, ექსპერტების, დოკუმენტების, დანაშაულის ადგილის ან/და ნივთმტკიცებების დათვალიერების, განსასჯელის განცხადებების<sup>10</sup> გამოყენებით, გამოიკვლიოს და დაადგინოს, რეალურად თუ როგორ განხორციელდა ესა თუ ის ქმედება. მოსამართლე საქმის არსებითი განხილვისას არ გვევლინება უბრალო არბიტრად, რომელიც მხოლოდ საპროცესო წესების დაცვას უზრუნველყოფს. იგი სიმართლის დადგენის პროცესში მთავარ როლს ასრულებს.

კანონმდებელმა სცადა აღნიშნულ ინკვიზიციურ პროცესში საპროცესო შეთანხმებების ინტეგრირება. მან ასევე უარი თქვა საპროცესო შეთანხმების დამოუკიდებელი საპროცესო სამართალწარმოების სახით (რომელშიც ინკვიზიციურობის პრინციპი არ იმოქმედებდა) ჩამოყალიბებაზე<sup>11</sup>. კანონის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კანონმდებელი მიზნად ისახავს „საპროცესო შეთანხმების იმგვარად რეგულირებას, რომ იგი წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს გერმანული სისხლის სამართალწარმოების ტრადიციულ პრინციპებთან<sup>12</sup>.“ ცენტრალურ საკანონმდებლო ნორმას

---

<sup>9</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად იხ.

Volk/Engländer, Grundkurs Strafprozessrecht, 9. Aufl. 2018, § 18 Rn. 15, § 24 Rn. 1 ff.

<sup>10</sup> მართალია ბრალდებულის საპასუხო პოზიცია ბრალდების მიმართ საპროცესო სამართლებრივი გაგებით არ წარმოადგენს მტკიცებულებას, თუმცა, ვინაიდან ის წინა პლანზე სწორედ მტკიცების მიზნით იწვევს, შესაძლოა მას, ფართო გაგებით, მაინც ვუწოდოთ მტკიცებულების საშუალება.

<sup>11</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ფედერალურ ადვოკატთა პალატის სისხლის სამართლის კომიტეტის კანონპროექტი, შეად. ZRP 2005, 235 ff.; საწინააღმდეგო პოზიციას იზიარებს გერმანულ ადვოკატთა გაერთიანების სისხლის სამართლის კომიტეტი შეად. StraFo 2006, 89 ff.; სისხლის სამართალწარმოებაში კონსენსუსის იდეასთან დაკავშირებული დისკუსიისათვის იხ. Duttge, ZStW 115 (2003), 539 ff.; Hassemer, FS für Hamm, 2008, S. 171 ff.; Jahn, ZStW 118 (2006), S. 427 ff.; Salditt, ZStW 115 (2003), S. 570 ff.; Weßlau, Das Konsensprinzip im Strafverfahren, 2002; dies., StraFo 2007, 1 ff. jeweils m.w.N.

<sup>12</sup> BT-Drucks. 16/12310 S. 8.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის §257c წარმოადგენს<sup>13</sup>. აღნიშნულის გარდა, კანონი სხვა მონაკვეთებშიც ითვალისწინებს მნიშვნელოვან ნორმებს<sup>14</sup>. მთლიანობაში საპროცესო შეთანხმება დეტალური რეგულირების სისტემას ექვემდებარება. მოკლედ რომ მიმოვიხილოთ:

– სავალდებულოა, რომ საპროცესო შეთანხმება საქმის ზეპირი სასა-

---

<sup>13</sup> ნორმა შემდეგნაირად ვლერს:

(1) სასამართლოს შეუძლია სათანადო შემთხვევების არსებობისას, მოცემულ აბზაცებზე დაყრდნობით, საქმის წარმოების მონაწილეებთან გააფორმოს საპროცესო შეთანხმება საქმის წარმოების შემდგომი ვაგრძელებასა და მისი შედეგების შესახებ. §244 მეორე აბზაცი კვლავ მოქმედებს.

(2) აღნიშნული საპროცესო შეთანხმების საგნად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მხოლოდ ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მასში შემავალი განჩინებების შინაარს შესაძლოა წარმოადგენდნენ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესთან დაკავშირებული სხვა საპროცესო ღონისძიებები და ასევე საქმის წარმოების მონაწილეების საპროცესო ქცევა. ბრალის აღიარება ყოველი საპროცესო შეთანხმების შემადგენელი ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ბრალეულობის ხარისხი, უსაფრთხოებისა და გამასწორებელი ღონისძიებები არ შეიძლება საპროცესო შეთანხმების საგანი იყოს.

(3) სასამართლო აცხადებს თუ რა შინაარსი შესაძლოა ჰქონდეს საპროცესო შეთანხმებას. ამასთან, საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების თავისუფალი შეფასებისა და სასჯელის ზომის ზოგადი აწონ-დანონვის საფუძველზე, შესაძლებელია სასჯელის ქვედა და ზედა ზღვარზე მითითების გაკეთება. საქმის წარმოების მონაწილეებს ეძლევათ თავიანთი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა. საპროცესო შეთანხმება ძალაში შედის, როდესაც განსასჯელი და პროკურატურა სასამართლოს შეთავაზებას თანხმდებიან.

(4) სასამართლოს საპროცესო შეთანხმებით ბოჭვა სრულდება, როდესაც ყურადღების მიღმა დარჩენილი ან ახლად წარმოიქმნება სამართლებრივად ან ფაქტობრივად მნიშვნელოვანი გარემოებები, რის გამოც სასამართლო რწმუნდება, რომ გათვალისწინებული სასჯელის ფარგლები აღარ არის ჩადენილი დანაშაულის ან ბრალის შესაბამისი. იგივე მოქმედებს, როდესაც განსასჯელის შემდგომი საპროცესო ქცევა არ შესაბამება იმ ქცევას, რომელიც საფუძვლად დაედო სასამართლოს პროგნოზს. ამგვარ შემთხვევებში დაუშვებელია განსასჯელის აღიარების გამოყენება. სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს შეტყობინება საპროცესო შეთანხმებიდან გადახვევის თაობაზე.

(5) განსასჯელს უნდა განემარტოს სასამართლოს მხრიდან მეოთხე აბზაციით გათვალისწინებული გადახვევის წინაპირობები და შედეგები.

<sup>14</sup> შეად. §§ 35a S. 3, 160b, 202a, 212, 243 Abs. 4, 257b, 267 Abs. 3 S. 5, 273 Abs. 1a, 302 Abs. 1 S. 2 StPO.

მართლო განხილვის მთავარ სხდომაზე იქნას დადებული. რა თქმა უნდა, მისი მომზადება შესაძლოა განხორციელდეს საქმის სასამართლოს მთავარი სხდომის ფარგლებს გარეთ (შეად. გერმანიის სსსკ-ის §§202a, 212, 257b).

- საპროცესო სამართალწარმოებაში მონაწილე ყველა მხარე – განსასჯელი, პროკურატურა, დამცველი, თანაბრალმდებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამაში იგულისხმება დამარალებული, რომელიც გერმანულ პროცესში მხარეს წარმოადგენს. რედ. შენიშვნა.) – ჩართული უნდა იყოს განხილვის პროცესში (გერმანიის სსსკ-ის §257c, პირველი აბზაცის პირველი წინადადება, ასევე ამავე მუხლის მესამე აბზაცის მესამე წინადადება)<sup>15</sup>.
- განსასჯელი და პროკურატურა ერთმნიშვნელოვნად უნდა დათანხმდნენ საპროცესო შეთანხმებას (გერმანიის სსსკ-ის §257c მესამე აბზაცის მეოთხე წინადადება)<sup>16</sup>. ამასთან, განსასჯელმა თავისუფლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. არ შეიძლება მან თანხმობა იძულების შედეგად, მაგ. საპროცესო შეთანხმებაზე მისი უარის შემთხვევაში გაუმართლებლად დიდი სასჯელის დაკისრების მუქარის საფუძველზე, განაცხადოს. ამ დროს არ არის აუცილებელი დამცველის ან თანაბრალმდებლის თანხმობა.
- საპროცესო შეთანხმების საგნად გამოირიცხება გამამტყუნებელი განაჩენის შინაარსი, მაშასადამე, შემთხვევის სამართლებრივი შეფასება (გერმანიის სსსკ-ის §257c მეორე აბზაცის მესამე წინადადება). შესაბამისად, განსასჯელის მიერ აღიარებითი ჩვენების მიცემისას დაუშვებელი იქნებოდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც განსასჯელს მსჯავრი დაედებოდა მხოლოდ დამამძიმებელი გარემოებების გარეშე მკვლელობის ჩადენაში და არა დამამძიმებელ ვითარებაში ჩადენილ მკვლელობაში, როცა რეალურად ამ უკანას-

---

<sup>15</sup> თუმცა, არც განსასჯელს და არც მის დამცველს არ აქვთ დასწრების უფლება, თუკი თანაგანსასჯელთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა განიხილება; შეად. BGH StV 2014, 513.

<sup>16</sup> მხოლოდ კონკლუდენტური თანხმობა არ არის საკმარისი, შეად. BGH NStZ-RR 2017, 87.

კნელის წინაპირობებია სახეზე<sup>17</sup>.

- დაუშვებელია საპროცესო შეთანხმება კონკრეტულ სასჯელზე (ე.წ. „პუნქტორივი სასჯელი“)<sup>18</sup>. მაშასადამე, სასამართლოს არ აქვს ზუსტ სასჯელზე მითითების უფლება. მხოლოდ სასჯელის ქვედა და ზედა ზღვარის პერსპექტივის განხილვაა დასაშვები (გერმანიის სსსკ-ის §257c მესამე აბზაცის მეორე წინადადება), მაგ. სამიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთის<sup>19</sup>. ამასთან, დაკისრებული სასჯელი ბრალთან შესაბამისობაში უნდა იყოს.
- საპროცესო შეთანხმების შემადგენელ ნაწილს „უნდა“ წარმოადგენდეს ბრალის აღიარება (გერმანიის სსსკ-ის §257c მეორე აბზაცის მეორე წინადადება). აღნიშნულის არსებობა სასურველია და პრაქტიკაში, როგორც წესი, მოითხოვება ხოლმე, თუმცა სავალდებულო არ არის.
- ინკვიზიციურობის პრინციპი, მაშასადამე, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენილების ვალდებულება, ხელშეუხებელი რჩება (გერმანიის სსსკ-ის §257c პირველი აბზაცის მეორე წინადადება). სიმართლის დადგენის ხარჯზე დაუშვებელია საპროცესო სამართლწარმოების ნებისმიერი სახით შემოკლება. შესაბამისად, უშინაარსო, ფორმალური აღიარება (მაგ. უბრალო განცხადება, რომ ბრალდების მიმართ „პრეტენზია არ არსებობს“) არ წარმოადგენს საკმარის სა-

---

<sup>17</sup> აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება თუ არა სასჯელის ფარგლების შეცვლის შესაძლებლობაზე განსაკუთრებით მძიმე ან ნაკლებად მძიმე შემთხვევებისას, სადაგოა; დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურის მსგავსებაზე დაყრდნობით ამ მოსაზრების სასარგებლოდ იხ. BVerfGE 133, 168, 210 f.; საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. BGH NStZ 2017, 363, 365.

<sup>18</sup> BGH NStZ 2011, 231.

<sup>19</sup> სადაგოა თუ რამდენად საკმარისია სასამართლოს მხრიდან მხოლოდ ზედა ზღვარის დასახელება. გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნული სრულიად სამართლიანად უარყო კანონში მოცემულ სიტყვებზე („სასჯელის ზედა და ქვედა ზღვარი“ მესამე აბზაცის მეორე წინადადებაში და ასევე „სასჯელის დაპირებული ფარგლები“ მეოთხე აბზაცის პირველი წინადადება) და კანონის დასაბუთებაზე მითითებით, შეად. BGH NStZ 2011, 648. ყოველი შემთხვევისათვის ქვედა ზღვრის არარსებობა, როგორც წესი, განსასჯელს არ შეუძლია გაასაჩივროს, რადგან პრეტენზია გასაჩივრებაზე დაუსაბუთებელი იქნებოდა (სხვაგვარადაა საქმე, იმ შემთხვევაში, როდესაც განსასჯელი ქვედა ზღვრის მითითებისას საპროცესო შეთანხმებას არ დათანხმდებოდა; BGH StV 2010, 75).

ფუძველს გადაწყვეტილების მისაღებად.

- არსებობს ყოვლისმომცველი გამჭვირვალობისა და დოკუმენტირების ვალდებულებები. კერძოდ, მთავარ სასამართლო განხილვაზე უნდა გაცხადდეს, აღნიშნული სხდომის გარდა მიმდინარეობდა თუ არა მოსამზადებელი მოლაპარაკებები საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე (გერმანიის სსსკ-ის §243 მეოთხე აბზაცის პირველი წინადადება)<sup>20</sup>. ამასთან, არსებობს სასამართლო სხდომის ოქმში საპროცესო შეთანხმების მიმდინარეობისა და მისი შინაარსის ასახვის ვალდებულება (გერმანიის სსსკ-ის §273 პირველი „ა“ აბზაცის პირველი წინადადება)<sup>21</sup>.
- სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას გასაჩივრების ვადის გასვლამდე მიიჩნევს უკვე ძალაში შესულად, დაუშვებელია (გერმანიის სსსკ-ის §302 პირველი აბზაცის მეორე წინადადება). აქედან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმებით აღნიშნულის გათვალისწინებაც დაუშვებელია. ამასთან, განსასჯელს განაჩენის გამოცხადებისას ნათლად უნდა განემარტოს, რომ საპროცესო შეთანხმების მიუხედავად, მას რჩება სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა (გერმანიის სსსკ-ის §35a მესამე წინადადება). უფრო მეტიც, უარის თქმის შესახებ განცხადება, რომელიც, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პირდაპირ თან სდევს განაჩენის გამოცხადებას, ბათილია. აღნიშნულს საფუძვლად უდევს იდეა, რომ სამართლებრივსახელმწიფოებრივი საქმის წარმოების ინტერესშია საპროცესო შეთანხმებების საკასაციო შემოწმების შესაძლებლობის ზედმეტად სწრაფად არგამორიცხვა. ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, აღნიშნული რეგულაცია, რა თქმა უნდა, არ არის

---

<sup>20</sup> მთავარ სასამართლო სხდომაზე უნდა მოხდეს ასევე იმის გაცხადება, რომ საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები არ ყოფილა – ე.წ. ნეგატიური შეტყობინების ვალდებულება; BVerfG NStZ 2014, 592.

<sup>21</sup> თუ არ მოხდა საპროცესო შეთანხმების დადება, აღნიშნული ფაქტიც უნდა აისახოს ოქმში – ე.წ. ნეგატიური ტესტი (გერმანიის სსსკ-ის §273 პირველი „ა“ აბზაცის მესამე წინადადება). თუკი ოქმი დუმს აღნიშნულის შესახებ და არ შეიცავს მონაცემებს არც საპროცესო შეთანხმების დადების და არც მისი არდადების შესახებ, წინააღმდეგობრივია, მაშინ ის ხარვეზიანია და შესაბამისად, კარგავს მტკიცებულების ძალას.

სავალდებულო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო შეთანხმების ფარგლებში გასაჩივრების უფლებაზე უარის თქმა არ წარმოადგენს გასაჩივრების უფლების თვითნებურ შეზღუდვას და შესაბამისად, არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მეორე და მეშვიდე მუხლებს<sup>22</sup>.

- როგორც წესი, საპროცესო შეთანხმებით შებოჭილია საქმის განმხილველი სასამართლო (და არა პროკურატურა<sup>23</sup> ან განსასჯელი – გერმანიის სსსკ-ის §257c მეოთხე აბზაცის პირველი წინადადებაში მოცემული აზრის შებრუნების საფუძველზე გაკეთებული დასკვნა). გამონაკლისის სახით, სამართლებრივი ბოჭვა ძალას კარგავს, როდესაც სამართლებრივად ან ფაქტობრივად მნიშვნელოვანი გარემოებები ყურადღების მიღმა დარჩა ან ხელახლა წარმოიშვა და აქედან გამომდინარე, უკვე გათვალისწინებული სასჯელის ფარგლები აღარ არის დანაშაულისა და ბრალის თანაზომიერი (გერმანიის სსსკ-ის §257c მეოთხე აბზაცის პირველი წინადადება)<sup>24</sup>. მაგალითის სახით თუ განვიხილავთ, აღნიშნული შესაძლოა სახეზე იყოს იმ გარემოებების წარმოშობისას, რომელთა საფუძველზეც ქმედება არა მსუბუქ სამართალდარღვევას, არამედ უფრო მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. სასამართლომ მის მიერ საპროცესო შეთანხმებიდან გადახვევის შემთხვევაში, აუცილებელია დაუყოვნებლივ განახორციელოს გადახვევის შესახებ შეტყობინება (გერმანიის სსსკ-ის §257c მეოთხე აბზაცის მეორე წინადადება). გარდა ამისა, ამგვარ შემთხვევაში უკვე დაუშვებელია განსასჯელის აღიარების გამოყენება (გერმანიის სსსკ-ის §257c მეოთხე აბზაცის მესამე წინადადება)<sup>25</sup>.

<sup>22</sup> EGMR NJW 2015, 1745.

<sup>23</sup> საპროცესო შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, პროკურატურის მხრიდან თანხმობის უკან წაღება სასამართლოსადმი შეთანხმების მბოჭავ მოქმედებას, რა თქმა უნდა, არ აუქმებს; შეად. BGH NSiZ 2017, 373.

<sup>24</sup> იქიდან გამომდინარე, რომ კანონი საპროცესო შეთანხმების მოქმედების გაუქმებას ითვალისწინებს არამხოლოდ ახალ, არამედ ყურადღების მიღმა დარჩენილ (გამორჩენილ) გარემოებებზე დაყრდნობით, განსასჯელის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს სასამართლოს შეცდომაში შეყვანის გამო; აღნიშნულთან დაკავშირებით სამართლიანი კრიტიკა იხ. Murmann, ZIS 2009, 526, 538.

<sup>25</sup> გაბატონებული შეხედულების თანახმად, ხსენებულ გამოყენების აკრძალ-

განსასჯელს უნდა განემართოს სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმებიდან გადახვევის წინაპირობები და შედეგები (გერმანიის სსსკ-ის §257c მეხუთე აბზაცი)<sup>26</sup>. დროული განმარტების არარსებობის შემთხვევაში, სახეზეა გასაჩივრების საფუძველი გერმანიის სსსკ-ის §337 მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსასჯელი აღიარებით ჩვენებას სწორი განმარტების მიღების შემთხვევაშიც მისცემდა<sup>27</sup>.

### III. საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით არსებული ძირითადი მოსაზრებები

როგორც ეს დასაწყისში უკვე აღინიშნა, საპროცესო შეთანხმებები გერმანიაში არსებულ სამართლებრივ-პოლიტიკურ დისკუსიებში მაინც კამათის საგნად რჩება. მარტივად თუ განვმარტავთ, ერთმანეთისაგან შესაძლოა განვასხვავოთ სამი სახის მიდგომა, კერძოდ: (1) კრიტიკული, (2) პრაგმატული და (3) ეიფორიული.

(1) თავდაპირველად განვიხილოთ კრიტიკული მოსაზრება, რომელიც პრინციპულად უარყოფს საპროცესო შეთანხმებებს. აღნიშნული მიდგომის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ საპროცესო შეთანხმებები საფრთხეს უქმნის და აზიანებს გერმანული სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს<sup>28</sup>. კერძოდ:

---

ვას ფართო მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს. კერძოდ, აღიარების მეშვეობით ან მის საფუძველზე არააპირდაპირ მოპოვებული მტკიცებულებები გამოყენებადია; თუკი შესაძლებელია განსასჯელის სხვა მტკიცებულებებით განსჯა, ბრალის აღიარება მაინც მის სასარგებლოდ, სასჯელის შესამსუბუქებლად მიიღება მხედველობაში; შუად. BGHSt 42, 191, 194.

<sup>26</sup> აღნიშნული უნდა მოხდეს განსასჯელის მიერ აღიარების გაკეთების შესახებ თანხმობის გაცემამდე. ინფორმირება თანხმობის გაცემის შემდეგ, უშუალოდ აღიარების მიცემის წინ, საკმარისი არ არის; შუად. BVerfG NJW 2014, 3506.

<sup>27</sup> BVerfGE 133, 168, 237 f.; BVerfG NJW 2014, 3506; აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა გერმანიის უმენაესი ფედერალური სასამართლოს მიერაც იქნა მიღებული, იხ. BGH NStZ 2013, 728 und 2015, 358.

<sup>28</sup> კრიტიკის მოკლე შეჯამება იხ. Beulke, Strafprozessrecht, 13. Aufl. 2016, Rn. 394a; Roxin/Schünemann, Strafverfahrensrecht, 29. Aufl. 2017, § 17 Rn. 19 ff.; Stübinger, Das „idealisierte“ Strafrecht, 2008, S. 559 f.; იხ. ასევე Eschelbach, HRRS 2008, 190; Fischer, NStZ 2007, 433; Hettinger, JZ 2011, 292; Rönnau, Die Absprache im Strafprozeß, 1990, S. 73 ff.

- სასამართლო, ხშირ შემთხვევაში, კმაყოფილდება მსჯავრდებულის აღიარებით და უარს აცხადებს საქმის სრულად შესწავლაზე. მისი რწმენა განისაზღვრება აქტებზე და საბრალდებო დასკვნაზე დაყრდნობით და არა დადგენილი წესისამებრ ჩატარებული მტკიცებულების შეგროვების საფუძველზე.
- არსებობს ეჭვები აღნიშნული ფორმის სამართალწარმოებისას უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვასთან დაკავშირებით. *in dubio pro reo* პრინციპის საპირისპიროდ, სავარაუდო ეჭვები შესაძლოა გამოყენებულ იქნას განსასჯელის საწინააღმდეგოდ.
- მართალია საპროცესო შეთანხმება ფორმალურად სასამართლო სხდომაზე იდება, თუმცა, გადამწყვეტი შეთანხმებების დადება წინასწარი არაფორმალური მოლაპარაკებებისას, სხდომის დარბაზის გარეთ ხდება. საპროცესო შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებულ ამ მოლაპარაკებებში, ხშირად, მონაწილეობას არ იღებს პროცესში მონაწილე ყველა პირი. განსასჯელიც კი, ხშირ შემთხვევაში, არ ესწრება აღნიშნულ მოლაპარაკებებს და მას მხოლოდ მისი დამცველისგან მიეწოდება მოგვიანებით ინფორმაცია.
- გარდა ამისა, განსასჯელი ზეწოლის ქვეშაა, მისცეს აღიარებითი, მათ შორის ცრუ ჩვენებაც კი.
- მთლიანობაში არსებობს საფრთხე, რომ სასამართლო განსასჯელს მცირე, მაშასადამე, ბრალთან შეუსაბამო სასჯელს დააკისრებს და აღნიშნულით ბრალეულობის პრინციპი დაირღვევა.

(2) პრაგმატული მიდგომა აღნიშნულს სხვაგვარად ხედავს. იგი საპროცესო შეთანხმებებს არათუ უარყოფს, არამედ აღფრთოვანებით მიესალმება. დღეისათვის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი საპროცესო შეთანხმებებს, მართლმსაჯულების ეკონომიურობის თვალსაზრისით, აუცილებლად მიიჩნევს<sup>29</sup>. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება რესურსების სიმწირის და საქმის წარმოების აურაცხელი რაოდენ-

---

<sup>29</sup> მაგალითის სახით იხ. Beulke, Strafprozessrecht, 13. Aufl. 2016, Rn. 394; Hanack, StV 1987, 500, 502; Kühne, in: Löwe/Rosenberg, StPO, 27. Aufl. 2016, Einl. Abschn. B Rn. 40; Nestler-Tremel, DRiZ 1988, 288, 290; Am-bos/Ziehn, in: Radtke/Hohmann (Hrsg.), StPO, 2011, § 257c Rn. 2; Widmaier, StV 1986, 357.

ნობის გათვალისწინებით, საპროცესო შეთანხმების ინსტრუმენტის გამოყენების გარეშე, საკუთარ ფუნქციას ვედარ შეასრულებს<sup>30</sup>. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი, კომპლექსური ეკონომიკური ხასიათის სისხლის სამართალწარმოებისას. ამიტომ, საპროცესო შეთანხმებების გამოყენების პრაქტიკის აკრძალვის მცდელობა, არაგონივრულია. აღნიშნული საბოლოოდ მხოლოდ იქამდე მიგვიყვანდა, რომ საპროცესო შეთანხმებები, როგორც ეს თავდაპირველად ხდებოდა ხოლმე, ჩუმად, საზოგადოებისაგან დაფარულად დაიდებოდა. ამიტომ უმჯობესია საპროცესო შეთანხმებები ღიად და გამჭვირვალედ იდებოდეს და დეტალურ სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარებოდეს. აღნიშნული წარმოადგენს იმ პერსპექტივას, რომელიც საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონსაც კი უდევს საფუძვლად. იგი ასევე შესაბამისობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციასთან. სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო შეთანხმებები სისხლის სამართალწარმოებაში ხელს უწყობს პროცესის დაჩქარებას და იძლევა პროკურატურის, სასამართლოებისა და დამცველების განტვირთვის შესაძლებლობას. თუკი საპროცესო შეთანხმების სათანადო გამოყენება მოხდება, ის გახდება ეფექტური მექანიზმი, განსაკუთრებით კი კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით.

(3) რაც შეეხება ეიფორიულ მიდგომას, მისთვის პროცესის ეკონომიურობა მხოლოდ ნაკლებად მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. აღნიშნულის ნაცვლად, ეიფორიულ მოსაზრებას სურს საპროცესო შეთანხმებების, შედარებით უფრო ფართო კონტექსტში განხილვა. კერძოდ, კონტექსტში, რომელსაც „მართლსაჯულების დემოკრატიზაცია“ შესაძლოა ვუწოდოთ. ამ მიდგომის მიხედვით, საპროცესო შეთანხმებებს შეუძლიათ მაღალი იერარქიების შეზღუდვა. განსასჯელი და მისი დამცველი სასამართლოსა და პროკურატურას თანაბარ სიმაღლეზე უპირისპირდებიან. გადაწყვეტილებები ყველა მხარის თანხმობით მიიღება. აღნიშნული წარმოადგენს საპროცესო სამართლის თანამედროვე გაგების გამოხატულებას<sup>31</sup>. ინკვიზიციურობის პრინციპთან დამშვიდობებას უნდა მივესალმოთ, მასზე ჩივილის სანაცვლოდ. სიმართლეს წარმოადგენს

<sup>30</sup> აღნიშნულ არგუმენტთან დაკავშირებით იხ. BGHSt 50, 40, 53 f.

<sup>31</sup> Lüderssen, FS für Fezer, 2008, S. 531; Jahn, GA 2004, 272; Theile, NSTZ 2012, 666.

არა ის, რაც ობიექტურად დადგენადია, არამედ ის, რაზეც მოლაპრაკება ხდება.

საპროცესო შეთანხმებების ეს იდეალისტური სურათი, რაც ეიფორიულ მოსაზრებას ახასიათებს, რა თქმა უნდა, შორს დგას რეალობისაგან<sup>32</sup>. აღნიშნულს ადასტურებს კვლევა, რომელიც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დავალებით საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონის კონსტიტუციურობის განხილვასთან დაკავშირებით შედგა<sup>33</sup>. კვლევამ აჩვენა, რომ ყოველი შემთხვევისთვის 2013 წლამდე, მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, საკანონმდებლო ნორმები პრაქტიკაში მნიშვნელოვანი მოცულობით გამოუყენებელი რჩებოდა. მოსამართლეთა თითქმის ნახევარზე მეტი უპირატესობას ანიჭებდა არაფორმალურ და ამით არალეგალურ „გარიგებას“. ამასთან, პროცესის მონაწილეები ხშირად გერმანიის სსსკ-ის §257c-ის საწინააღმდეგოდ, შეთანხმებას ახორციელებდნენ გამამტყუნებელ განაჩენთან ან სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც დაუშვებელია. საქმეების მინიმუმ 1/4-ის შემთხვევაში, ბრალდებულის აღიარება, საუკეთესო შემთხვევაში, ნაწილობრივ იყო გადამონმებული. კონტროლის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ხშირად მტკიცებულებითი თვალსაზრისით ძალიან პრობლემური აქტების შედარებით შემოიფარგლებოდა. გამოკითხულ ადვოკატთა 50%-ზე მეტი უთითებდა მათი დაცვის ქვეშ მყოფების მხრიდან გაკეთებულ, სავარაუდოდ, მცდარ აღიარებებზეც. გასაჩივრებაზე უარის თქმის აკრძალვასაც არ ექცეოდა ყურადღება. თითქმის ყველა შემთხვევაში პროცესის მონაწილეები უკანონობას უმეტესწილად ვერ აღიქვამდნენ.

#### **IV. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება**

როგორც ეს უკვე ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2013 წელს თავის პრეცედენტულ

---

<sup>32</sup> დეტალური კრიტიკა ob. Engländer, in: Kempf u.a. (Hrsg.), Gemeinwohl im Wirtschaftsstrafrecht, 2013, S. 303, 310 ff.

<sup>33</sup> Altenhain/Dietmeier/May, Die Praxis der Absprachen in Strafverfahren, 2013.

გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „საპროცესო შეთანხმების შესახებ“ კანონი მინიმუმ „იმ დროისათვის“ არ იყო არაკონსტიტუციური. ამასთან, სასამართლო ერთმანეთისაგან მკვეთრად ასხვავებს საკანონმდებლო რეგულაციას, რომელსაც იგი კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნევს და პრაქტიკას, რომელმაც კანონის მნიშვნელოვანი ნაწილები ყურადღების მიღმა დატოვა. საკონსტიტუციო სასამართლო ამ შემთხვევაში საუბრობს აღსრულების მნიშვნელოვან დეფიციტზე. სასამართლოს განმარტების მიხედვით, აღნიშნული დეფიციტი საკანონმდებლო რეგულირების კონცეფციის სტრუქტურულ ხარვეზებში არ მდგომარეობს<sup>34</sup>. უფრო დანვრით რომ განვმარტოთ:

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ბრალეულობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ეფუძნება, წინა პლანზე წევს ობიექტური სინამდვილის გამორკვევის ვალდებულებას, მაშასადამე იმის შესწავლისა და გამოძიების ვალდებულებას, თუ რეალურად რა მოხდა<sup>35</sup>. აღნიშნული ნიშნავს შემდეგს: საპროცესო შეთანხმებები კონსტიტუციურსამართლებრივი გაგებით მხოლოდ იქამდეა დასაშვები, სანამ ისინი ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპს არ არღვევენ. საკანონმდებლო რეგულირება აღნიშნულს იმით ითვალისწინებს, რომ იგი გერმანიის სსსკ-ის §257c-ში აღგენს, რომ ინკვიზიციურობისა და ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპები საპროცესო შეთანხმების შემთხვევაშიც კვლავ მოქმედებენ. აღნიშნულისგან განსხვავებით, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სხვა სახის შეთავაზებები, რომლებიც მიზნად ისახავენ საპროცესო შეთანხმების ხელახალ რეგულირებას - საქმის წარმოების დამოუკიდებელი ტიპის სახით - კონსტიტუციასთან შეუსაბამოა. სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ ობიექტური ჭეშმარიტების საუკეთესოდ შესწავლის ვალდებულება კანონმდებლის დისპოზიციაში არ შედის<sup>36</sup>.

ყოველივე ამას შორსმიმავალი შედეგები სდევს თან: დაუშვებელია ჭეშმარიტების შესწავლის საზიანოდ საქმის წარმოების ხანგრძლივობის ნებისმიერი შემცირება. სასამართლო მარტივად კი არ უნდა დაეყრ-

---

<sup>34</sup> BVerfGE 133, 168, 233 ff.

<sup>35</sup> BVerfGE 133, 168, 199.

<sup>36</sup> BVerfGE 133, 168, 226.

დნოს აღიარებას, არამედ ვალდებულია გადაამოწმოს მისი სანდოობა. შემოწმება რეგულარულად უნდა ხორციელდებოდეს საქმის არსებითი განხილვისას მტკიცებულების შეგროვება<sup>37</sup>. აღნიშნულის დაცვა სრული გამჭვირვალობისა და დოკუმენტირების ვალდებულების საფუძველზე ხორციელდება<sup>38</sup>. როგორც უკვე აღინიშნა, ამას განეკუთვნება სასამართლოზე იმის გაცხადების ვალდებულება, სხდომის გარეთ მიმდინარეობდა თუ არა მოლაპარაკებები საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე და ასევე სხდომის ოქმში საპროცესო შეთანხმების არსებითი მიმდინარეობისა და შინაარსის ასახვის ვალდებულება. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც მოითხოვს, რომ სასამართლო ვალდებულია საპროცესო შეთანხმება შეამოწმოს საქმის საჯარო წესით განხილვაზე და ამ გზით იგი გამჭვირვალე გახადოს<sup>39</sup>; თავისთავად, იგი კანონმდებელს რეგულირებისას ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოსთან შედარებით უფრო ფართო მოქმედების არეალს აძლევს.

შემოთ ნახსენებ კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებს იქამდე მივყავართ, რომ განტვირთვის ეფექტი, რაც საპროცესო შეთანხმებების მიზნად სახელდება, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისათვის შედარებით მცირეა. ეს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსათვისაც კარგად ნაცნობი ფაქტია. თუმცა, მისი განმარტებით, ის, რომ საპროცესო შეთანხმებების პრაქტიკული გამოყენება შესამჩნევად იზღუდება, წარმოადგენს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი რეგულირების (რომელიც ეფუძნება ბრალეულობისა და მისგან მომდინარე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპს) თანმხლებ გარდაუვალ შედეგს. თავისთავად, საკითხავია, მომავალში პრაქტიკაში დაცული იქნება თუ არა საკანონმდებლო დანაწესები. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს დამატებითი გამაფრთხილებელი ზომებისა და გარანტიების საფუძველზე აღნიშნულის უზრუნველყოფას, კერძოდ:

---

<sup>37</sup> მსხვერპლის დაცვის იდეის გათვალისწინებით, აღნიშნულთან დაკავშირებული კრიტიკა იხ. Beulke/Stoffer, JZ 2013, 662, 665.

<sup>38</sup> BVerfGE 133, 168, 214 ff.

<sup>39</sup> EGMR NJW 2015, 1745.

(1) საკონტიტუციო სასამართლო, პროკურატურებს, პირველ რიგში, მოუწოდებს, რომ უარი განაცხადონ კანონსაწინააღმდეგო საპროცესო შეთანხმებებზე<sup>40</sup> და გაასაჩივრონ ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ამგვარ საპროცესო შეთანხმებებს ეფუძნება<sup>41</sup>.

(2) გარდა ამისა, საკონტიტუციო სასამართლო უთითებს დასჯადობის იმ რისკებზე, რომელიც არალეგალურ საპროცესო შეთანხმებებს უკავშირდება. მაგ. საპროცესო შეთანხმების თაობაზე ინფორმაციის ოქმში არასწორად ასახვით, შესაძლოა სახეზე გვექნოდეს ინფორმაციის არასწორი უწყებრივი დამონების შემადგენლობა<sup>42</sup>. ამის შემაკავებელი მოქმედება თავისთავად სათუთა, რადგან, აქამდე სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების მხრიდან შესაბამისი დანაშაულების დევნა არ განხორციელებულა<sup>43</sup>.

(3) გამჭვირვალობის, განმარტების მიცემისა და დოკუმენტირების ვალდებულების დარღვევის შემონიშნა შესაძლოა ე.წ. მოჩვენებითად აბსოლუტური გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით მოკლედ ვისაუბროთ: საპროცესოსამართლებრივი ნორმის დარღვევა გერმანული სამართლის მიხედვით ავტომატური გადასინჯვის საფუძველს არ წარმოადგენს. უშუალოდ გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგო უნდა იყოს. აღნიშნული უდავოდ მხოლოდ კონკრეტული, კანონში ამომწურავად ჩამოთვლილი დარღვევების შემთხვევაში ივარაუდება. ამასთან, აუცილებელია საფუძვლის განმარტებაც; შესაბამისად,

---

<sup>40</sup> კანონსაწინააღმდეგო საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით იხ. ასევე Volk/Engländer, Grundkurs Strafprozessrecht, 9. Aufl. 2018, § 30 Rn. 9 f.

<sup>41</sup> BVerfGE 133, 168, 219 ff.

<sup>42</sup> BVerfGE 133, 168, 213 f.; აღნიშნულთან დაკავშირებით კრიტიკულად იხ. Knauer, NStZ 2013, 433, 435; Stuckenberg, ZIS 2013, 212, 215; არალეგალურ საპროცესო შეთანხმებებში მონაწილე მოსამართლის გერმანიის სსკ-ის §339-იდან გამომდინარე კანონის გვერდის ავლის საფუძველზე შესაძლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე უთითებს Kudlich, NStZ 2013, 379, 381; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დეტალურად იხ. Globke, JR 2014, 9, 16 ff.; სპეციალურად სანქციების შექარის საფუძველზე საპროცესო შეთანხმების დადების იძულების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ იხ. Kubik, Die unzulässige Sanktionschere, 2014, S. 169 ff.; ახალი საკანონმდებლო ნორმის შექმნას განიხილავს Scheinfeld, ZJS 2013, 296, 301.

<sup>43</sup> საექვოდ მიიჩნევს ასევე Beulke/Stoffer, JZ 2013, 662, 671 f.

საპროცესოსამართლებრივი ნორმის დარღვევა წარმოადგენს არა გადასინჯვის აბსოლუტურ, არამედ მხოლოდ რელატიურ საფუძველს<sup>44</sup>. თუმცა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მაინც დასაშვებად მიიჩნევს, რომ გამჭვირვალობის, განმარტების მიცემისა და დოკუმენტირების ვალდებულებების დარღვევით დადებული საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში, მაგ. სხდომის ოქმში საპროცესო შეთანხმების არაღნიშვნის შემთხვევაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, არ შეიძლება გამოირიცხოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობა<sup>45</sup>. გამომდინარე აქედან, კანონის დარღვევა გაუთანაბრდებოდა გადაწყვეტილების გადასინჯვის აბსოლუტურ საფუძველს, იმგვარად, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ხშირად გასაუქმებელი იქნებოდა. ხსენებული არადიფერენცირებულობა არადამაჯერებლად ჟღერს. აღნიშნულის ილუსტრაცია შესაძლებელია ე.წ. ოქმის კრიტიკის მაგალითზე, რომელსაც უწოდებენ განაცხადს, რომლის მიხედვითაც სხდომის ჩანაწერი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მცდარია. მაგრამ, აღნიშნული არ წარმოადგენს გადასინჯვის საფუძველს, ვინაიდან არასათანადო ჩანწერა გადაწყვეტილების შინაარსზე ზეგავლენას არ ახდენს (ჯერ კიდევ თუნდაც მართო იმიტომ, რომ ოქმი მხოლოდ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ დგება). შესაბამისად, გადაწყვეტილება ვერ დაეფუძნება მცდარ ოქმს. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე სენატის ვარაუდი, რომლის თანახმადაც, ის გარემოება, რომ საპროცესო შეთანხმების დადება გერმანიის სსსკ-ის §257c-ის პირველი „ა“ აბზაცის საწინააღმდეგოდ არ აღინიშნა სხდომის ოქმში, როგორც წესი, რევიზიის საფუძველს წარმოადგენს, უარყოფილ უნდა იქნას<sup>46</sup>.

(4) და ბოლოს, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებელს აკისრებს მედამხედველობის ვალდებულებას. მან თვალი

---

<sup>44</sup> შეად. Volk/Engländer, Grundkurs Strafprozessrecht, 9. Aufl. 2018, § 36 Rn. 17 ff.

<sup>45</sup> BVerfGE 133, 168, 223 f.; kritisch Kudlich, NStZ 2013, 379, 381; Stuckenberg, ZIS 2013, 212, 215; zweifelnd auch Mosbacher, NZWiSt 2013, 201, 205 f.; zustimmend dagegen Knauer, NStZ 2013, 433, 436.

<sup>46</sup> ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგ იხ. გერმანიის უმაღლესი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა მეორე სასამართლო კოლეგიის განმარტება, BGHSt 58, 310; მაგრამ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ შეად. პირველი კოლეგიის მოსაზრება, BGH NJW 2014, 1254.

უნდა ადევნოს პროცესის განვითარებას და თუკი აღსრულების დეფიციტი კვლავ გაგრძელდება, უნდა გააუმჯობესოს დაცვითი მექანიზმები ან დღის წესრიგში დააყენოს საპროცესო შეთანხმებების დასაშვებობასთან დაკავშირებით მიღებული გადანწყვეტილების გადასინჯვის საკითხიც კი<sup>47</sup>.

## V. დასკვნა

ნაშრომში საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებული ყველა პრობლემისა და კითხვის ნიშნის ფართო განხილვა ვერ განხორციელდა, თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, ერთი პროგნოზის გაკეთება მაინცაა შესაძლებელი: პრაქტიკა და მეცნიერება საპროცესო შეთანხმებით ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დაკავდება.

---

<sup>47</sup> BVerfGE 133, 168, 2235 f.; ablehnend dazu Niemöller, StV 2013, 419, 423 f.

## ევროპული პროკურატურა

პროფ. დოქტ. **ჰელმუტ ზატცგერი**, მიუნხენის უნივერსიტეტი

უკვე დიდი ხანია, რაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე -შიდა ბაზარზე რეალიზაციის გაღრმავებისა და პოლიტიკის სხვა მიმართულებების ჰარმონიზაციისა და გაერთიანების შემდეგ - მართლმსაჯულების ერთიანი სივრცის ჩამოყალიბება მიზნად დასახული. ამ კუთხით, ევროკავშირის პრიმერული სამართალი „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეზე“ საუბრობს („ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ“ ხელშეკრულების 67-ე მუხლის პირველი აბზაცი). მატერიალურ და ფორმალურ სისხლის სამართალში არსებული, ნაწილობრივ კვლავ მაინც მნიშვნელოვანი, ეროვნული განსხვავებების გამო, ევროკავშირი ორმხრივი აღიარების ინსტრუმენტს იყენებს („ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ“ ხელშეკრულების 67-ე მუხლის მე-3 აბზაცი და ამავე შეთანხმების 82-ე მუხლის პირველი აბზაცი) და ლისაბონის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით დირექტივების ფორმით მის მიერ არაერთი სამართლებრივი აქტი იქნა გამოცემული<sup>1</sup>. ამასთან, განსაკუთრებული პოპულარობა შეიძინა დაკავების ევროპულმა ორდერმა, რომელიც ფაქტობრივად, ორმხრივი აღიარების ინსტრუმენტის პროტოტიპს წარმოადგენს – მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ცუდი პროტოტიპია! ხშირად და არც თუ ისე უსამართლოდ, ისმის კრიტიკა, რომ ევროკავშირის აღნიშნული ინსტიტუტი ერთგვარად დევნაზე ორიენტირებულის სახეს სძენს და რომ ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი განსხვავებების ნიველირებით, განსაკუთრებით დამნაშავის საპროცესო და ძირითად უფლებებს ექმნება საფრთხე, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა ბოლო წლების განმავლობაში საპროცესო უფლებების მინიმალური დონით ჰარმონიზება სცადა<sup>2</sup>.

ევროპული პროკურატურის სახით (შემოკლებით EStA), სწორედ შემოსენებულ ორმხრივ აღიარებას ახლა უკვე ინსტიტუციური კომპონენტიც

<sup>1</sup> იხ. აღნიშნულთან დაკავშირებით მაგალითები Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht, 8. Aufl. 2018, § 10 Rn. 32 ff.

<sup>2</sup> შეად. Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht, § 10 Rn. 82 ff.

ემატება, რომელიც ასევე ბუნებრივად აძლიერებს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესაძლებლობას. დასაწყისში არსებული სირთულეების მიუხედავად, დადგენილების სახით სამართლებრივი საფუძველი შეიქმნა. ევროკავშირის პროკურატურა, სავარაუდოდ, დაახლოებით 2020 წლიდან შეძლებს ფუნქციონირების დაწყებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იგი არ იმოქმედებს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. წინამდებარე ნაშრომში ზოგადად იქნება განხილული ამ ახალი ორგანიზაციის წარმოშობა, სტრუქტურა, ამოცანები და ფუნქცია. აღნიშნულით შესაძლოა ნათელი გახდეს, ევროკავშირის ფარგლებში ბრალდებულის უფლებებზე - და ამით ადამიანის უფლებების დაცვაზე - რა გავლენა შესაძლოა ჰქონდეს ამგვარ განვითარებას.

## **I. წინარე ისტორია და ევროკავშირის პრიმერული სამართლით განსაზღვრული საფუძველი**

ევროპული გაერთიანების<sup>3</sup> ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით, ჯერ კიდევ Corpus Juris-ში იყო გათვალისწინებული (მე-18 მუხლი), სისხლის-სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ევროპული ორგანოს შექმნა, რომელსაც „ევროპული პროკურატურა“ (შემოკლებით ESTA) უნდა დარქმეოდა. მე-18 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 აბზაცები შემდეგნაირად ჟღერდა:

(2) ევროპული პროკურატურა წარმოადგენს ევროპული გაერთიანების ორგანოს და პასუხისმგებელია პირველი და მერვე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარებაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე, ბრალის წაყენებაზე, საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას საჯარო სარჩელის წარმომადგენლობასა და გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. იგი დამოუკიდებელია, როგორც ეროვნული, ასევე გაერთიანების ორგანოებისგან.

---

<sup>3</sup> ob. Delmas-Marty/Vervaele (Hrsg.) The Implementation of the Corpus Juris in the Member States, 2001, S. 189 ff.; დაწვრ. პერსპექტივებთან დაკავშირებით ob. Sieber/Satzger/v. Heintschel-Heinegg-Killmann/Hofmann, Europäisches Strafrecht, 2. Aufl. 2014, § 48 Rn. 1 ff.; ასევე Satzger, Internationales und Europäisches Strafrecht, § 8 Rn. 33 ff.

(3) ევროპული პროკურატურა შედგება ევროკავშირის გენერალური პროკურორის (EGenStA) ბრიუსელში მდებარე აპარატისა და ევროპის პროკურორების წარმომადგენლებისგან (AeStA), რომლებიც საქმიანობენ თითოეული წევრი ქვეყნის დედაქალაქში ან სხვა ქალაქში და რომელშიც მდებარეობს 26-ე მუხლის შესაბამისი განსჯადობის მქონე სასამართლო.

(5) ეროვნულ პროკურატურებს (nStA) ასევე აქვთ ვალდებულება ხელი შეუწყონ ევროპული პროკურატურის საქმიანობას.

კომისიამ აღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით 2001 წლის მწვანე წიგნში<sup>4</sup> შეიტანა და იმავდროულად, დისკუსიის საგნად აქცია ევროპული პროკურატურის შექმნის კონცეფცია.

2009 წლის პირველ დეკემბერს ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, „ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ“ ხელშეკრულების (AEUV) 86-ე მუხლის სახით შეიქმნა პროკურატურის დაფუძნების პრიმერული საფუძველი. აღნიშნული მიზნად ისახავდა, თავდაპირველად საკმაოდ ვიწრო სფეროსთვის მაინც, ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად, მსგავსი სახის სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სუპრანაციონალური ინსტიტუციის შექმას, რომელსაც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებამოსილება ექნებოდა. „ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ“ ხელშეკრულების 86-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი ქვეპუნქტის პირველი წინადადება შემდეგნაირად ჟღერს:

„კავშირის ფინანსური ინტერესების საზიანოდ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საბჭოს შეუძლია განსაკუთრებული საკანონმდებლო წესის გამოყენებით, ევროიუსტის რეგულაციებიდან გამომდინარე, აამოქმედოს ევროპული პროკურატურა“.

ევროკავშირის პარლამენტის თანხმობისათვის აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი პრინციპულად დამატებით ითვალისწინებს ყველა წევრ ქვეყანას შორის კონსენსუსის არსებობას. ამასთან, ერთსულოვნების

---

<sup>4</sup> Grünbuch zum strafrechtlichen Schutz der finanziellen Interessen der EG und zur Schaffung einer europäischen Staatsanwaltschaft, KOM (2001) 715 endg.

არარსებობის შემთხვევაში, პროცედურა შესაძლებელია დაიწყოს მინიმუმ 9 წევრი ქვეყნისგან შემდგარი ჯგუფის მიერ გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზეც.

2013 წლის 17 ივლისს კომისიამ „ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ“ ხელშეკრულების 86-ე მუხლზე დაყრდნობით „ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით ევროპული პროკურატურის შექმნის შესახებ“ დადგენილების მიღების ინიციატივა წარმოადგინა<sup>5</sup>. ე.წ. „ყვითელი ბარათები“, რომლებიც კომისიამ ეროვნული პარლამენტების 14 პალატისგან ე.წ. „სუბსიდიარობასთან დაკავშირებული საყვედურის“<sup>6</sup> სახით მიიღო, მან არ გაითვალისწინა. კომისიის მოსაზრებით, შეთავაზებით დაცული იყო სუბსიდიარულობის პრინციპი და შესაბამისად, მან კვლავ უცვლელად განაგრძო დადგენილების პროექტის მიღებისათვის მოქმედება<sup>7</sup>.

საბჭოს ფარგლებში პროექტთან დაკავშირებით გამართული ხანგრძლივი და ინტენსიური დისკუსიებისა და მათი თანმდევი ნაწილობრივ საფუძვლიანი გადამუშავებების შემდეგ<sup>8</sup>, 2017 წლის თებერვალში გამოიკვეთა, რომ საბოლოოდ ყველა წევრი ქვეყნის ერთსულოვნების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. აღნიშნული თავიდანვე მოსალოდნელი იყო ცალკეული წევრი ქვეყნის მკვეთრი ანტიპათიის გამო. მიუხედავად ამისა, 2017 წლის იანვრის შუა რიცხვებში ოცმა წევრმა სახელმწიფომ მიიღო გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ევროპული პროკურატურის შექმნის გადანწყვეტილება. ევროპარლამენტის თანხმობის შემდეგ, 2017 წლის 10 ოქტომბერს ყველა მოწინავე 20-მა სახელმწიფომ მიიღო აღნიშნულისათვის აუცილებელი, „ევროპული პროკურატურის დაფუძნებისათვის გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის განხორციელების შესახებ“ დადგენილება<sup>9</sup> (EuStA-VO, შემდგომში: დადგენილება).

დადგენილების მიმღებ 20 სახელმწიფოს წარმოადგენს: ბელგია,

---

<sup>5</sup> KOM (2013) 534 endg.

<sup>6</sup> Art. 12 lit. a, b EUV i.V.m. Protokoll Nr. 2.

<sup>7</sup> KOM (2013) 851 endg.; აღნიშნულისათვის იხ. ასევე Ratsdokument 16624/13.

<sup>8</sup> საბჭოში კომისიის ინიციატივის გადამუშავებასთან დაკავშირებით, იხ. Ratsdokumente 9834/1/14 v. 21.5.2015; 15862/1/14 vom 28.11.2014; 6318/1/15 vom 2.3.2015. საბოლოო ვერსია იხ. Ratsdokument Nr.5766/17 v. 31.1.2017.

<sup>9</sup> VO (EU) 2017/1939; ABIEU 2017 L 283 v. 31.10.2017, S. 1.

ბულგარეთი, გერმანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, ხორვატია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, ავსტრია, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ესპანეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და კვიპროსი.

## **II. ევროპული პროკურატურის დაფუძნების შესახებ დადგენილება**

### **1. დაფუძნება და ამოცანები**

დადგენილების საფუძველზე, დამოუკიდებელი სახით იქმნება საკუთარი სამართლებრივი იდენტობის მქონე სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ევროკავშირის ორგანო (მე-3 მუხლი)<sup>10</sup>. მისი საქმიანობის სფერო მოიცავს, როგორც სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებების გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, ასევე წევრი ქვეყნების სასამართლოებში სარჩელის შეტანასა და სასამართლო პროცესის წარმართვას (მე-4 მუხლი). რეგულაციით, ევროპული სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნა - მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული იდეა აზრსმოკლებული არ არის და არაერთხელ გაჟღერებულა მისი შექმნის მოთხოვნა - გათვალისწინებული არ არის.

### **2. სტრუქტურა**

დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი ევროპულ პროკურატურას ჰყოფს ცენტრალურ და დეცენტრალიზებულ დონეებად.

#### **ა) ცენტრალური დონე**

აღნიშნული დონე შედგება ლუქსემბურგში მდებარე ცენტრალური დეპარტამენტისგან, რომელიც დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თავის მხრივ აერთიანებს კოლეგიას, მუდმივმოქმედ პალატებს, ევროპის გენერალურ პროკურორს, მის წარმომადგენლებს, ევროპის პროკურორებსა და მმართველ დირექტორს.

---

<sup>10</sup> კომპეტენციასა და სტრუქტურასთან დაკავშირებით იხ. დეტალურად Satzger/von Maltitz, Jura 2018, 153.

დადგენილების მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ევრო-უსტის მსგავსად, კოლეგია შედგება თითოეული წევრი ქვეყნიდან წარდგენილი ერთი პროკურორისა და მმართველი გენერალური პროკურორისგან (ე.წ. „ევროპის პროკურორები“). კოლეგიას შეუძლია ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება პროკურატურის საქმიანობის ზედამხედველობასა და მისი საქმიანობის სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით. კოლეგია ცალკეულ შემთხვევებში ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში არ იღებს მონაწილეობას. აღნიშნული ამოცანა „მუდმივმოქმედი პალატების“ უფლებამოსილებაში უფრო შედის. „მუდმივმოქმედი პალატები“ ხელმძღვანელობენ და ზედამხედველობენ ე.წ. „დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ევროპის პროკურორების“ მიერ წევრ ქვეყნებში წარმოებულ გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ღონისძიებებს (მე-9 მუხლის მე-2 და მე-10 მუხლის მე-2 ნაწილები).

## ბ) დეცენტრალიზებული დონე

სწორედ ხსენებული დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ევროპის პროკურორები, რომელთა საქმიანობის ადგილიც წევრ ქვეყნებში მდებარეობს<sup>11</sup>, ქმნიან დეცენტრალიზებულ დონეს. დეცენტრალიზებულ დონეს ორმაგი ინსტიტუციონალური ბუნება ახასიათებს<sup>12</sup>. თითოეულ წევრ ქვეყანაში უნდა საქმიანობდეს ორი ან მეტი დელეგირებული უფლებამოსილების მქონე პროკურორი<sup>13</sup>. აღნიშნული პროკურორები იმ საქმიანობის პარალელურად, რომელიც მათ ევროპული პროკურატურისთვის მუშაობიდან გამომდინარე ეკისრებათ, ასევე საქმიანობენ, როგორც ეროვნული დონის პროკურორები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ საქმიანობით საფრთხე არ ექმნება მათ მიერ დადგენილებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას<sup>14</sup>. დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ევროპის პროკურორები, მხატვრულად რომ ვთქვათ, „ორ ქედს“ ატარებენ. ისინი

---

<sup>11</sup> Art. 8 IV, 13 EUStA-VO.

<sup>12</sup> შუად. ასევე Schramm, JZ 2014, 749, 754.

<sup>13</sup> Gem. Art. 13 II 1 EuStA-VO.

<sup>14</sup> Gem. Art. 13 III EuStA-VO.

იმის მიხედვით, თუ ვისთვის საქმიანობენ (ევროპული თუ ეროვნული პროკურატურისთვის), იხურავენ ევროპულ ან ეროვნულ ქედს.

იმ საქმეებთან დაკავშირებულ საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებს, რომლებიც ევროპული პროკურატურის საგნობრივი განსჯადობის სფეროში ექცევიან, დელეგირებული უფლებამოსილების მქონე პროკურორები „ადგილზე“ ახორციელებენ; მათ ასევე დეცენტრალიზებულად შეაქვთ სარჩელები კვლავ განსჯადობის მქონე ეროვნულ სასამართლოებში. თუკი ამგვარი სისხლის სამართლწარმოება უკვე დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ეროვნული ორგანოების მიერ, ევროპულ პროკურატურას განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, შეუძლია გადაიბაროს და უხელმძღვანელოს გამოძიების განხორციელებას (საქმის გამოთხოვის უფლება)<sup>15</sup>.

### 3. განსჯადობა

„ევროკავშირის საქმიანობის შესახებ“ ხელშეკრულების 86-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მსგავსად, დადგენილების მე-4 მუხლის მიხედვით, ევროპული პროკურატურის ამოცანას, ევროკავშირის ფინანსური ინტერესების საზიანო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. თუკი „ევროკავშირის საქმიანობის შესახებ“ ხელშეკრულების 86-ე მუხლი ღიად ტოვებს იმ საკითხს, თუ რომელი დანაშაულები მოიაზრება აღნიშნულის ქვეშ, დადგენილების 22-ე მუხლი იძლევა ამის დეფინიციას. კერძოდ, აქ იგულისხმება დანაშაულის ის შემადგენლობები, რომლებიც „კავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული თაღლითობის სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ“ ახალი დირექტივით<sup>16</sup> (ე.წ. PIF დირექტივა) იქნა შემოღებული და ეროვნულ სამართალშია იმპლემენტირებული.

ახალი დირექტივის მიხედვით, „კავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული თაღლითობის“ შემადგენლობის მაგალითს (იმ დანახარჯებთან დაკავშირებით, რომელიც არ არის დაკავშირებული

<sup>15</sup> Gem. Art. 24 II iVm 27 EuStA-VO.

<sup>16</sup> Richtlinie 2017/1371/EU, ABIEU 2017 Nr. L 198.

შესყიდვებთან) წარმოადგენს, ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც უკავშირდება ყალბი, არასწორი ან არასრული განმარტებების ან დოკუმენტების გამოყენებას ან მათ წარდგენას, რასაც შედეგად მოჰყვება ევროკავშირის ერთიანი ბიუჯეტის ან კავშირის მიერ ან მისი დავალებით განკარგული ბიუჯეტების სახსრების ან აქტივების უკანონო დაუფლება ან დაკავება (PIF დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 აბზაცის „ა“ ქვეპუნქტი). თუმცა, PIF დირექტივის ჰარმონიზებით ისეთი სხვაგვარი ქმედებებიც არის მოცული, როგორცაა ფულის გათეთრება, რომელიც უკავშირდება აღნიშნული დირექტივით გათვალისწინებული დანაშაულების საგნებს (მე-4 მუხლი). ბოლო მომენტამდე – განსაკუთრებით, კომპეტენციის უფლების არსებობასთან დაკავშირებული მიზეზებიდან გამომდინარე - მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა, დანაშაულის შემადგენლობებს უნდა მოეცვათ თუ არა დამატებითი ღირებულების გადასახადთან დაკავშირებით განხორციელებული თაღლითური ქცევა. საბოლოოდ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა (შეად. PIF დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის „დ“ ქვეპუნქტი). გარდა ამისა, ევროპულ პროკურატურას აქვს განსჯადობა იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც უკავშირდება 2008/841/JI<sup>17</sup> ჩარჩო-გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ კრიმინალურ გაერთიანებაში მონაწილეობას და ასევე იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც PIF დირექტივით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებებთან განუყოფლად დაკავშირებული. თუკი დანაშაული მხოლოდ ევროკავშირს არ აზიანებს ან დანაშაული ექცევა რამდენიმე წევრი ქვეყნის განსჯადობის სფეროში, განსჯადობის საკითხი საგამოძიებო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 აბზაცის მიხედვით წყდება, როგორც წესი, დასჯადი ქმედების სიმძიმის ცენტრის მიხედვით. თუკი აღნიშნული წესიდან გადახვევა დასაბუთებულად მიიჩნევა, მაშინ გამოძიება სხვა წევრ ქვეყანაში შესაძლოა მხოლოდ შემდეგი იერარქიული თანმიმდევრობით არსებული ე.წ. მაკავშირებელი მომენტების გამოყენებით დაიწყოს: ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მოქალაქეობა ან ადგილი, სადაც ფინანსური ზიანის მთავარი ნაწილი დადგა.

პროცესუალური გაგებით, როგორც წესი, ევროპული პროკურატურა

---

<sup>17</sup> Rahmenbeschluss 2008/841/JI, ABIEU 2008 Nr. L 300.

როგორც მტკიცებულებების მოპოვების, ასევე მათი წარდგენის ეტაპზე, იმ წევრი ქვეყნების საპროცესო სამართლით ხელმძღვანელობს, რომელშიც პროცესი მიმდინარეობს. დადგენილების 37-ე მუხლის პირველი და მეორე აბზაცებით განსაზღვრულია, რომ სასამართლოს უფლებამოსილება - თავისუფლად შეაფასოს მტკიცებულებები ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით - იმ შემთხვევაშიც კი არ იბღუდება, თუ ევროპული პროკურატურა ან ბრალდებული წარმოადგენს სხვა წევრ ქვეყანაში ან სხვა წევრი ქვეყნის სამართლის მიხედვით მოპოვებულ მტკიცებულებას.

#### **4. ევროპული პროცესუალური ნორმები**

ბევრისათვის გულდასაწყვეტად, დადგენილება არ ითვალისწინებს „ევროპულ სისხლის სამართალწარმოებას“ ერთიანი საპროცესო სამართლებრივი დანაწესებით. მიუხედავად ამისა, ის მაინც ახდენს გარკვეულ ჰარმონიზაციას და სცდება წმინდა ნაციონალურ საპროცესო დათქმებს. მაგალითად, დადგენილების 30-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, წევრი სახელმწიფოები, იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება ეხება ისეთ დანაშაულს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა მინიმუმ 4 წლის ვადით, ვალდებული არიან დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ევროპის პროკურორებს მისცენ შესაძლებლობა, გასცენ დადგენილების პირველ მუხლში ჩამოთვლილი საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე მითითება (მაგ. კერძო სახლების ჩხრეკა, კომპიუტერული მონაცემების ამოღება ან ეჭვმიტანილის შემომავალი და გამავალი ელექტრონული კომუნიკაციის ფარული მიყურადება).

გარდა ამისა, ტრანსნაციონალური გამოძიების დროს, დადგენილების 31-ე მუხლის პირველი აბზაცი ითვალისწინებს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას მუდმივი კონსულტაციისა და ურთიერთმხარდაჭერის საფუძველზე. დადგენილების 41-ე მუხლი მიზნად ასევე ისახავს ბრალდებულებისათვის თანაბარი უფლებების არსებობას ყველგან. ევროპული პროკურატურის ნებისმიერი საქმიანობა უნდა განხორციელდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით გათვალისწინებული უფლებების დაცვით. შესაბამისად, ეჭვმიტანილი და ბრალდებული სისხლის სამართალწარმოებისას მინიმუმ გაერთიანების

სამართლით დადგენილი ისეთი საპროცესო უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორცაა, მაგ. სამართლებრივი განმარტების მიღების ან ადვოკატის ყოლის უფლება.

ყოველივე აღნიშნულის კონტროლი, დადგენილების 42-ე მუხლის თანახმად, ეროვნული სასამართლოების მიერ ხორციელდება. თუმცა, აღნიშნული, თუნდაც მხოლოდ იმიტომ არის სადავო, რომ ევროპული პროკურატურა წარმოადგენს არა ეროვნულ, არამედ ევროკავშირის დაწესებულებას. ერთადერთი, რაც ლოგიკური, თუმცა პოლიტიკურად აშკარად განუხორციელებადი იქნებოდა, ევროპული სასამართლოს შექმნაა, რომელსაც იმავდროულად ექნებოდა ევროპული პროკურატურის ქმედებებისა და გადანყვეტილებების კონტროლის უფლებამოსილება. დადგენილება დღეისათვის, სულ მცირე, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი გადანყვეტილების ფორმით ჩართვას მაინც ითვალისწინებს<sup>18</sup>.

## **5. ევროპული პროკურატურის მიმართება სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ სხვა ევროპულ ორგანოებთან**

ევროპული პროკურატურა ვალდებულია იქონიოს მისი საქმიანობის ფარგლებში ევროკავშირის ყველა სხვა ორგანოსთან მჭიდრო ურთიერთობები<sup>19</sup>. განსაკუთრებული საინტერესოა ამ კუთხით ევროიუსტთან და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ უწყებასთან (OLAF) ურთიერთმიმართება:

### **ა) ევროიუსტი**

ევროიუსტი ყოველთვის განიხილებოდა ევროპული პროკურატურის ჩანასახად<sup>20</sup>, რაც „ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ“ ხელშეკრულების 86-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველ წინადადებაშიც აისახა, რომლითაც გათვალისწინებულია ევროპული პროკურატურის „ევროი-

---

<sup>18</sup> Art. 41 I, II EuStA-VO.

<sup>19</sup> Art. 99 ff EuStA-VO.

<sup>20</sup> Ahlbrecht, in: Ahlbrecht u.a. (Hrsg.), Int. Strafrecht, 2. Aufl. 2018, Rn. 1497.

უსტის გავლით“ შექმნა<sup>21</sup>. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ევროიუსტი მომავალში მისი საქმიანობის სფეროს დაკარგავს. თუმცა, ეს შეიძლება ასე არ მოხდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ევროპული პროკურატურა ევროკავშირის სრულ ტერიტორიაზე არ მოქმედებს და აქედან გამომდინარე სისხლის-სამართლებრივი დევნის კოორდინაცია კვლავ საჭირო იქნება. თუმცა, ევროპული პროკურატურის შემოღებას ბუნებრივად თან მოჰყვება ევროიუსტის რეფორმაც, რომელიც ასახულია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთთანამშრომლობის შესახებ<sup>22</sup> ევროკავშირის სააგენტოსთან დაკავშირებული დადგენილების ინიციატივაში. აღნიშნულის მიხედვით, ევროიუსტი ევროპული პროკურატურის პარალელურად კვლავ იარსებებს, როგორც „საარბიტრო და სადოკუმენტაციო ცენტრი“. ევროიუსტის უფლებამოსილებების აქამდე არსებული სფეროც კვლავ შენარჩუნდება, მაგრამ იარსებებს შეზღუდვა ევროპული პროკურატურის განსჯადობის სფეროში შემავალ დანაშაულებზე. უფრო დეტალურად რომ განვმარტოთ, ევროიუსტისა და ევროპული პროკურატურის ურთიერთობა მათთვის მიკუთვნებულ ამოცანებთან დაკავშირებით, ორმხრივ თანამშრომლობასა და ოპერატიულ, ადმინისტრაციულ და მენეჯერულ დონეებზე კავშირების განვითარებას დაეფუძნება (დადგენილების მე-100 მუხლის პირველი აბზაცი). აღნიშნული სხვა მოვალეობებთან ერთად მოიცავს ევროიუსტის მონაწილეობას ევროპული პროკურატურის იმ საქმიანობაში, რომელიც უკავშირდება ტრანსნაციონალურ შემთხვევებს, საერთო ინტერესებისთვის მომსახურების გაწევასა და ინფორმაციებზე დაშვებას. ურთიერთთანამშრომლობის დეტალურად დასარეგულირებლად დაიდება ერთობლივი საქმიანობის შესახებ შეთანხმება.

## **ბ) თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული უწყება (OLAF)**

OLAF-ს - თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებას („office de lutte antifraude“) - ევროპული პროკურატურის შექმნით მნიშვნელობის დაკარგვის საფრთხე ემუქრება. საქმე ეხება კომისიის დამოუკიდებელ ორგა-

---

<sup>21</sup> აღნიშნულისათვის იხ. Grabitz/Hilf/Nettesheim-Vogel, Das Recht der EU, 2. Aufl. 2017, Art. 86 AEUV Rn. 14 ff.

<sup>22</sup> Ratsdokument 6643/15/15.

